

ნადეჟდა გერულავა

# პიროვნების თვისებები და ენა

ნაშრომში თავმოყრილია პიროვნების თვისებათა და თვისებებზეა ალმნიშენელი ქართული ენის სიტყვები. ისინი კლასიფიცირებულია კატეგორიებად. კლასიფიკაციით მიღებული შედეგების საფუძველზე გაანალიზებულია პიროვნების თვისებათა ალმნიშენელი სიტყვების სტრუქტურა, განხილულია რიცხობრივი მონაცემები.

დადასტურებულია უარყოფით და დადებით თვისებათა ალმნიშენელ სიტყვებს შორის ასიმეტრიულობა, ნაცადიამ ფაქტის ახსნა.

წინამდებარე გამოკვლევაში თავმოყრილი და განხილულია ადამიანის ფსიქიკური, ფიზიკური და მთლიან-პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელი სიტყვა-სახელწოდებები.

ადამიანის პიროვნების თავისებურების აღმნიშვნელ სახელწოდებათა თავმოყრას და საგანგებო განხილვას უმთავრესად ორი მნიშვნელობა აქვს: 1. თეორიულ-ფსიქოლოგიური, 2. პრაქტიკულ-გამოყენებითი, როგორც ინფორმაციული საშუალება ადამიანთა ურთიერთობასა და მწერლობაში.

თეორიულ-ფსიქოლოგიური საკითხების დასმისა და კვლევის საფუძველს გვაძლევს ქართულ ენაში დადასტურებული, პიროვნების ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელი სიტყვების სიმრავლე — 4511 სიტყვა — და მათი შინაარსიერი ნაირსახეობა. ასე მრავალნაირად ასახვა მოქმედების სუბიექტისა — პიროვნებისა — არ შეიძლება მხოლოდ შემთხვევითობას მივაწეროთ, ე. ი. არ შეიძლება ის იყოს სტიქიურ-ქაოსური და არ მიუთითებდეს საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეულ ფორმებზე, ერის კულტურის დონეზე, მის ეროვნულ თვითმყოფადობაზე.

ხალხური სიბრძნის, ხალხური მეტყველების ნიადაგზე ფსიქოლოგიური პრობლემის დასმა და მის გადასაჭრელად კვლევა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიურმა ინსტიტუტმა ჩემ კიდევ ორმოცდაათიან წლებში წამოიწყო (იხ. ა. ფრანგიშვილის მონოგრაფია: „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, 1959).

ხალხურ შემოქმედებაში ფსიქოლოგიური პრობლემის კვლევის ამ ტრადიციას ფსიქოლოგიის ინსტიტუტი დღესაც განაგრძობს; წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ნაშრომში სიტყვები დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით: შინაარსეულად ერთი იდეის გამომხატველი სიტყვები სათანადო ფსიქოლოგიურ კატეგორიაშია გაერთიანებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელი სიტყვების სრული სიზუსტით გამიჯვნა კატეგორიების მიხედვით, თითქმის მიუღწეველია, რადგან ერთი და იგივე სიტყვას, ბევრ შემთხვევაში, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სიტყვა „კეთილი“ ზნეობრივი კატეგორიის სიტყვაა, მაგრამ ის იმავე დროს ხასიათის თვისების ამსახველია და ამიტომ ხასიათისეული კატეგორიის გამომხატველიცაა. პრაქტიკულად კი ეს სიტყვა ან ერთ კატეგორიაში უნდა მოთავსდეს ან მეორეში. ასეთაა არა მარტო ზნეობრივი და ხასიათისეული სიტყვები, არამედ სხვა კატეგორიის სიტყვებიც.

პიროვნულ სახელწოდებათა შინაარსიერი შეფასება და ამის მიხედვით მათი დაჯგუფება კატეგორიებად ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ჭერაჭრათ-

ბით ცნობილი არ არის. გ. ოლპორტის ერთადერთი ცდა სულ სხვა პრინციპ-ზეა აგებული, ამიტომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია და მთელი მისი ნომენკლატურა (კატეგორიები, ჯგუფები და ქვეჯგუფები) პირობითი ხასიათისაა: იგი ემსახურება ზემოთ დასმულ პრობლემის გადაჭრას. მას ზოგად-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს იმის შემდეგ, რაც ის სხვა ენების საფუძველზე შემოწმდება და უფრო სტაბილური გახდება.

რაც შეეხება წარმოდგენილი მასალის სისრულეს, ის არც საბოლოო და არც ამომწურავია.

საბოლოო არ შეიძლება იყოს, რადგან ხალხური მეტყველება ამოურწყველია, მასში მოძრაობა ერთი წუთითაც კი არ წყდება: იკარგება ძველი, იბადება ახალი, იცვლება არსებული, — ხალხური მეტყველება ნიადაგ ზრდა-განვითარებას განიცდის.

ამომწურავიც არ იქნება, რადგან სიტყვათა დიდ მარაგში ზოგი სიტყვა ძნელად საპოვნელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაკარგულია; ზოგი უთუოდ გამოგვრჩა უნებლიედ და ზოგიც შეიძლება უმართებულოდაც გამოვიყენეთ, რადგან ადამიანის ბუნების ამსახველ სიტყვა-სიმბოლოების მნიშვნელობას ხშირად სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად განიცდის.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველში მოცემულია სიტყვათა დაჯგუფებიდან მიღებულ კანონზომიერებათა ფსიქოლოგიური ანალიზი და განხილულია სპეციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები. მეორე ნაწილში კი სიტყვები დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ შეტანილია თუ არა რომელიმე პიროვნული სახელწოდება წარმოდგენილ სიტყვათა მარაგში, კლასიფიკაციას დართული აქვს სიტყვანი აღფაბეტის მიხედვით.

კლასიფიკაციაში სიტყვები თანამიმდევრულად აღნუსხულია ციფრებით. სიტყვანში ყოველ სიტყვას მიწერილი აქვს ციფრი, რომელიც მან მიიღო სიტყვათა კლასიფიკაციაში. თუ რომელი სიტყვა სად არის კლასიფიკაციაში — რომელ კატეგორიაში და რომელ ჯგუფში — ადვილი მოსაძებნია სიტყვანის ნომრის მიხედვით.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სიტყვანში თეთრი კორპუსით აწყობილი ნომრები ქართული სიტყვების აღმნიშვნელია, შავი კორპუსით აწყობილი ნომრები კი მიწერილი აქვს უცხოურ სიტყვებს.

#### შემოკლებული სიტყვების ბანმარტბა:

კუთხ. — კუთხური.

ძვ. — ძველი.

წიგნ. — წიგნური.

1 მნ. — პირველი მნიშვნელობით.

მე-2 მნ. — მეორე მნიშვნელობით.

სალანძ. — სალანძღავი.

„ეთარმელ ყოველი საიღუმლოა ამას  
ენასა შინა დამარხულ არს“.

იოანე ზოსიმე, „ქებაა და დიდებაა  
ქართლისა ენისაჲ“.

## 1. პიროვნება და მოქმედება

ადამიანის პიროვნების ორი მიმართულება — ერთი შიგნით, საკუთარი მე-სკენ და მეორე გარეთ, სოციალური ღირებულებებისაკენ — მთლიანი და ერთიანი პიროვნების ურთიერთდაკავშირებული მხარეებია.

შიგნით, თავის თავისკენ მიმართული პიროვნება მთელი თავისი ძალე-ბის ერთობლიობით იცავს საკუთარ არსებობას, თავის მიზანთა სისტემას, ხოლო გარეთ მიმართული, სოციალურად ორიენტირებული იგივე პიროვნე-ბა, სოციალური მიზნებისა და ღირებულებების დამკვიდრებისათვის იბრძ-ვის.

ამ ორი სხვადასხვა ტენდენციით მოქმედი პიროვნება, ყოველთვის მი-ზანმიმსწრავ, დინამიკურად ორგანიზებულ მთლიან სისტემას წარმოად-გენს. ამ მთლიანი სისტემა-პიროვნების შემეცნება ფსიქოლოგიური პრობ-ლემაა.

პიროვნება მარტო თვითმიზნური ამოცანისაკენ მიმართული მოქმედე-ბით არ ამოიწურება. ადამიანის პიროვნება ზეინდივიდუალური ღირებულე-ბების, სოციალური მიზნებისა და მოთხოვნილებების სფეროშიცაა შესული.

პიროვნების მოქმედების, მისი ქცევის განმსაზღვრელად ყოველთვის ინდივიდუალურ-ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორი ითვლებოდა. ერთ-ერთი ამ ფაქტორის გააბსოლუტება შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ-ჟამად მეცნიერება პიროვნების შესახებ ცდილობს ეს შეცდომა თავიდან აიცილოს.

სოციალური და პირადი მიზნებისათვის ბრძოლა, ფსიქო-ფიზიკური ძა-ლების მობილიზება და სამოქმედოდ გაშლა, ადამიანის სიცოცხლის შინა-არსს შეიცავს.

შიგნით, თავისთავისკენ იქნება პიროვნება მიმართული, თუ გარეთ, სოციალური მიზნისკენ, ის თავის სასიცოცხლო მნიშვნელობას ქცევა-მოქ-მედებაში ავლენს და თავის არსებობის აზრს ამით ახორციელებს. ხოლო ქცევა-მოქმედების უკან ყველგან მთლიანი პიროვნება დგას, მოქმედება პიროვნებას მიჰყავს. მოქმედება არის პიროვნების არსის გამოვლენა და

მისივე შემეცნების გზა. თუ დასაშვებია იქნებოდა ანტისთენესადმი სოკრატეს მიმართვის პერიფრაზირება, ვიტყვით: მოქმედება ის „დაცხრილური მოსასხამია, საიდანაც პიროვნება მოჩანს“<sup>1</sup>.

ასე არსებითადაა დაკავშირებული პიროვნება და მოქმედება ურთიერთთან. მოქმედებაში ვლინდება პიროვნება მთელი თავისი ინდივიდუალობით.

ისმის საკითხი: როგორ არის მაინც ქცევა-მოქმედებაში პიროვნება ასახული, მისი არსი გამომჟღავნებული? როგორ არის ის შემეცნებისთვის მოცემული?

ამ საკითხის გადასაჭრელად არსებითად მიგვანჩნია დ. უზნაძის დებულება ფსიქიკის ობიექტურ მოცემულობაზე. მისი აზრით, „ფსიქიკა, რომელიც სხეულთან ერთად ერთ მთლიანს წარმოადგენს, შეუძლებელია ამ სხეულის ობიექტურად გამოვლენილ პროცესებსა ან აქტებში არ ჩანდეს და, მაშასადამე, ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობას არ გვაძლევდეს“<sup>2</sup>. და აი, ეს არის მთავარი: მოქმედებაში პიროვნება მოცემულია ობიექტურად. ხოლო რას და როგორ აკეთებს პიროვნება, როგორ მოქმედებს იგი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შესაძლებლობის, ტენდენციების, განწყობებისა და ძალების მფლობელია ის.

პიროვნებას არ შეუძლია გადალახოს თავის შესაძლებლობის საზღვრები. ყოველი ქცევა-მოქმედება ინდივიდის ფსიქო-ფიზიკური ძალებითაა განსაზღვრული, ამ ძალების შესატყვისია. ქცევა-მოქმედება პიროვნების ანაბეჭდია. ეს ანაბეჭდი პიროვნების ყოველ ქცევაში ობიექტურადაა მოცემული. ამის საბუთად ისიც გამოდგება, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში პიროვნების დახასიათებისათვის ადამიანის ქცევას მივმართავთ და აქედან დევასკენით, თუ რა კაცია ის, ხოლო იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ რა ქცევაა ვინმესაგან, გარკვეულ სიტუაციაში, მოსალოდნელი — უნდა ვიცოდეთ რა ძალებისა და შესაძლებლობის მფლობელია იგი.

## 2. პიროვნების თავისებურება

რას ნიშნავს პიროვნების თავისებურება, როგორ უნდა გვესმოდეს ის, როგორია ამ ცნების შინაარსი?

ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაციის ყოველგვარი განსხვავებული, შინაგანი თუ გარეგანი, ნიშან-თვისება, რაც ადამიანის პიროვნების ინდივიდუალურ სახეს ქმნის და ამით მას მეორე ადამიანისაგან განასხვავებს, — მის პიროვნულ თავისებურებას შეადგენს. წინადადებაში: „ადამიანი მოაზროვნე არსებაა“ — სიტყვა მოაზროვნე აქ პიროვნულ-

<sup>1</sup> Durch die Löcher deines Mantels schaut die Eitelkeit hindurch“ მოტანილია ვ. შტერნის „Person und Sache“-დან.

<sup>2</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3—4, თბილისი, 1964, გვ. 19.

ინდივიდუალურ თვისებას არ აღნიშნავს; ის აღნიშნავს ზოგად-ადამიანურ, უნივერსალურ თვისებას, სახელდობრ, იმას, რაც ყოველი ადამიანის კუთვნილებას შეადგენს და რაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს. მაგრამ წინადადებაში: „ეს კაცი ღრმად მოაზროვნე პიროვნებაა“ — სიტყვა „მოაზროვნეს“ ევალება ხაზი გაუსვას ამ კაცის პიროვნებაში აზროვნების, გონიერების, შემეცნებითი ძალების პიროვნულ-სტრუქტურულ მნიშვნელობას, იმას, რომ ამ კაცის პიროვნება აზროვნების პროცესებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს, ვიდრე რომელიმე სხვა აქტისადმი, სხვა მოქმედებისადმი, რომ ის მკვლევარია და მის ინტერესთა სფეროს, აზროვნების პროცესებისადმი საგანგებო მიდრეკილება განსაზღვრავს; რომ ის ამით გამოირჩევა იმ ადამიანებისაგან, რომელთაც ასეთი ვალრმავებული მიდრეკილება შემეცნებითი აქტებისადმი არ ემჩნევათ. შეიძლება მას კიდევ სხვა რაიმე თავისებურება ახასიათებდეს, მაგრამ მისი პიროვნების ერთ-ერთ მარგანიზებელ თვისებად აზროვნების პროცესებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, პიროვნულ თავისებურებას ქმნის ის თვისება ან თვისებათა კომპლექსი, რომელიც პიროვნების სტრუქტურულ მთლიანობაში, სხვა თვისებათა შორის, წინაა წამოწეული და განსაზღვრავს თვით პიროვნული სტრუქტურის ორგანიზაციას.

ადამიანს, ინდივიდს საკუთრივ მისი პიროვნების დამახასიათებელი ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაცია მოეპოვება და ამით ის სხვებისაგან გამოირჩევა. პიროვნების ნიშან-თვისებათა ეს განსხვავებული ორგანიზაცია მის თავისებურებას ქმნის; გამოყოფს მას სხვებისგან და მის ინდივიდუალურ სახესხვაობას საზღვრავს. შეიძლება ეს იყოს მთლიან-პიროვნული თავისებურება, ან ხასიათისეული, ან აზროვნებისა და ნებელობის აქტივობას შეეხებოდეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ის მინც პიროვნების თავისებურებაა, მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელია.

ერთი სიტყვით, ზოგადი დამახასიათებელი თვისება ინდივიდუალურ თვისებად ყალიბდება, თუკი ინდივიდში იგი ისეა წარმოდგენილი, რომ პიროვნულ-სტრუქტურულ კომპლექსში ფაქტორის მნიშვნელობით შედის.

## 8. პიროვნების თავისებურებათა სახეები

პიროვნების თავისებურება, საზოგადოდ, სამი სახითაა წარმოდგენილი: პირველი თავისებურება პიროვნების ფსიქიკური თუ ფიზიკური ნიშან-თვისებით არის განსაზღვრული. ნიშან-თვისების ნიადაგზე აგებული პიროვნული თავისებურება კონსტანტური ბუნებისაა, მისი სტაბილობა იმდენად მყარია, რომ ის ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე შედარებით უცვლელი რჩება. ასეთია ადამიანის ხასიათის, გონიერების, ნებელობის,

ფიზიკური ნიშან-თვისებების ნიადაგზე აღმოცენებული პიროვნული თავისებურებები.

პიროვნების ნიშან-თვისებით განსაზღვრული და სტრუქტურირებული თავისებურება შემდეგი სიტყვებით აღინიშნება: კვიანი, გონიერი, სულელი, კეთილი, კაცთმოყვარე, ავი, ბოროტი, ხელგაშლილი, ძუნწი და სხვა.

მეორე პიროვნული თავისებურება გრძობა-ემოციის განცდით შექმნილი პიროვნული მდგომარეობით განისაზღვრება და ყალიბდება. ემოციის ნიადაგზე შექმნილი პიროვნული მდგომარეობა დინამიკური ბუნებისაა, დენადია, პიროვნების თავისებურებას ავლენს აი ახლა, ამ მოცემულ მომენტში და გარკვეული დროის შემდეგ მისი აქტივობა წყდება.

ემოციური განცდით განსაზღვრული მდგომარეობა პიროვნების თავისებურების გამოვლენად იმიტომ ითვლება, რომ თვით ემოციური განცდა ყოველთვის დიდი ინდივიდუალური თავისებურებით გამოირჩევა. ადამიანის ინდივიდუალობის მაჩვენებელია ის, თუ როგორ შფოთავს ან როგორაა გახარებული იგი, როგორ დარდობს ან წუხს, ან უყვარს, რამდენად ღრმად, რა ხარისხით, რა სერიოზულობით, რამდენად დამაჯერებლად. ყოველ ემოციურ განცდაში ადამიანის პიროვნება ინდივიდუალური პოზიციიდან მოჩანს. თვით ისიც, რომ ადამიანი აი ახლა, ამ სიტუაციის ზეგავლენით იცინის თუ ტირის, შფოთავს თუ გახარებულია — მის პიროვნულ თავისებურებას ამჟღავნებს, ვინაიდან მეორე ადამიანი ამ პირობებში შეიძლება სრულებით არ იცინოდეს ან არ ტიროდეს, არ შფოთავდეს, ან არ იყოს გახარებული.

გრძობა-ემოციის განცდით შექმნილი პიროვნული მდგომარეობა თუმცა ცვალებადია, დენადია, მაგრამ მაინც ემოციის ქრონიკული დისპოზიციის გამოვლენაა.

ემოციის მდგომარეობით გამოვლენილი პიროვნული თავისებურება შემდეგი სახელწოდებებით აღინიშნება: შეშფოთებული, აღელვებული, განრისხებული, გაჯავრებული, დამწუხრებული, გახარებული და სხვა.

მესამე შემთხვევაში პიროვნების თავისებურება ზოგადი შინაარსისაა, იგი პიროვნების ინტეგრირებულ სახეს ასახავს. ასეთი თავისებურების საფუძველი — დისპოზიცია პიროვნებაში უშუალოდ არაა მოცემული. ასეთი ყველა სოციალურ-შეფასებითი სიტყვებით წარმოდგენილი პიროვნული თავისებურება. მაგალითად, სახელგანთქმული, პატივმოსილი, განდიდებული, დაცემული, გამასხარავებული, ხელწამოსაკრავი და სხვა. (თუ რამდენად გაშინაარსებულია ფსიქოლოგიურად და ღირებული სოციალურ-შეფასებითი ნიადაგზე დადგენილი პიროვნული თავისებურებების აღმნიშვნელი სახელწოდებები, გარჩეული იქნება ქვემოთ, „სიტყვის სტრუქტურის ანალიზში“).

პიროვნული თავისებურების ზემოაღნიშნულ პირველ ორ შემთხვევაში თავისებურება უშუალოდაა გამოვლენილი და შემმეცნებელისთვის პირ-



დაპირ მისაწვდომი, როგორც პიროვნების თვისება, რომლის საფუძველზე პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ ორგანიზაციაში იგულისხმება, როგორც დისპოზიცია. მესამე შემთხვევაში პიროვნების თავისებურების ფსიქო-ფიზიკური, დისპოზიციური ორგანიზაცია სავსებით დაფარულია. აზრი პიროვნების თავისებურების შესახებ მუშავდება პიროვნების მიერ შექმნილ ღირებულებათა შეფასების გზით. რასაკვირველია, ამ მესამე შემთხვევაშიც: პიროვნული თავისებურება აგრეთვე პიროვნული მონაცემების დისპოზიციურ საფუძველზეა საბოლოოდ აგებული, ვინაიდან პიროვნების შინაგანი მონაცემების გარეშე არ შეიძლება, საზოგადოდ, რაიმე პიროვნული მოვლენა წარმოიშვას, პიროვნული თავისებურება აღმოცენდეს და, მაშასადამე, სახელდებულ იქნას. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს პიროვნული მონაცემები, ამ შემთხვევაში, არ არის გამოვლენილი.

აქედან გასაგებია, რომ ზოგი პიროვნული თავისებურება უფრო არსებითია პიროვნებისათვის, ფსიქოლოგიურად გაშინაარსებული და ნიშანდობლივი (ასეთია ნიშან-თვისების ნიადაგზე აღმოცენებული თავისებურებები), ზოგი კიდევ უფრო შორეულია, დისპოზიციური საფუძვლის უშუალო მოცემულობას მოკლებული და წარმოდგენილია სოციალურ-შეფასებითი ცნების სახით.

პიროვნების თავისებურების მცირედი მაჩვენებელიც კი მნიშვნელოვანია — იქნება ეს ფსიქიკური, ფიზიკური, სოციალურ-შეფასებითი შინაარსის, უფრო სუბიექტური, (მაგ., მშვენიერი, ძვირფასი, მომხიბლავი და სხვ.), თუ უფრო ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე (მაგ., აბუჩად აგდებული, გაკიცხული, დამცირებული და სხვა.). ყოველმათგანს გარკვეული ადგილი უკავია პიროვნულ მთლიანობაში და თავის მხრივ ერთგვარ ინფორმაციას გვაწვდის პიროვნების ბუნების შესახებ, ზოგი ბევრსა და არსებითს, ზოგი მცირესა და ნაკლებმნიშვნელოვანს, ხოლო ყველა ისინი ერთად პიროვნების თვალმიუწვდომელ ნაირსახეობას ავლენენ. ამიტომ როგორც არსებითი მნიშვნელობის ნიშან-თვისების, ისე მცირემნიშვნელოვან მაჩვენებლის აღნიშვნა და აღრიცხვა გამართლებულად და საჭიროდაც უნდა მივიჩნიოთ.

#### 4. პიროვნების თავისებურებათა სახელწოდებაგის წარმოშობის ფაქტორები

რა საფუძველი აქვს პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვა-სახელწოდების წარმოშობას? რა ფაქტორი უწყობს ხელს პიროვნულ თვისებების სახელდებას, მათ ობიექტივაციას? აღნიშნული საკითხი მოითხოვს ადამიანის ქცევა-მოქმედების კვლავ განხილვას.

ერთი ადამიანის მოქმედებას, რომ მეორე ადამიანისათვის ყოველთვის მნიშვნელობა აქვს, ამას, უთუოდ, რაღაც საგანგებო აზრი უნდა ჰქონდეს. და, მართლაც, ყველა სასიცოცხლო ღირებულება ადამიანთა ურთიერთობის პროცესსა და ადამიანთან მიმართებაში შექმნილა; მოქმედება ადამიანთა შორის ურთიერთობას განაპირობებს, განსაზღვრავს, აყალიბებს. ერთი ადამიანის მოქმედება მეორე ადამიანისათვის ზოგჯერ კიდევ საბედისწეროც შეიძლება გახდეს. პიროვნების შესწავლისათვის თეორიულ ინტერესზე არა ნაკლები მნიშვნელობა პრაქტიკულ მოტივებს აქვთ, სახელდობრ, იმის ცოდნას, თუ რა განწყობები და შესაძლებლობები, რა ფსიქიკური და ფიზიკური მონაცემები აქვს ადამიანს, რომლის მოქმედება მეორე ადამიანისათვის ესოდენ მნიშვნელოვანია.

ერთი სიტყვით, პიროვნების თავისებურებისადმი შემეცნებით ინტერესს, გარდა თეორიულისა, ყოველთვის ჰქონდა პრაქტიკული საფუძველიც, ამიტომაც ადამიანის შემეცნებისადმი მისწრაფება საყოველთაო და ძველისძველ მოთხოვნილებად უნდა ჩაითვალოს. აი, ეს ინტერესი მეორე ადამიანისადმი, მისი გაგებისა და მასთან ურთიერთობის მოთხოვნები აპიროვნების თავისებურების შემეცნების პირობაა და, მაშასადამე, მისი თვისებების სახელდების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი.

საკმარისია შემეცნებითი ინტერესით აღვიქვათ ადამიანის ქცევა, რომ ამ აღქმაში აისახოს მოქმედი სუბიექტის სახე, მისი ნამდვილი არსი, უმალ მისი ობიექტივაციაც მოხდეს და ამის შედეგად მისი სახელიც გაჩნდეს, თანდათანობით დაკანონდეს და საყოველთაო აღიარება პოვოს. ეს უკანასკნელი სოციალური აქციაა, საზოგადოებრივი შეგნების გარკვეული ფორმის შემოქმედება, რომელსაც თავისი საკუთარი კანონი წარმართავს. მაგრამ ამას ჩვენ აქ ვერ შევეხებით.

ერთი სიტყვით, ერთი მხრივ, ქცევა, რომლის უკან პიროვნება დგას და ქცევის შინაარსში თავის ბუნებას ამჟღავნებს და, მეორე მხრივ, ქცევის შემეცნებისაკენ მიმართული მეორე ადამიანის ინტერესი — აი, ამ ორი პირობის ურთიერთ შემოქმედება უნდა იყოს პიროვნების თვისებათა და თავისებურებათა სახელდების განმსაზღვრელი.

ფსიქიკური მოვლენები, — განცდები შემეცნება, გრძნობა, ნებელობა, სურვილი, ინტერესი, მისწრაფება და, საერთოდ, ყოველი სულიერი მოძრაობა, ყოველი აქტი, რაც კი ოდესმე ქცევაში გამოვლენილა და საზოგადო დაკვირვების ობიექტი გამხდარა — ყველაფერი ეს სიტყვიერ სიმბოლოშიც ასახულა. ადამიანის პიროვნების ყოველი თავისებურება, ყოველი თვისება ან მთლიანპიროვნული სტრუქტურა, თუკი ის ობიექტურად გამოვლინდა და ამით მეორე ადამიანის დაკვირვების საგანი შეიქნა, უთუოდ, კრიტიკული აღქმის, განხილვისა და შეფასების ობიექტიც გახდება და, მაშასადამე, მეთყველები ის სიმბოლოშიც აისახება, როგორც სახელდებული მოვლენა.

და, მართლაც, ყოველი ენა მეტ-ნაკლებად მდიდარია პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვა-სახელწოდებებით. აქ იგულისხმება არა რომელიმე თეორიის ნიადაგზე შექმნილი, კონსტრუქტული ცნება-ტერმინი, არამედ ცოცხალ მეტყველებაში დაგროვილი და მწერლობაში ასახული პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებები.

##### 5. პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებები ქართულ ენაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს ქართულ ენაში არსებულ პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვა-სახელწოდებების თავმოყრა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მათი განხილვა და დაჯგუფება.

ჯერ თვითსიტყვათა ინვენტარის დადგენის შესახებ. ამ მიზნით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ამოვკრიფეთ პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელი ყოველი პიროვნულ<sup>1</sup> მნიშვნელობის სიტყვა-სახელწოდება. ასეთ სიტყვებად მივიჩნიეთ ლექსიკონში აღნიშნული: 1. სიტყვა, რომელიც ლექსიკონის განმარტებით, პირდაპირ ასახავს მთლიან პიროვნებას, მის ნიშან-თვისებას, რაიმე თავისებურებას, ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური შინაარსის ყოველ სპეციფიკურ-პიროვნულ თავისებურებას ან მდგომარეობას. მაგ., ავი, ბოროტი, გონიერი, მამაცი, გულთმისანი; მასხარა, და სხვა; 2. პიროვნების შესახებ სახმარი სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით. მაგ., მხეცი, აფთარი, მტაცებელი, ბნელი, პირდაპირი, პირშავი და სხვა.; რომელთა სიმბოლოებში ნაგულასხმევია დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური შინაარსის პიროვნული სახელწოდება; 3. ფიზიკური სტატუსის — ჰაბიტუსის, ძალ-ღონის, გარეგანი სილამაზის აღმნიშვნელი სიტყვები; 4. პათოლოგიურ პიროვნებათა სახელწოდებები.

სიტყვის შერჩევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა სიტყვის განმარტებას და განმარტების ლიტერატურულ დოკუმენტაციას. ამ საბუთებით აღკუთრებული პიროვნების დახასიათების ყოველი სიტყვა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ავთენტიკური მნიშვნელობის მქონედ მივიჩნიეთ.

სიტყვათა მცირე რაოდენობა აღებულია სხვა წყაროებიდანაც: ორთოგრაფიული ლექსიკონიდან და სხვადასხვა მხატვრული ნაწარმოებებიდან.

გამორჩევა, რომ ქართული ენა დღეისათვის პიროვნების დახასიათების 4511 სიტყვა-სახელწოდებით სარგებლობს, რაც „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ მთელი სიტყვათა მარაგის (112949<sup>2</sup> სიტყვის) 4.0 პროცენტს შეადგენს.

<sup>1</sup> გამოთქმა—პიროვნული თავისებურება, პიროვნული თვისება გულისხმობს პიროვნების თავისებურების გამომსახველს, პიროვნებისადმი მიუთუნებულს, მთლიან-პიროვნულს.

<sup>2</sup> ქართული განმარტებითი ლექსიკონი, „მთავარი რედაქციისაგან“, ტ. 8.

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფსიქოლოგმა გორდონ ოლპორტმა „ახალი საერთაშორისო ლექსიკონის“ 400 000 სიტყვიდან<sup>1</sup> ამოკრიფა პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელი 17953 სიტყვა-სახელწოდება, რამაც ლექსიკონის სიტყვათა მთელი მარაგის 4,5% შეადგინა.

პიროვნების დამახასიათებელ სიტყვათა რაოდენობის მიმართება სათანადო ენის საერთო მარაგთან ორსავე შემთხვევაში თითქმის დამთხვა ურთიერთს. ეს გარემოება შეიძლება არც იყოს შემთხვევითი, მაგრამ კანონზომიერ მოვლენად მისი მიჩნევა საძნელოა სხვა ენების მონაცემების გარეშე. ჭერჯერობით კი ამ საკითხზე სხვა შრომა ჩვენთვის ცნობილი არ არის, ეს საკითხი ღიად რჩება.

ქართულ ენაში დადასტურებული 4511 სიტყვიდან საკუთრივ ქართული ენის სიტყვებია 4155 სიტყვა (92,1%), ხოლო 356 სიტყვა (7,9%) უცხო ენებიდან შემოსული, ყველა ცნებითი ბუნების ტერმინია (იგულისხმება არა ძველთაგანვე შემოსული და ქართულ ენასთან შესისხლხორცებული უცხოური სიტყვა, რომლის უცხოურობა მხოლოდ სპეციალური კვლევით დასტურდება, არამედ ახლად შემოსული მეცნიერული ტერმინები).

პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელ ქართული ენის 4155 სიტყვათა მარაგში 167 სიტყვას ორი სიტყვის მნიშვნელობა აქვს თითოეულს, 16 სიტყვას — სამი და I-ს - ოთხი; 222 სიტყვა „კუთხურია“; 185 — „ძველი“ და 99 „წიგნური“. ისინი ქართული ენის კანონიერ ერთეულად მიღებულია თვით „განმარტებითი ლექსიკონის“ მიერ და შეტანილია ლექსიკონის სიტყვათა საერთო მარაგში. კერძოდ „კუთხურის“ შესახებ ლექსიკონში ნათქვამია, რომ ის არის „ლექსიკური სარეზერვო ფონდისად ნავარაუდევია“<sup>2</sup>. გარდა ამისა, ეს კუთხური ლექსიკა, როგორც პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდება, შინაარსეულად მდიდარია, აღნიშნავს პიროვნების გარკვეულ ქარაქტეროლოგიურ მომენტს, მაგ., სიტყვა „დროსეული“ (ფშაური) — ავის საქნელად დროს მომლოდინე კაცი; „ენით ამპარტავანი“ (ქართლული) — ტრაბახა; „თავნიერი“ (იმერული) — საქმის თავიანად წამყვანი; „კუზა“ (გურული) — უკადრისი; „პირამტეხი“ (გურული) — პირში მთქმელი და სხვა.

რაც შეეხება „ძველ“ სიტყვებს — ეს ის სიტყვებია, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს შემორჩა, რადგან „ლექსიკონში არ შესულა ძველი ქართული სამწერლო ენის ის სიტყვები, რომლებიც ახალ ქართულს არ შემორჩა“<sup>3</sup>. რასაკვირველია, შესაძლოა „ძველი“ სიტყვების აქტიურობა ახალთან შედარებით რამდენიმედ შემცირებული იყოს, მაგრამ შესაფერის სიტუაციაში ისინი აზრის სამკაულად წარმოგვიდგებიან. მაგ., მსცოვანი, თანამდგომი, ოქროპირი და სხვა.

<sup>1</sup> New International Dictionary, უებსტერის გამოცემა, 1925.

<sup>2</sup> „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. 1, გვ. 010.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 081.

წიგნური (99 სიტყვა) მაგ., ბედგანწირული, კაცთმოყვარე, სწორუპო-  
ფარი, დიდბუნებოვანი და სხვ. — ეს სიტყვები არ არიან წარმოშობილი პი-  
როვნების დახასიათების ფსიქოლოგიური ან რომელიმე თეორიის ნიადაგ-  
ზე, არ არიან კონსტრუქტულ-ცნებითი ბუნების და ცოცხალ მეტყველებას-  
თან ორგანულად არიან შერწყმული, როგორც სხვა ყოველი არაწიგნური  
სიტყვა. ამიტომ პიროვნების დახასიათების სიტყვათა საერთო მარაგში მათი  
შეტანა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. სამი კატეგორიის ეს სიტყვები  
შეტანილია პიროვნების დახასიათების ქართულ სიტყვათა საერთო მარაგში.

## 6. კვლევის ამოცანა

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ორი დებულება: პ ი რ ვ ე ლ ი — ქართულ  
ენაში მოცემული პიროვნების დახასიათების 4155<sup>1</sup> სიტყვა-სახელწოდება  
ერის ენობრივი კულტურის მაჩვენებელია. მ ე ო რ ე — სიტყვათა ეს მა-  
რავი სოციალური შემოქმედების ნაყოფია.

ხალხურმა შემოქმედებამ კი იცის ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისე-  
ბურებათა მიგნება. „არის ერთი არსება, რომელსაც ერს ეძახიან და რომლის  
სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოდიკა და,  
მაშასადამე, მართალიცა“<sup>2</sup>, — წერდა ილია ჭავჭავაძე. ქართული ენის პი-  
როვნული სიტყვა-სახელწოდების ეს მარავი ხალხური სიბრძნის „ზღვისებრ  
ძირში“ შენახული „მართალი მარგალიტია“.

ერის ამ ენობრივი სიმდიდრის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელო-  
ბის მიხედვით, რომლის შესახებ ზემოთ (წინასიტყვაობაში) აღვნიშნეთ,  
კვლევის ორი ამოცანა ისახება: პირველი ამოცანაა — პიროვნულ თავისე-  
ბურებათა და ნიშან-თვისებათა დაჯგუფება სიტყვათა ფსიქოლოგიური შინა-  
არსის თვალსაზრისით. სიტყვათა მარავის ასეთი წესით დაჯგუფება გამოყოფს  
სიტყვათა ზოგად კატეგორიებს, ზოგად პრინციპს, რაც მაქსიმალურად გა-  
ზრდის და გაადვილებს ამ სიტყვებით სარგებლობისა და გამოყენების შესაძ-  
ლებლობას.

მეორე ამოცანის მიხედვით საკითხის დაყენება ასეთია: ენაში ასახული  
პიროვნების თავისებურებები ხალხური სიბრძნისა და შემოქმედების ნაყო-  
ფია და ჩვენი ამოცანაც ისაა, რომ გავარკვეოთ, თუ როგორაა ენაში პიროვ-  
ნება წარმოდგენილი? როგორაა ის ხალხურ შემოქმედებაში მოცემული? რა  
ღირებულებისაა წარმოდგენილი მასალა, როგორც ფსიქოლოგიური დოკუ-  
მენტი? შეიცავს თუ არა ის ზოგად-ფსიქოლოგიურ, ქარაქტეროლოგიურ ან  
სოციოლოგიურ ხასიათის პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის შესაძლებ-  
ლობას? ხალხის შემოქმედებაში ასახული პიროვნების დახასიათების ეს

<sup>1</sup> იგულისხმება მარტო ქართული სიტყვები.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. 8, 1957, გვ. 271.

მრავალრიცხოვანი სახელწოდება რამდენად არის განსაზღვრული ზოგად-ფსიქოლოგიური ტენდენციებით და სახელდობრ რომელით? როგორია ამ ტენდენციების ურთიერთდამოკიდებულება? თუ შეიძლება ამ მასალის ნიადაგზე რაიმე კანონზომიერების დადასტურება? აი ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა წინამდებარე ნაშრომის ამოცანას შეადგენს.

## 7. პიროვნების თავისებურებათა და ნიშან-თვისებათა სახელ- წოდებაების კლასიფიკაციის პრინციპები

დამსული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოხერხდა ქართულ ენაში დადასტურებულ პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელ 4511 სიტყვა-სახელწოდების კლასიფიკაცია, მათი კატეგორიებად დაჯგუფება და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა. ერთი სიტყვით, თუ მოხერხდა რაიმე წესრიგის შეტანა წარმოდგენილ სიტყვათა ალფაბეტურ კომპლექსში.

პიროვნულ თავისებურებათა და ნიშან-თვისებათა კლასიფიკაცია, ქარაქტეროლოგიურ ნიშანთა მიხედვით მათი დალაგება, პიროვნების კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თემაა. ასეთი კლასიფიკაცია ან პიროვნების ზოგად თეორიასთან უნდა იყოს შეთანხმებული, ან თვისებათა კერძო თეორიასთან. შესაფერისად ამისა კლასიფიკაციის ორი გზა ისახება: ერთი—თვისებათა კლასიფიკაციის შეფარდება იმ ზოგად-ფსიქოლოგიურ კონცეფციასთან, რომლის ასპექტით მკვლევარი პიროვნების გაგებას უღებდა; მეორე — თვისებათა კლასიფიკაციის აგება თვით თვისებათა საკუთარი ბუნებიდან.

რაც შეეხება პირველ გზას, სახელდობრ, კლასიფიკაციის შეფარდებას პიროვნების ზოგად თეორიის პრინციპებთან — ცნობილია მრავალი თეორია, რომელთაც სრულიად გარკვეულად, მაგრამ სხვადასხვანაირად ესმით პიროვნების სტრუქტურა, წყობა, არსი. ყოველი თეორია პიროვნების შესახებ სხვადასხვა განმარტებას იძლევა, მაგ., პიროვნება არის:

1. ფსიქო-ფიზიკურ ფუნქციათა და მოვლენათა ნაერთი, წარმონაქმნი (ასოციაციური ფსიქოლოგია).

2. თავისთავისკენ მიმართულ მიზანთა სისტემით აღჭურვილი სუბსტანცია (პერსონალისტური ფსიქოლოგია ვილიამ შტერნისა).

3. მთლიან-სტრუქტურული ერთიანობა (გეშტალტ-ფსიქოლოგია ანუ სტრუქტურული ფსიქოლოგია).

4. გამოცდილებითა და სწავლით შექმნილ თვისებათა სისტემა (ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია).

5. ფსიქო-ფიზიკურ ძალთა დინამიკური ორგანიზაცია (ბიო-ფიზიკური თეორია გორდონ ოლპორტისა).

6. პოლარული წყობის მთლიანობა (ვიტალურთან—ახლო, გონთან — შორს; კლაგესი, ველკეი, ლერში, ფეტერსი, და სხვა ანთროპოლოგიური მიმართულება).

7. განწყობით განსაზღვრული მთლიანობა (განწყობის თეორია დ. უზნაძისა).

თვით მოქმედებას ადამიანისას სხვადასხვა თეორია სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენს: ერთი მიმართულების მიხედვით — მოქმედება დისპოზიციური ფაქტორებით შეპირობებული პროცესია (სიღრმითი ფსიქოლოგია). მეორე მიმართულების მიხედვით მოქმედება გალიზიანება-რეაქციის უშუალო მიმართებითაა განსაზღვრული (ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია).

ყველა ამ ფსიქოლოგიურ მიმართულებას გააჩნია პიროვნების გარკვეული სქემა, მოდელი, რომელთა მიხედვით შესაძლებელი უნდა იყოს პიროვნების ყოველგვარი გამოვლენის გაგება და შეფასება, მაშასადამე, პიროვნების თავისებურებათა განსაზღვრა და კლასიფიკაცია.

სინამდვილეში საქმის მდგომარეობა ასეთია: თუ ცალკე პიროვნებათა დახასიათების მიზნით ისინი მეტნაკლებად გამოსადეგი არიან და პიროვნების აღწერას და ხასიათის გახსნას სხვადასხვა სისრულით, მაგრამ მაინც ახერხებენ, ხალხური მეტყველების პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებების მთელი მარაგის კლასიფიკაცია არ შეუძლიათ. მაგ., ასოციაციური ფსიქოლოგია პიროვნების დახასიათებისთვის და მოქმედების ახსნა-გაგებისათვის ასოციაციის კანონებს იყენებს და ამ გზით ცდილობს წვდეს პიროვნების არსს, გახსნას მისი ხასიათი და დაამყაროს ერთი ზოგადი სახეცნობილია ტულუზას მიერ მათემატიკოს პუანკარეს დახასიათება ცალკე ფუნქციითაა გამოკვლევის გზით.

ასოციაციური ფსიქოლოგიის მეთოდით პიროვნების კვლევის კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითია პროფესორ ვ. ჩიჟის მიერ რუსეთის მეფის პავლე პირველის დახასიათება.

ვ. ჩიჟის აზრით, პავლე პირველის ძირითადი ტრაგედია ის იყო, რომ მას ასოციაციის ცენტრი, თავის ტვინში, სათანადოდ არ ჰქონდა განვითარებული. მისი დამრეცი შუბლი და თავისებური თავის ქალა ექვს არ ტოვებდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ასოციაციის ცენტრის განვითარება აქ შეფერხებული იყო. ვ. ჩიჟის აზრით, პავლე პირველს კონტრასტული ასოციაციის ცენტრი ნაწილობრივ ჰქონდა შემორჩენილი, რადგან მის ყოველ მოქმედებას კონტრასტული ასოციაციით გამოწვეული წარმოდგენები განსაზღვრავდნენ. საბედისწერო ის იყო, ჩიჟის აზრით, რომ ამ კონტრასტული ასოციაციის მოქმედებაზე იყო დამოკიდებული მთელი რუსეთის იმპერიის ბედი: კონტრასტული ასოციაციის ზეგავლენით ის სინამდვილეს და საკუთარი წარმოსახვის სურათებს ერთმანეთში ურევდა, სწორი მსჯელობიდან აბდაუბდაზე გადადიოდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> В. Ф. Чиж, „Император Павел I“, Вопросы философии и психологии, 1907, кн. IV (89).

პროფესორი ვ. ჩიუი წერს: „ის ღიღინას ფიქრობდა ტახტის მემკვიდრეობის კანონზე და ამიტომ მის თავში უნდა გაჩენილიყო ამ კანონის კონტრასტი; ძლიერ უყვარდა თავისი მეუღლე და უფროსი შვილები და ამიტომ ისინი საშინლად უნდა შეეჯავრებოდა“<sup>1</sup>. „სიკვდილით დასჯა გარუზინოვისა და საშინელი წამება აკიმოვისა, არაფერი იყო, გარდა მისი თავის ქალის არასწორი განვითარების შედეგისა“<sup>2</sup>.

ასოციაციის პრინციპი, როგორც მთლიანი პიროვნების მოქმედების ახსნის თეორია, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დღეს აღიარებული არ არის. ტულუზას მიერ მათემატიკოს პუანკარეს პიროვნების დახასიათების ცდაში, მკვლევარების აზრით, პუანკარეს მთლიანი პიროვნება არ ჩანს. მაგ., ასეთი აზრისაა გ. ოლპორტი). მაგრამ ერთგვარ ცნობას და წარმოდგენას პიროვნების შესახებ ეს თეორია აწვდის მკითხველს. რასაკვირველია, ვ. ჩიუის მიერ მოცემული დახასიათება პიროვნებისა, ასოციაციის პრინციპის მიხედვით, არსებითად არავითარ ახსნას არ იძლევა. და თუ ეს „ახსნა“ რაღაც წარმოდგენას მაინც ქმნის ამ კაცზე, ეს იმ აღწერის გამო, რომელიც მოყვანილი აქვს მას ასოციაციის კანონის მოქმედების საილუსტრაციოდ; მით უმეტეს შეუძლებელია ასოციაციის ფარგლებში (კანონები: მსგავსება, კონტრასტი, მეზობლობა დროში, მეზობლობა სივრცეში) მოთავსდეს პიროვნების თავისებურებათა და თვისებათა აღმნიშვნელი მრავალრიცხოვანი სახელწოდება.

ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის საპირისპიროდ ავიღოთ სტრუქტურული ფსიქოლოგიის პერსონალისტური მიმდინარეობა ვილიამ შტერნისა. მის მიერ წამოყენებული თეორია პიროვნების შესახებ აგებულია სიცოცხლის მიზნისა და აზრის, პიროვნების მიზანთა სისტემის განხორციელებისთვის აუცილებელი ძალების — ფენომენების, აქტების, დისპოზიციების, ტენდენციების, თვისებების — სტრუქტურული ერთიანობის თვალსაზრისზე. პიროვნების ერთიანობა, ამის მიხედვით, მიზანთა სისტემის დაცვის საერთო ამოცანით სტრუქტურირებული მრავლიანობის ერთიანობაა. მრავლიანობაში შემავალ ყოველ ცალკე მომენტს გარკვეული ფუნქცია აქვს და მთლიანის სისტემისათვის მნიშვნელობის მქონეა, ამავე დროს თვით მომენტს მთლიანის კანონზომიერება განსაზღვრავს.

ვ. შტერნის პერსონალისტური სქემა მისი ზოგად-ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური კონცეფციის ნიადაგზე აღმოცენებული ქარაქტეროლოგიური მოდელია. აქ მკვიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული პიროვნების მიზანთა სისტემა, მისი განხორციელებისა და დაცვის ძალებთან — დისპოზიციებთან, თვისებებთან, ფენომენებთან, აქტებთან. პიროვნების ყოველ მომენტს შეუძლია ამ სისტემაში მოქმედოს თავისი ადგილი და პიროვნების მთლიან სისტემას, მთლიან სტრუქტურას შეერწყას. ვ. შტერნის ქარაქტე-

<sup>1</sup> В. Ф. Чиж, „Император павел I,“ Вопросы философии и психологии, 1907. кн. IV. (89)2 გვ. 410—411.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 409.



როლოგიურ მოდელს პიროვნების მიზანთან შერწყმულ დისპოზიცია-თვისებათა სიმფონია შეიძლება ეწოდოს. „ვილიამ შტერნის სისტემატიზებულ თვისებათა თეორია თავისი გამართვითა და დიფერენცირებული ხასიათით შემდგომ მკვლევართათვის სანიმუშოა. დღევანდელი ფსიქოლოგებისათვის კი მრავალნაირად წინამორბედი და მაჩვენებელია“<sup>1</sup>, — ამბობს შტერნის თეორიის შესახებ კ. გრაუმანი.

მიუხედავად ამისა, პიროვნულ სახელწოდებათა კლასიფიკაციის სქემად ის მაინც არ გამოდგება იმის გამო, რომ საკლასიფიკაციო სიტყვა-სახელწოდების დისპოზიციური შინაარსი თვალსაჩინოდ მოცემული არ არის; მათს ასეთ დისპოზიციურ საფუძველს რომ მივავნოთ, საჭიროა ყოველი სიტყვის ექსპერიმენტული დამუშავება მათში დისპოზიციური მომენტის გამოვლენის მიზნით, რადგან შტერნის ქარაქტეროლოგიური სქემა დისპოზიციურ-სტრუქტურული წყობის სისტემაა. ამიტომ საკლასიფიკაციო სიტყვათა დაჯგუფება, ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით, განუხორციელებელი ამოცანაა.

რაც შეეხება პიროვნების თეორიის სხვა სისტემებს, სიტყვათა კლასიფიკაციისათვის რაიმე არსებითის მიცემა არც მათ შეუძლიათ, ამიტომ მივმართოთ კლასიფიკაციის მეორე გზას — თვისებათა ფენომენოლოგიას.

ზემოთ მოხსენებული ოლპორტი პიროვნების თეორიას სწორედ ქვევიდან, თვისებიდან აგებს. მის მიერ წამოყენებულ პიროვნების თეორიას „თვისებათა ცენტრირებული თეორია ეწოდება“. გასაგებია, რომ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა საფუძველი მან პიროვნების ზოგადი თეორიით კი არ განსაზღვრა, არამედ პიროვნების თვისების შინაბუნებით, მისი ფენომენოლოგიით.

გ. ოლპორტმა ინგლისური ენის 17953 პიროვნული სიტყვა-სახელწოდება 4 სვეტად დააჯგუფა<sup>2</sup>. პ ი რ ვ ე ლ ს ვ ე ტ შ ი მოათავსა „უფრო სტაბილური თვისების სახელწოდებები, რეალურ თვისებათა აღმნიშვნელი, რომლებიც ყველაზე უფრო გარკვეულად გამოხატავენ პიროვნების გარემოსთან შეგუების განზოგადებულ და პერსონიფიცირებულ დეტერმიულ ტენდენციებს, მყარ სტაბილურ მდგომარეობებს“<sup>3</sup>. მ ე ო რ ე ს ვ ე ტ შ ი მოათავსა აკუტურ-პროცესუალურ ფსიქიკურ მდგომარეობათა ამსახველი პიროვნული სახელწოდებები. მ ე ს ა მ ე შ ი — სოციალური ფაქტორით განსაზღვრული სიტყვები (სოციალურ-შეფასებითი), რომლებიც შესაფერის ბიო-ფიზიკურ საფუძველს მოკლებული არიან. მ ე ო თ ხ ე შ ი — სხვა დანარჩენი სიტყვები, ე. ი. ისეთნი, რომელთაც ამ სამ კატეგორიაში ადგილი არ აღმოაჩნდათ.

<sup>1</sup> Carl-Friedrich Graumann, „Eigenschaften als Problem der Persönlichkeitsforschung“, Handbuch der Psychologie, 4 Band, Göttingen, 1960, გვ. 132.

<sup>2</sup> გორდონ ოლპორტი, „პიროვნება“, ლონდონი, 1949, თავგამანი 6: უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა, ხელნაწერი, გვ. 214—228.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 214.

რა შეიძლება ითქვას კლასიფიკაციის ამ პრინციპისა და ამ ჯგუფების შესახებ?

პირველი სამი სვეტი, რასაკვირველია, თავისთავად საგულისხმო კატეგორიებია. უდავოა, რომ პიროვნების ზოგი თვისება უფრო მეტად სტაბილურია, ადამიანის მთელი სიცოცხლის თანამგზავრია და ნაკლებად ცვალებადი. ისიც ფაქტია, რომ არსებობს პროცესუალურ-აკუტური განცდებით შექმნილი დროებითი მდგომარეობანი (მაგ., სიხარული, მღელვარება და სხვა). არსებობს აგრეთვე სოციალური ფაქტორით დეტერმინებული სიტყვები (მაგ., სახელგანთქმული, განდიდებული და სხვა).

მაგრამ პიროვნების ნიშან-თვისებათა და თავისებურებათა განსაზღვრისათვის აქ მიღებული ორი ნიშანი: დროულობა (სტაბილური-დენადი) და სოციალურ-შეფასებითი პრინციპი, ვფიქრობთ, ვერ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს, მრავალგვარად დაპირისპირებულ და რამდენიმე ათასი ნიუანსით წარმოდგენილ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებაში, ბუნებრივი და კანონზომიერი მიმართების დამყარება. ამის საბუთად გამოდგება ის, რომ ოლპორტის კლასიფიკაციაში სიტყვათა მთელი მარაგის თითქმის მეოთხედი (მე-4 სვეტი) არსებითად დაჯგუფების გარეშეა დარჩენილი; ეს სიტყვები უსისტემო კრებულს წარმოადგენს.

მაშასადამე, ოლპორტის მიერ მოცემული კლასიფიკაციის პრინციპი ძალიან ვიწროა, ვერ იტევს, ვერ მოიცავს სიტყვა-სახელწოდებათა მრავალფეროვნებას. ამიტომ ამ პრინციპმა ვერ შეძლო მეოთხე სვეტის სიტყვათა დიდი რაოდენობის ათვისება (პირველი სვეტის სიტყვათა რაოდენობა უდრის 4504 სიტყვას (25,0%-ს), მეორე სვეტისა კი — 4541-ს (25,0%-ს), მესამე სვეტის—5226-ს (29,0%-ს), მეოთხე სვეტისა კი—3682 სიტყვას (21,0%-ს).

დაბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოლპორტის კლასიფიკაციის შედეგად არც ერთი ზოგად-ფსიქოლოგიური დებულება არ დადასტურებულა და საერთოდ რაიმე გარკვეული საფუძველი მსჯელობისათვის არ შექმნილა.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ოლპორტი პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვებს მალალ შეფასებას აძლევს, ის ამბობს, რომ ისინი „საუკუნეებში გამოვლილი საღი გონების სახელწოდებებია“<sup>1</sup>, საღი გონების დაკვირვების შედეგია ადამიანის ქცევაზე და, როგორც ასეთი, „ყოველი სიტყვა ფსიქოლოგისთვის ავთენტიკური პრობლემაა“<sup>2</sup>, „რომ ადამიანის ნიშან-თვისებათა სახელწოდებები არც კი წარმოიშვებოდნენ, რომ ინდივიდუუმის შინა-ფსიქოლოგიურ „მოწყობილობაში“ მართლაც არ იყოს ისეთი რამ, რაც იწვევს ამ სიმბოლოების გაჩენას“<sup>3</sup>, „რომ ყოველი ეპოქის ტენდენციაა დაახასიათოს ადამიანის თვისებები, ამ პერიოდის ნორმა ინ-

<sup>1</sup> გ. ოლპორტი, დასახელებული შრომა, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 212.

ტერესის მიხედვით და, რომ ნიშან-თვისების სახელწოდების დამკვიდრება ექვემდებარება კულტურული დეტერმინაციის პრინციპს<sup>1</sup> და სხვ.

რაც შეეხება სიტყვათა კლასიფიკაციას — გ. ოლპორტის მიერ გამოყენებული პრინციპი ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ საკუთარი კლასიფიკაციის დადგენა ვცანით საჭიროდ და ქართულ ენაში დადასტურებულ 4511 პიროვნული სიტყვა-სახელწოდების კლასიფიკაცია სულ სხვა გზით წარმართეთ.

პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა კლასიფიკაციის პრინციპად ჩვენ მივიღეთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, სიტყვის შინაარსი. სახელდობრ, ერთი აზრის, ერთი შინაარსის გამომხატველი სიტყვები ამ შინაარსის შესატყვისს ზოგად-ფსიქოლოგიურ კატეგორიაში დავაჯგუფეთ. მაგ., სიტყვები გონიერი, ჰკვიანი, თავიანი, მიხვედრილი, აბნეული, გამოლაყებული, გაუგებარი, გონებადაფანტული და ანალოგიური შინაარსის სხვა სიტყვები, რომლებიც გონების აქტიურობის პიროვნულ თავისებურებებს გამოხატავენ, გონიერების აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორიას მივაკუთვნეთ. სიტყვები: ალტაცებული, დამედებული, გახარებული, ვნებააშლილი, კმაყოფილი, აბობოქრებული, ამღვრეული, გაჯავრებული და სხვ., რომელნიც პიროვნების გრძნობასა და ემოციურ მდგომარეობას გამოხატავენ, მივაკუთვნეთ ემოციის აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორიას. ამ პრინციპის მიხედვით დავაჯგუფეთ ქართული ენის 4511 ქარაქტეროლოგიური სიტყვა-სახელწოდება.

ერთ კატეგორიაში თავმოყრილი ყველა სიტყვა არ არის სინონიმური. ერთ ჯგუფში მათ აერთიანებთ მიმართება პიროვნების იმ ზოგად ფსიქიკურ სფეროსთან ან მდგომარეობასთან, რომლის გამომხატვა მოცემულ კატეგორიის სიტყვათა ილევს შეადგენს. მაგ., ემოციური განცდის გამომხატველი ყოველი სიტყვა — სასიამოვნო თუ უსიამოვნო — ემოციის აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორიაში შედის. ემოციური მდგომარეობა კი ნაირსახოვანია, ამდენადვე, რასაკვირველია, მათი აღმნიშვნელი სიტყვებიც სხვადასხვაა. არის სინონიმური მნიშვნელობის და არასინონიმურიც. ერთ კატეგორიაში სიტყვები იმ ფსიქიკური მდგომარეობის ილევსთან შინაარსეული აფინიტეტითაა დაკავშირებული, რომლის აღნიშვნა ამ სიტყვების მიზანს შეადგენს.

ქართული ენის 4511 ქარაქტეროლოგიური სიტყვა, თვისებათა სახელწოდება, სულ სიტყვათა 8 კატეგორიად დაიყოფა 1. სოციალურ-შეფასებითი, 2. ზნეობრივ-ეთიკური, 3. პიროვნების ხასიათის აღმნიშვნელი, 4. გონიერების აღმნიშვნელი, 5. ნებელობის აღმნიშვნელი, 6. ემოციური მდგომა-

<sup>1</sup> გ. ოლპორტი, დასახელებული შრომა, გვ. 210.

რეობის აღმნიშვნელი, 7. ფიზიკური სტატუსისა და ნიშნების აღმნიშვნელი, 8. პათოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი.

ყოველი კატეგორია, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეჯგუფებად, რათა უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო გახდეს სიტყვის შესაბამისობა გარკვეულ კატეგორიასთან.

სიტყვების შინაარსის სათანადო შეფასების ნიადაგზე, ყოველი ჯგუფი პოლარულად დაპირისპირებულ სიტყვებად დაიყო. მაგ., დადებითი — უარყოფითი, მაღალი — დაბალი, კარგი — ცუდი. სიტყვების შეფასება ხდებოდა არსებული საზოგადოებრივი ეთიკის ნორმების მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა ითვლება დღეს, ჩვენთან, პიროვნების სტრუქტურაში დადებითად და რა უარყოფითად; მაგ., სოციალურ-შეფასებით სიტყვათა კატეგორიაში, სიტყვები — პატივცემული, მოღვაწე, დამსახურებული, დიადი, სახელგანთქმული, სახელოვანი — სოციალური რეპუტაციის აღმნიშვნელ მ ა ლ ა ლ (დადებით) სიტყვებად ჩაითვლება, ხოლო სიტყვები — უსახელო, დაქვეითებული, უპატივცემლო, ფეხწამოსაკრავი, ღირსებაშელახული — დ ა ბ ა ლ ი რ ე პ უ ტ ა ც ი ი ს (უარყოფით) სიტყვებად. გონების სფეროში — სიტყვები კჳუიანი, ბრძენი, გონიერი, მოსაზრებელი, — მ ა ლ ა ლ ი გონიერების აღმნიშვნელ (დადებით) სიტყვებად, ხოლო სიტყვები — სულელი, უქჳუო, უგონო, მოუსაზრებელი — დ ა ბ ა ლ ი გონიერების აღმნიშვნელ (უარყოფით) სიტყვებად. ემოციის სფეროში — სასიამოვნო ემოციის აღმნიშვნელი სიტყვა დ ა დ ე ბ ი თ ი ა, უსიამოვნო ემოციის აღმნიშვნელი — უ ა რ ყ ო ფ ი თ ი. ხასიათის კატეგორიაში სიტყვები — გულუხვი, ღმობიერი, მოსიყვარულე — დ ა დ ე ბ ი თ ი ა, გულქვა, ძუნწი, ბღენძია — უ ა რ ყ ო ფ ი თ ი და ა. შ.

სიტყვების დაჯგუფება ძირითად კატეგორიებად (8 კატეგორია), სიტყვის შინაარსის, ე. ი. ემპირიული პრინციპის მიხედვით, დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული, რომელიც პიროვნების არსებობის ძირითადი მოდუსით, მისი მ თ ლ ი ა ნ ი და ე რ თ ი ა ნ ი ბუნებით არის შეპირობებული.

საქმე ისაა, რომ ადამიანის პიროვნება არ წარმოადგენს ურთიერთისაგან მკაცრად იზოლირებულ თვისებათა უბრალო კრებულს. პიროვნება შედარებით დამოუკიდებელ ნიშან-თვისებათა მთლიანობაა, მათი ერთიანობაა, ამ თვისებათა მეტ-ნაკლებად ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა ა, სადაც ყოველი თვისება როგორც მთლიანთან, ისე ერთმანეთთან მკიდრო კავშირში იმყოფება. პიროვნების თვისებები ერთმანეთიდან არიან დამოკიდებული, ერთმანეთში გადადიან და ე რ თ მ თ ლ ი ა ნ მ ო ნ ო ლ ი თ უ რ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს ქ მ ნ ი ა ნ. ამის გამო თვისებათა შორის მკაცრი ხაზის გავლება პრინციპულად შეუძლებელია. პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ე ს ძ ი რ ი თ ა დ ი მ ო დ უ ს ი თ ვ ი ს ე ბ ა თ ა ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ს ი ტ ყ ე ე ბ შ ი ა ც ა რ ი ს ა ს ა ხ უ ლ ი. მაგ., რიგ შემთხვევაში ერთი და იგივე ქარაქტეროლოგიური სიტყვა სხვადასხვა

პიროვნული მდგომარეობის აღმნიშვნელი შეიძლება აღმოჩნდეს. მაშინ მისთვის კატეგორიის მიკუთვნება რთულდება. მაგ., ერთი და იგივე სიტყვას შეუძლია პიროვნება ზნეობრივ ასპექტშიც წარმოადგინოს და ხასიათისეულშიც. რომელი კატეგორიის სიტყვად მივიჩნევთ მას, დამოკიდებულია იმაზე, თუ სიტყვის შინაარსის რომელ ფსიქოლოგიურ მონაცემს მივაკუთვნებთ განმსაზღვრელ მნიშვნელობას. ავიღოთ მაგ., სიტყვა „კეთილი“ და მისი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები — კეთილგანმზრახველი, კეთილისმყოფელი. კეთილმოსურნე, კეთილმოქმედი — ესენი, ჩვენს კლასიფიკაციაში, ზნეობრივ კატეგორიის სიტყვებად მივიჩნით, ხოლო იმავე ძირის სიტყვები: კეთილგანწყობილი, კეთილბუნებიანი, კეთილმდრეკილი, რომელთა შინაარსს პირველთან შედარებით, მეტი სტაბილურობა და დისპოზიციურობა ახასიათებთ — ხასიათისეულ კატეგორიას მივაკუთვნებთ. მაგრამ ზნეობრივ კატეგორიაში შეტანილი სიტყვა „კეთილი“ — დანაწარმოები სიტყვები ხასიათის კატეგორიაში რომ მოგვექცია, ან პირიქით, ხასიათის კატეგორიაში შეტანილი „კეთილი“ ძირის სიტყვები ზნეობრივ კატეგორიაში შეგვეტანა, დიდ შეცდომად არც ერთი არ ჩაითვლებოდა. ამით გვინდა ვთქვათ, რომ სიტყვის შინაარსეული სირთულე, სიტყვის „მდრეკილება“ მრავალმხრივ ასახოს პიროვნება, სხვადასხვა თვალსაზრისით შეაფასოს მისი თვისებები და ძალები, დაბრკოლებას უქმნის პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვათა კლასიფიკაციას. თუ რომელ კატეგორიაში მოექცევა ასეთი რთული სიტყვა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხიდან მივუდგებით მის შინაარსს. სიტყვის სირთულე შეფასების თვალსაზრისთა მრავლიანობას აპირობებს. მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვები: გულღვარადლიანი, დაუნდობელი (შეუბრალებელი), მლიქვნელი, პირმოთნე, უგულო, ფეხთამლოკი — აქ ყოველი სიტყვა პიროვნების გარკვეულ სტაბილური თვისებაზე მიუთითებს, იმაზე, რომ ამ ადამიანს ახასიათებს ღვარადლიანობა, შეუბრალებლობა, მლიქვნელობა, პირფერობა, სხვისადმი უგრძობლობა. ყოველი ნიშანი აქ პიროვნების სტაბილური თვისებაა; ის მიუთითებს იმაზე, თუ როგორ მოიქცევა ეს ადამიანი სხვადასხვა სიტუაციაში, როდის რას იზამს, როგორ იმოქმედებს. ამიტომ ეს სიტყვები ხასიათისეულ კატეგორიაშია შეტანილი, მაგრამ თუ მათ ზნეობრივი პრინციპის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ისინი ზნეობრივი კატეგორიის უარყოფით პიროვნებათა ჯგუფში მოექცევიან და არც ეს იქნება მთლად არასწორი.

ამრიგად, ერთმა სიტყვა-სახელწოდებამ შეიძლება კლასიფიკაციის რამდენიმე კატეგორია შექმნას. აი, სიტყვის ეს მრავალმნიშვნელობა სიტყვათა კლასიფიკაციას სიძნელეს უქმნის. (გასაგებია, რომ პიროვნულ სახელწოდებათა კლასიფიკაცია მოითხოვს არათუ დიდ დროსა და ენერგიას, არამედ დიდ მოთმინებასაც. გ. ოლპორტის სამართლიანი შენიშვნით „არის სიტყვებიც, რომელთაც სასოწარკვეთილებამდე მიყავთ რედაქტორები“). აქედან

ცხადი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასიფიკაციის კრიტერიუმების საკითხს, იმას, თუ როგორ განვსაზღვრავთ სიტყვის ძირითად იდეას, მის დომინანტურ მნიშვნელობას, რომელიც ყოველ სიტყვას უსათუოდ აქვს. თუ რამ უნდა განსაზღვროს ერთმნიშვნელოვან სიტყვათა ერთად დაჯგუფება, ეს საკითხი სიტყვათა დაჯგუფების კრიტერიუმს ეხება.

პირველი კრიტერიუმი — სიტყვა-სახელწოდების ფსიქოლოგიური ანალიზია. მან სიტყვის შინაარსი უნდა გახსნას, განმარტოს და ძირითადი აზრი გამოყოს. ამ ძირითადი აზრის მიხედვით უნდა მოხდეს სიტყვათა გაერთიანება ერთ კატეგორიაში. მაგ., ავიღოთ სიტყვა „ძუნწი“, მისი განმარტება ასეთია: „ვისაც არ ემეტება დასახარჯავად თუ გასაცემად ისეთი რამ, რაც ჰარბად აქვს, — გაუმეტებელი, კრეჟანგი, ხელმოჭერალი“. კაცი, რომელსაც ასეთი გამოკვეთილი თვისება აქვს, ყველგან და ყოველთვის ამ ნიშან-თვისებიდან მომდინარე იმპულსის მიხედვით იმოქმედებს და ამ თვისებას გამოაუვლენს. ის მისი სტაბილური თვისებაა, დამახასიათებელი, არაშემთხვევითი. ისეთი თვისება კი, რომელიც მყარ ნიშანს შეადგენს, ადამიანის ქცევას ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს და გონება-გრძნობა-ნებელობის აქტივობას არ უკავშირდება, ხასიათისეულ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ. თუ როგორია ეს თვისება ზნეობრივი თვალსაზრისით, ამის შეფასებას ეს განმარტება არ შეიცავს. ამიტომ ზნეობრივ კატეგორიაში ის არც უნდა მოთავსდეს. ავიღოთ მეორე სიტყვა — „ავი“ (ბოროტის მნიშვნელობით), მისი განმარტება ასეთია: ბოროტი, ცუდი. ბოროტი კი ზნეობრივი კატეგორიის ცნებაა, ზნეობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ამიტომ სიტყვა „ავი“ ზნეობრივ კატეგორიაში უნდა შევიტანოთ.

მეორე კრიტერიუმი: ერთმნიშვნელოვანი სიტყვები კატეგორიაში ჰარმონიული წყობის სისტემას ქმნიან, ურთიერთთან შეთანხმებული სიტყვები ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს. თუ სიტყვა კატეგორიისთვის შეუფერებელია, მაშინ ის სისტემას ვერ შეერწყმის და სისტემის მთლიანობა, სიტყვათა წყობის ჰარმონიულობა დაირღვევა. მაგ., გონების კატეგორიის სიტყვები: აზრიანი, გაგებული, მეცნიერი, მოაზროვნე, მცოდნე, ტვინიანი, შეგნებული, ჰკვიანი — ჰარმონიულ სისტემას ქმნიან, კითხულობთ მათ და იცით, რომ ისინი ყველა, გონების კატეგორიის სიტყვებია; თუ მათში გაერია, მაგ., სიტყვა „ძუნწი“, ეს მაშინვე შესამჩნევი გახდება, ის გამოეყოფა დანარჩენ სიტყვებს და კატეგორიის სისტემას დაარღვევს. ერთი სიტყვით, კატეგორიის მთლიანი სისტემა არის ერთგვარი ცენზურა, რომელიც კონტროლს უწევს კატეგორიასთან სიტყვის შესაფერისობას. კატეგორიისათვის მიუღებელი სიტყვები, ამ ცენზურის გამო, იშვიათად გამოერევა ამ კატეგორიაში, ამიტომ ზოგად სურათზე ის გავლენას ვერ მოახდენს, უფრო რთული მდგომარეობა იქმნება შინაარსეულად მონათესავე კატე-

გორიების სიტყვათა გამოყოფის შემთხვევაში. ასეთია — სოციალური შეფასების, ზნეობრივი და ხსიათისეული კატეგორიის სიტყვები. აქ, როგორც ზემოთ დაინახეთ, კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშნის გამოყოფა, მრავალ შემთხვევაში, დამოკიდებულია თვალსაზრისზე, რომლითაც მივუღებთ სიტყვის შეფასებას. ამიტომ ასეთი სიტყვების ურთიერთიდან გამიჯნა დიდ სიძნელეს შეიცავს. ვადაწყვეტი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, პირველ კრიტერიუმს — სიტყვის ანალიზს — უნდა დაეთმოს. აქედან ცხადად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასიფიკაციისთვის სიტყვის განმარტებას.

რამდენად დამაკმაყოფილებელია ამ მხრივ აქ წარმოდგენილი მასალა?

ქართული ენის 4155 პიროვნული სახელწოდებები (სხვა ენებიდან შემოჭრილ 356 უცხო ტერმინებს აქ არ ვგულისხმობთ), მეცნიერული ცნებები როდია, ისინი სასაუბრო, სალიტერატურო მეტყველებიდან აღებული ხალხური ენის ნიმუშებია. ამ შემთხვევაში განმარტების მიზანია სიტყვის შინაარსის გახსნა, ძირითადი აზრის წვდომა და გაგება. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სიტყვის შინაარსის აღწერით, სინონიმების მისადაგებით, საყოველთაოდ მიღებულ გამოთქმების ილუსტრირებით. სიტყვის განმარტება იმავე ფორმის სხვა სიტყვით, მაგ., პურშავი — პურაძეირი, ძუნწი; მოლაყბე — ყბედი და სხვ., დასაშვებად მივიჩნევთ, რადგან ძირითადი მიზანი სიტყვის შინაარსის გაგება, აქ შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს.

ქართული ენის 4511 სიტყვა-სახელწოდების ახსნა-გაგებისათვის ძირითადად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ დეფინიციას დავეყრდენით, როგორც შინაარსეულად დაკანონებულს, ლიტერატურული დოკუმენტაციითა და საილუსტრაციო მასალით მდიდარს.

რასაკვირველია, იმ ფსიქოლოგიური პრობლემის თვალსაზრისით, რომელიც აქ დგას, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა ფსიქოლოგიური ლექსიკონის წინასწარი დადგენა, სადაც ყოველი სიტყვა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იქნება გაშუქებული. კლასიფიკაციისთვის ეს სწორი მეთოდური გზა იქნებოდა, მაგრამ ეს საინტერესო და სასურველი საქმე მომავალში თუ განხორციელდება.

## 8. კლასიფიკაციის შედეგების განხილვა

ა) სიტყვის სტრუქტურის ანალიზი. სანამ კლასიფიკაციის შედეგების რიცხობრივ ანალიზზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ თვით პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა სტრუქტურული მხარე: რა სახითაა ისინი მოცემული, როგორია მათი შინაგანი წყობა?

გრამატიკული ფორმის მიხედვით ყველა კატეგორიის სიტყვა ზ ე დ ს ა რ - თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ს მ ო ლ უ ს ი თ ა ა წ ა რ მ ო ლ გ ე ნ ი ლ ი. თუკი არსებითი სახელის ფორმაში არის რომელიმე სიტყვა დასმული (მაგ., მაი-

მუნი, არწივი, დედაკაცი, მოქალაქე და სხვ.) ის მაინც ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებს: არ გამოხატავს არსებით სახელში ნაგულისხმევ საგანს პირდაპირ, არამედ ამ საგნის თვისებას მიაკუთვნებს ადამიანს. ამაშია სიტყვის მნიშვნელობის გადატანის სიმბოლური აზრი.

კითხვა, რომელიც დაესმის ასეთ სიტყვებს არის „როგორი“. სიტყვის შინაარსი გამოხატავს აზრს, — თუ როგორია კაცი, მთლიანი პიროვნება, ან მისი რომელიმე თვისება.

კითხვა „როგორი“ და მისი საპასუხო სახელწოდება—რომელიც კონკრეტულ, ინდივიდუალურ პიროვნებას გულისხმობს—აღნიშნავს ადამიანის ინდივიდუალურ თვისებას, თავისებურებას.

თუ პიროვნული სიტყვა-სახელწოდება იდიოგრაფიულ კონტექსტშია დასმული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სიტყვის გამოყენება ინტერინდივიდუალური ვარიაბილობისათვის არ შეიძლება. რასაკვირველია, გამოყენება პრინციპულად შეიძლება, მხოლოდ გარკვეული მეთოდური გზით.

ამ სიტყვათა ძირითადი ღირებულება და პირდაპირი დანიშნულება მაინც კერძო პიროვნებაა, მისი ინდივიდუალური თავისებურებების აღნიშვნა და დახასიათება. „თუმცა ჩვეულებრივი მეტყველება შეიძლება არ იყოს პიროვნული სტრუქტურის სავსებით ადეკვატური, მაგრამ ის მაინც უფრო ადეკვატურია, ვიდრე ის მათემატიკური სიმბოლოები და ნეოლოგიზმები, რომლებითაც ფსიქოლოგები სარგებლობენ“<sup>1</sup>, — ამბობს გორდონ ოლპორტი. მისი აზრით, ჩვეულებრივი სასაუბრო პიროვნული სიტყვები ხალხური სიბრძნითა და დიდი გამოცდილებით გაშინაარსებული სახელწოდებებია. ისინი პიროვნების დახასიათებას კარგად ახერხებენ და ამ მხრივ სანიმუშონი არიან.

რაც შეეხება სიტყვის შინაარსს სტრუქტურის მხრივ, შეიძლება საკითხი ასე დაესვათ: პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებაში პიროვნების თავისებურება პირდაპირ, რაიმე თვისებით, ერთმნიშვნელოვნად არის ასახული თუ განზოგადებულად და მრავალმნიშვნელოვნად? ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა-სახელწოდება „სახელგანთქმული“ — შეიძლება ეს სიტყვა მიეკუთვნოს ვინმე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, რევოლუციონერს, სპორტსმენს, მოგზაურს, მწერალს, პედაგოგს და სხვ., ე. ი. სიტყვა მრავალსახედასხვა „საგანს“ ქეხება, ხოლო ყველა იმათგან მას გამოყენებული აქვს, მათი გამაერთიანებელი, ერთი ზოგადი ნიშანი — ეს არის მათი საყოველთაო აღიარების ფაქტი. ამაშია ამ სიტყვის მნიშვნელობაც. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა ზოგადია, მას არა აქვს პიროვნებაში რაიმე გარკვეული ნეირო-ფიზიკური ბაზისი.

მარტივი სტრუქტურის სიტყვა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს გარკვეულ თვისებაზე, უნდა გაემიჯნოს უფრო რთული სტრუქტურის სიტყვას,

<sup>1</sup> გ. ოლპორტი, დასახელებული შრომა, გვ. 228.



სადაც სპეციალური თვისება არ ჩანს, არამედ თავისებურება ზოგადი იდეითაა წარმოდგენილი.

ჩვენი მასალის მიხედვით, პიროვნული სიტყვა-სახელწოდება სხვადასხვა სირთულისაა.

სიტყვის უფრო მარტივ სახედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პიროვნული სახელწოდება, რომელშიც ფსიქიკური ან ფიზიკური ნიშანი ან მომენტი, თვით სიტყვის შინაარსშია უშუალოდ შესული. მაგ., სიტყვები — გონიერი, ჭკვიანი, უგრძობი, ნებისყოფიანი, ნებამიხდელი, კაცისმოყვარული და სხვა. მათი შინაარსი სპეციალურ ფსიქიკურ მოვლენების პირდაპირი თაოსნობით, მათთან კავშირით და მათ ნიადაგზე არის წარმოშობილი. ესენი უფრო მარტივი, უფრო კონკრეტული შინაარსის სიტყვებად შეიძლება ჩავთვალოთ. ჩვენს მასალაში ასეთ სიტყვებს შეიცავს — გონების, ემოციის, ნებელობის, ნაწილობრივ ხასიათისეული და ფიზიკურ ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელი სახელწოდებები.

სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის უფრო რთულ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ იმ მაღალ-განზოგადების სიტყვები, რომლებშიც პიროვნული თავისებურება მთლიან-პიროვნული მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, მაგ., დიადი, პატიოსანი, ღირსეული, ღვაწლმოსილი, უსახელო, ბაჩაგანა და სხვა. ასეთია სოციალურ-შეფასებითი სახელწოდებების კატეგორიაში აღნიშნულ სიტყვათა მეტი წილი, აგრეთვე ზნეობრივი კატეგორიის სიტყვები და ნაწილობრივ ხასიათისეული.

თუ რის ნიადაგზე უნდა მიეკუთვნოს პიროვნებას მაღალ-განზოგადების რომელიმე სიტყვა-სახელწოდება, უფრო ხშირად თვით სიტყვის შინაარსში ნაგულისხმევი არ არის. ამის დასადგენად უნდა მივუბრუნდეთ პიროვნების ცხოვრების სარბიელზე გამოვლენილ ქცევის ფაქტებს და აქედან შევეცადოთ ამოვხსნათ, — თუ რა თვისების გამო, სიცოცხლის რა შინაარსის გამო უნდა მიეკუთვნოს ამა თუ იმ პიროვნებას რომელიმე სოციალურ-შეფასებითი სიტყვა-სახელწოდება.

მთლიან-პიროვნული, მაღალ-განზოგადებული სიტყვის შინაარსის მოტივაცია, სოციალურ-შეფასებითი სახელწოდებებში, მხოლოდ იმ ქცევის ანალიზს შეუძლია გახსნას, რომლის ნიადაგზე ეს სახელწოდება წარმოიშვა.

ეთიკურ-ზნეობრივი კატეგორიის სიტყვები ასევე მაღალი განზოგადების დონეზეა სტრუქტურირებული. მაგრამ აქ ყველა სიტყვა „უმოტივაციო“ არ არის. ზოგ სიტყვაში სიტყვის შინაარსის მოტივაცია სიტყვაშივეა მოცემული. მაგ., კაცთმოყვარე, მოუქრთამავი, მოუსყიდველი, პირიანი, არაკეთილსინდისიერი, არასანდო; ამ სიტყვათა შინაარსში დასახელებულია თვით თემა, სიტყვის საგანი, მოტივი, რომელიც საზღვრავს სიტყვის შინაარსს.

ზნეობრივ კატეგორიაში გამოყოფილია ცალკე ჯგუფი „სპეციალური

ზნობრივის“<sup>1</sup> სახელწოდებით. ისინი ყველა მოტივირებულია, თემატიკურად განსაზღვრული სიტყვებია. მათ შინაარსში მოცემულია მოტივი, რის გამო მათ ეს ნიშანი მიეკუთვნათ.

პიროვნული სიტყვა-სახელწოდებები განზოგადებული და სტრუქტურებულნი კვალიტეტებია, ხოლო სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა დონეზე. არც ერთი სიტყვა არ არის სავსებით მარტივად ორგანიზებული, არაგანყენებული, არაგანზოგადებული. სიტყვის პირველი განყენება (აბსტრაქცირება) მაშინ ხდება, როცა სიტყვა ჩამოშორდება კონკრეტ საგანს და მის სიმბოლოდ გადაიქცევა, ობიექტურად მოცემულის სახით.

ყოველი ცალკე სიტყვის განზოგადებას გარკვეული მოტივი განსაზღვრავს, მაგ., ავიღოთ ხასიათის კატეგორიის სიტყვა „უზრდელი“ — კაცმა შეიძლება უზრდელი ქცევა ჩაიღინოს შეუგნებლობით, სიბრიყვით, ან პატივმოყვარეობით, თავისი მოვალეობის უცოდინარობით, უყურადღებობით, დაფანტულობით, ზედმეტი ემოციური აგზნებდლობით და სხვა, (ლაბრიუერის მაგალითი). მიზეზი სულ სხვადასხვაა, ამის მიხედვით ქცევის ხასიათიც განსხვავებული იქნება. მაგრამ ყველა ამ ქცევათა არსი — უღიერი, არათავაზიანი მოპყრობა სხვისადმი — ერთი და იგივე რჩება. აი, ქცევის ეს არსია ამ სხვადასხვა ქცევიდან განყენებული და სიტყვიერ კვალიტეტ-სიმბოლოში გაობიექტივებული. ზოგად სიტყვა-სახელწოდებაში ქცევის სწორედ ეს იდეა ასახული.

ქართული ენის პიროვნული სიტყვა-სახელწოდება ამ მაღალი განზოგადების დონეზეა აგებული, ასეთი განზოგადება, უთუოდ აზროვნებისა და ენის კულტურული განვითარების მაღალი ფორმით უნდა იყოს დეტერმინებული.

ამრიგად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქართულ ენაში, პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველი — ფსიქიკური ან ფიზიკური ნიშან-თვისების აღმნიშვნელი, სპეციალურ-დისპოზიციური ცნებები, რომლებიც უფრო კერძო თვისებებზე მიუთითებენ. მეორე — მაღალ-განზოგადების, სოციალურ-შეფასებითი სახელწოდებები, რომლებიც ყოველთვის ზოგად-პიროვნულ იდეას ასახავენ. ასეთ სახელწოდებებს ჩვენ, აგრეთვე მთლიან-პიროვნულს ვუწოდებთ.

ისმისსაკითხი: რამდენად მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაღალი განზოგადების მთლიან-პიროვნული სიტყვა-სახელწოდება, მაგ., სოციალურ-შეფასებითი სიტყვათა კატეგორია? იძლევა ის საშუალებას მივაკვლიოთ ინდივიდუუმის ბუნებას, მის არსს ან სპეციალურ თვისებას? რამდენად ახერხებს ის პიროვნების ინდივიდუალური სახის გადმოცემას?

გ. ოლპორტის აზრით, ზოგადი, შეფასებითი სიტყვები მოკლებულია

<sup>1</sup> იგულისხმება ჩვენი კლასიფიკაციის ზნობრივი კატეგორიის სიტყვები.

დისპოზიციურ ხასიათს და, მაშასადამე, არც ღირებულია ფსიქოლოგიის-თვის. მისთვის გ. ოლპორტი მნიშვნელოვნად მხოლოდ ისეთ ნიშან-თვისებათა სახელწოდებებს მიიჩნევს, რომელთაც პიროვნებაში თავისი ნეირო-ფიზიკური ბაზისი გააჩნიათ. მაგ., მთლიან-პიროვნული, სოციალურ-შეფასებითი სიტყვა „ღირსეული“-ს შესახებ ის ამბობს: „ღირსეული“ არ არის ისეთი რამ, რასაც ადგილი აქვს პიროვნების სტრუქტურაში, ის მთლიანად სოციალური მსჯელობააო“<sup>1</sup>. ინგლისური ენის პიროვნულ სახელწოდებათა კლასიფიკაციის დადებით მხარედ გ. ოლპორტი თვლის ამ ზოგად-შეფასებითი სიტყვათა გამოყოფას ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელი სიტყვებიდან, ინდივიდუალურ-დისპოზიციურიდან, სპეციფიკურიდან. „ზუსტად თუ ვიმსჯელებთ მესამე სვეტი არც კია ნიშანთა სახელწოდებების ნუსხა, იმ გაგებით, რომლითაც ჩვენ ვუდგებით ამ წიგნსო“<sup>2</sup>, — ამბობს ოლპორტი. მესამე სვეტი ეს სოციალურ-შეფასებითი სიტყვებია, ხოლო ოლპორტის გაგებით პიროვნული სიტყვა-სახელწოდება უნდა შეიცავდეს ისეთ ნიშან-თვისებას, რომელსაც ინდივიდში ნეირო-ფიზიკური, დისპოზიციური საფუძველი აქვს. მაგრამ სოციალურ-შეფასებითი სიტყვების ჩართვას სიტყვათა საერთო მარაგში აქვს თავისი საფუძველი, — განაგრძობს ოლპორტი, არიან ავტორები, რომელთა აზრით პიროვნება სოციალური ზემოქმედებით არის განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით ამ ტერმინებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. ამ გაგებით ისინი აღნიშნავენ არა ინდივიდის რეაქციას, არამედ სოციალური სტიმულის მნიშვნელობას. ის ამბობს: „სოციალური შთაბეჭდილების ეს ლექსიკა და ქარაქტეროლოგიური შეფასება არ არის შინაგან ინტერესს მოკლებული სოციალური ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ეთიკისათვისო“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, გ. ოლპორტი იძულებულია წავიდეს კომპრომისზე და ზოგად-შეფასებით პიროვნულ სახელწოდებებს მიაკუთვნოს გარკვეული მნიშვნელობა. მაგრამ დიდ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას და ღირებულებას მათ ის მაინც არ მიაწერს.

მაგრამ ასეა კი ეს? რამდენად სწორად მსჯელობს გ. ოლპორტი? თუ ერთიანი, მთლიანი, ყოველ მომენტში თავის თავთან იდენტური პიროვნება რეალობაა, მაშინ ამ დაუშლელ მთლიან-პიროვნულ სინამდვილის შიგნით მისი წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი და თუ ამ მთლიანი, ერთიანი პიროვნების კვლევა და შემეცნება არის ფსიქოლოგიურ-პერსონალისტური პრობლემა, მაშინ მთლიანი კვალიტეტის, ამ ერთიანი რეალობის ამსახველი ზოგადი შინაარსის მთლიან-პიროვნული ცნებების არსებობა აუცილებელია და კანონიერია არა მარტო იურიდიული და სო-

<sup>1</sup> გ. ოლპორტი, დასახელებული შრომა, გვ. 215.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 216.

<sup>3</sup> იქვე.

ციალური მეცნიერებებისთვის, არამედ, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ-პერსონალისტური მეცნიერებისთვის. თუ არა მთლიან-პიროვნული, ზოგადი ცნებებით, რით უნდა აღინიშნოს პიროვნება თავის ს ი ნ თ ე ზ უ რ ე რ თ ი - ა ნ ო ბ ა შ ი, როგორ უნდა აღინიშნოს ინტეგრირებული პიროვნება? მართლაცა, ნიშან-თვისებათა კრებული არ არის პიროვნება. ამ უკანასკნელის მთლიან-პიროვნული სტრუქტურა — ერთიანი და დაუშლელია: და აი, სწორედ ამ ზოგადი კვალიტეტის აღნიშვნა, მხოლოდ ზოგადი შინაარსის მთლიან-პიროვნული ცნებებით არის შესაძლებელი. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ მთლიანი პიროვნების ცნება მარტო დეკლარაციულ დებულებად დარჩებოდა. რაც შეეხება ზოგადი შინაარსის მთლიან-პიროვნულ სახელწოდებათა რეალობასთან შესაფერისობას, ისინი ხალხის მიერ ხანგრძლივი დაკვირვების ნიადაგზე შექმნილი შინაარსებია. რეალობასთან მათი შესაფერისობა საუკუნეებით შემოწმებული გამოცდილებითაა დადგენილი, ხოლო კერძო შემთხვევაში მათი მართებული გამოყენება რომელიმე დისპოზიციურ ნიშან-თვისებასთან შედარებით, უფრო ნაკლებ გარანტირებული არ არის.

განვითარების საკმაო გრძელი გზის ვავლა დასჭირდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, ვიდრე პიროვნების სტრუქტურული მთლიანობის, ერთიანი პიროვნების ცნებას გაიზიარებდა. ხ ა ლ ხ უ რ მ ა მ ე ტ ყ ე ე ლ ე ბ ა მ კ ი უ ხ ს ო ვ ა რ ი დ რ ო ი დ ა ნ შ ე ქ მ ნ ა მთლიანი პიროვნების დამახასიათებელი სახელწოდებები.

მთლიან-პიროვნული, ზოგად-სტრუქტურული სიტყვები ემსახურებიან აზრის გამოხატვას, ადამიანის პიროვნების დახასიათების მიზნით — სასაუბრო მეტყველებაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებაში და ყველგან, სადაც პიროვნების მოქმედებასა და როლს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვების დადებითი შეფასებისათვის ეს გარემოება ძალიან ნიშანდობლივია.

მთლიან-პიროვნული, მაღალ-განზოგადებისა და სოციალურ-შეფასებითი სიტყვების ფსიქოლოგიური მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მივმართოთ ისეთ მაღალ-მხატვრულ დოკუმენტს, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. იგი პიროვნების დახასიათებით იწყება:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან ს ვ ი ა ნ ი,  
 მ ა ლ ა ლ ი, უ ხ ვ ი, მ დ ა ბ ა ლ ი, ლ ა შ ქ ა რ - მ რ ა ვ ა ლ ი,  
 ყ მ ი ა ნ ი,  
 მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე და მ ო წ ყ ა ლ ე, მ ო რ კ მ უ ლ ი,  
 გ ა ნ გ ე ბ ი ა ნ ი,  
 თ ე ი თ მ ე ო მ ა რ ი უ ე ბ რ ო, კ ვ ლ ა მ ო უ ბ ა რ ი წ ყ ლ ი ა ნ ი“.

სულ სტროფში 12 ქარაქტეროლოგიური განსაზღვრებაა. აქედან ს ვ ი ა ნ ი ეხება როსტევან მეფის სიცოცხლის მიმდინარეობის საერთო შეფასებას,

ლაშქარმრავალი და ყმიანი მისი მეფობის პოტენციურ სიძლიერეს. ეს სამი სიტყვა ცალკე უნდა გამოიყოს, როგორც არაპირდაპირი მნიშვნელობის პიროვნული სახელწოდება. დარჩენილი 9 სიტყვიდან — მაღალი, მდაბალი, მოსამართლე, მოწყალე, მორკმული, განგებიანი — მთლიან-პიროვნული მნიშვნელობის მაღალ-განზოგადების სიტყვებია. სამი სიტყვა — უხვი, მეომარი, მოუბარი — უფრო სპეციალურ-დისპოზიციურ სიტყვებად შეიძლება ჩაითვალოს.

მთლიან-პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებებით აგებული პიროვნება როსტევეან მეფისა დიფუზური და გაურკვეველი სტრუქტურის უფერული ადამიანის სახე კი არ არის, არამედ მკვეთრად გამოძეწილი, დინამიკურად ორგანიზებული, გარკვეული და მაღალი მოქმედებისთვის განწყობილი, ცოცხალი, სავსებით რეალური პიროვნების სახეა.

ასევე შთამბეჭდავად, გამოკვეთილად, რეალური სიცხადით და პიროვნული სიღრმით არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირი. აი ფრიდონ მეფე:

ფრიდონ მაღალო, სვესართლო მეფეთ-მეფეო,  
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო  
  შუქ-მოიფეო.  
მოვლენილო და მორკმულო, მტერთა სისხლისა  
  მჩქეფეო და სხე.

ფრიდონ მეფის ეს სურათი სავსებით ჩამოყალიბებული რეალური სახეა. ეს გმირი მეფეთ-მეფე, ლომისა და მზის სადარი, უცნაურ ფენომენად მოვლენილი, კაცურკაცობის განსახიერებაა. ამ მეფე ქტის რუსთაველი ბრწყინვალედ აღწევს ზოგადო შინაარსის მთლიან-პიროვნულ, სოციალურ-შეფასებითი ცნებების გამოყენებით. ამ სიტყვებს მოაქვთ სინამდვილის შესაფერისი ფსიქოლოგიური შინაარსი.

ადამიანის პიროვნებისადმი ზოგად-შეფასებითი ცნებების მიკუთვნება თვით ამ ცნებებს მეტხატოვანებას და კონკრეტულ გარკვეულობას ანიჭებს. პიროვნულ სტრუქტურის კონტექსტში მათი გამოსახულებითი მნიშვნელობა ძლიერდება, მათ ემატებათ სიღრმე, იდეა, გარკვეულობა, ისინი იძენენ რეალური სიცხადის ძალას.

პიროვნების დახასიათების მიზნით, გარდა ზემომოყვანილ სიტყვებისა, რუსთაველი იყენებს სიტყვებს — მნათობი, მთვარე, ვეფხვი, ავაზა, მშვე-

ნება და სხვა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების დახასიათების სიტყვათა ინვენტარი—მაღალ-განზოგადებული და მთლიან-პიროვნული, ზოგადი შინაარსის შემცველი სიტყვებია.

სანამ რუსთაველი თავის გმირებს სამოქმედოდ გამოიყვანდეს, იგი ხატავს მათ სახეს, აქანდაკებს, ძერწავს მთლიან-პიროვნული, სოციალურ-შეფასებითი სიტყვებით; აქსოვს მათში იმ განწყობებს, რომელთა გამოვლენა შემდგომ, სიცოცხლის ორომტრიალში ხორციელდება.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქცევა მათ პიროვნებაში წინასწარ ჩაქსოვილ დისპოზიციებისა და განწყობების ემანაციაა. მათ ქცევაში ვახსნილია მათი პიროვნული შინაარსი, გამოვლენილია მათი მაღალი, ადამიანური თვისებები. ისინი იბრძვიან სიყვარულის, მეგობრობის, სიმართლისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის. ამ ბრძოლაში ასახულია მათი ინდივიდუალობის შესაფერისი იდეალები.

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი თავიდანვე შეპყრობილია არა ფაბულის მსვლელობით, არამედ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ს ი ღ ი ა დ ი თ.

ორი ზოლი მოდის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფიდან ბოლო სტროფამდე: ს ი ც ო ც ხ ლ ის ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა და პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ს ი ღ ე ა.

„ვეფხისტყაოსნის“ უქრობელი ლამპარი, რომელიც ერთნაირი სიღალდით ანათებს საუკუნეების გზებს და ერთნაირად აჯადოებს ყველა დროს ადამიანებს, არის ს ი ბ რ ძ ე ნ ე (Sophia) სიცოცხლისა და ი ღ ე ა მ ა ლ ა ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ა.

მაღალი პიროვნების ამ სახეს „ვეფხისტყაოსანში“ აობიექტივებენ, ასახავენ სოციალურ-შეფასების ზოგადი შინაარსის მაღალ-პიროვნული სიტყვები. მათ ს ი ღ რ მ ე შ ი ი გ უ ლ ის ხ მ ე ბ ა დ ის პ ო ზ ი ც ი ე ბ ი, თ ვ ის ე ბ ე ბ ი, ნ ი შ ნ ე ბ ი, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ნ ი, გ ა ნ წ ყ ო ბ ე ბ ი, მ თ ლ ი ა ნ - პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი, ზ ო გ ა დ ი შ ი ნ ა - ა რ ს ის ს ო ც ი ა ლ უ რ - შ ე ფ ა ს ე ბ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი და სახელწოდებები მათი ერთობლივი ს ი მ მ ო ლ ო ე ბ ი ა.

მთლიან-პიროვნული, სოციალურ-შეფასებითი, ზოგადი სიტყვების დისპოზიციისა და ფსიქოლოგიისთვის მათი ღირებულების საკითხს, ჩვენი აზრით, სწვევტს ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ძ ი რ ი თ ა დ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ე ბ ი და მ ი მ ა რ თ ე ბ ა ნ ი, გ ა მ ო კ ვ ე თ ო ნ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ნ ა ი რ - ს ა ხ ე ო ბ ა, ა ს ა ხ ო ნ მ ის ი ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ა, მ ა თ შ ი ი მ პ ლ ი ც ი ტ ე ა მ ო ც ე მ უ ლ ი მ ი თ ი თ ე ბ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ს ი ღ რ მ ი თ ი გ ა ნ ზ ო მ ი ლ ე ბ ა შ ი მ დ ე ბ ა რ ე დ ის პ ო ზ ი ც ი უ რ შ ი ნ ა ა რ ს ე ბ ზ ე და ე ს ა ნ ი კ ე ბ ს მ ა თ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ის ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ის გ ა მ ო ს ა ხ ვ ის შ ე ს ა ძ ლ ე ბ - ლ ო ბ ა ს. ამის მიხედვით მთლიან-პიროვნულ, სოციალურ-შეფასებით სიტყვებს, მაგ., სიტყვა „პატიოსნებას“, უშუალოდ, პირდაპირ, არ მოეპო-

ვება დისპოზიცია, მაგრამ არაუშუალოდ, პიროვნების სიღრმეში, სათანადო დისპოზიცია უსათუოდ იგულისხმება.

ერთი სიტყვით, სოციალურ-შეფასებითი, მთლიან-პიროვნული ზოგადი სახელწოდებები პერსონალისტურ-ფსიქოლოგიური ღირებულებისა და მნიშვნელობისაა. მათ გარეშე ძნელია ადამიანის ქარეჭტეროლოგიური ბუნების გახსნა. ამიტომ დიდია მათი ფსიქოლოგიური ღირებულებაც. რაოდენობრივადაც მთლიან პიროვნული სიტყვები აღემატება კონკრეტულ-დისპოზიციურს.

**ბ) რიცხოვრივი მონაცემების ანალიზი**

ჩვენ მიერ აღრიცხული, პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელი 4511 სიტყვა-სახელწოდება (4155 ქართული და 356 უცხო ენებიდან შემოსული) კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი № 1

პიროვნული სიტყვა-სახელწოდებები კატეგორიების მიხედვით

კატეგორიები	რაოდენობა		უცხო		ერთად	
	ქართული		უცხო		ერთად	
	n	%	n	%	n	%
სოციალურ-შეფასებითი	687	16,5	76	21,4	763	16,9
ზნობრივ-ეთიკური	526	12,7	68	19,1	594	13,2
ხასიათის აღმნიშვნელი	1063	25,6	104	29,2	1167	25,9
გონების აღმნიშვნელი	375	9,0	39	10,9	414	9,2
ნებელობის აღმნიშვნელი	195	4,7	16	4,5	211	4,7
გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი	665	16,0	—	—	665	14,7
ფიზიკური სტატუსის აღმნიშვნელი	609	14,7	15	4,2	624	13,8
პათოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი	35	0,8	38	10,7	73	1,6
<b>სულ</b>	<b>4155</b>	<b>100,0</b>	<b>356</b>	<b>100,0</b>	<b>4511</b>	<b>100,0</b>

№ I ცხრილის მიხედვით კატეგორიათა შორის პირველი ადგილი ხასიათი-სიუღ სიტყვებს უკავიათ. ისინი საერთო რაოდენობის 25,9%-ს შეადგენენ. პათოლოგიურ პირთა სახელწოდებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ყველაზე ბოლო ადგილზეა ნებელობის კატეგორია, ის შეადგენს ყველა სიტყვის 4,7%-ს.

**სოციალურ-შეფასებითი სიტყვების კატეგორია (ცხრ. № 2)**

სოციალურ-შეფასებით კატეგორიაში შეტანილია ზოგადი შინაარსის მთლიან-პიროვნული სიტყვები, რომლებიც რაიმე გარკვეულ პიროვნულ თვისებას არ უკავშირდება (მაგ., გონებას, ნებელობას ან ემოციას), შეტანილია აგრეთვე სოციალური რეპუტაციის სიტყვები. სოციალური შეფასების მთლიან-პიროვნული სიტყვების ფსიქოლოგიური მნიშვნელობის და პერსონალისტური ღირებულების დასაბუთებას წინა თავი მიეძღვნა. კერძოდ, მთლიან-პიროვნული, ზოგადი სიტყვების „შეფასებითი“ მნიშვნელობის შესახებ ზემოთ ნათქვამს (იხ. სიტყვის სტრუქტურის ანალიზი); უნდა დაემატოს ის,

შეფასება	მაღალი		დაბალი		ნეიტრალური		სულ		ქართული ლო დო უცხო
	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	
სოციალური რეპუტაციის	95	14	324	21	—	—	419	35	454
სოციალურ-შეფასებითი სუბიექტური მიდგომით	42	5	24	3	—	—	66	8	74
სტრუქტურული მნიშვნელობის	8	9	10	7	—	—	18	16	34
მოფერების მნიშვნელობით					12	—	12	—	12
ირიონის — „—“					15	9	15	9	24
შებრალების — „—“					13	—	13	—	13
საყვედურის — „—“					7	—	7	—	7
სარწმუნოებრივი — „—“					28	2	28	2	30
ცრუმორწმუნეობრივი მნიშვნელობით					32	—	32	—	32
წყველის მნიშვნელობით					33	—	33	—	33
სხვა დანარჩენი					44	6	44	6	50
<b>სულ</b>	<b>145</b>	<b>28</b>	<b>358</b>	<b>31</b>	<b>184</b>	<b>17</b>	<b>687</b>	<b>76</b>	<b>763</b>
687 ქართული სიტყვის განაწილება, %	21,1		52,1		26,8				
76 უცხო სიტყვის განაწილება, %		36,8		40,8		22,4			
763 სიტყვის განაწილება, %	19,0	3,7	46,9	4,1	24,1	2,2	90,0	10,0	

რომ „შეფასების“ გარეშე არც ერთი ფსიქოლოგიურ-პერსონალისტური ცნება არ დგას. თვით დისპოზიციურ მნიშვნელობის ნიშან-თვისებაც კი უშუალოდ არასოდეს არ გვეძლევა. ყველაფერი, რაც პიროვნების შიგნით ხდება, გაობიექტივებულია პიროვნების ქცევით, ხოლო სახელწოდების მიკუთვნება ქცევის „შეფასების“ ნიადაგზე უნდა წარმოებდეს.

სოციალურ-შეფასებით სახელწოდებათა შორის შევხვდებით ისეთ პიროვნულ სახელწოდებებს, რომელთა გამოყენება შემფასებელი სუბიექტის განწყობიდან არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული. მაგ., სიტყვები—კარგი, მომხიბლავი, ძვირფასი, საზიზღარი, აუტანელი და სხვა. ასეთი სიტყვები „სუბიექტური მიდგომის“ რუბრიკითაა გამოყოფილი (ცხრილი № 2).

„სტრუქტურული“ სახელწოდების რუბრიკით გამოყოფილი სიტყვები, მაგ., ერთიანი, მაღალნიჭიერი. მთლიანი და სხვ. სოციალურ-შეფასებით კატეგორიაში პირობითაა შეტანილი. მათში პიროვნების ბუნებიდან მომდინარე ინდივიდუალური მომენტი დომინანტობს სოციალურზე. მაგრამ მათი ცალკე კატეგორიად გამოყოფა არ იყო მიზანშეწონილი, რადგან მათი რიცხვი

1 სოციალურ-შეფასებითი კატეგორიის ცხრილის და საზოგადოდ ყველა ცხრილის შესატყვისი სიტყვები იხ. „სიტყვათა კლასიფიკაციის“ სათანადო კატეგორიაში.



34-ს არ აღემატება და როგორც მთლიან-პიროვნული, ზოგადი სიტყვები სოციალურ-შეფასებით კატეგორიაში პირობით იქნა შეტანილი.

„სხვა დანარჩენის“ რუბრიკაში (როგორც აქ, ისე ყველა სხვა კატეგორიაში) გამოყოფილია ის სიტყვები, რომლებიც ვერ თავსდებიან მიღებულ კატეგორიის რომელიმე ქვეჯგუფში; მათი გამოყოფა ცალკე ჯგუფადაც შეუძლებელია სიტყვების ერთმანეთთან შინაარსეული შეუთავსებლობის გამო.

რუბრიკა „სალანძღავის“ სახელწოდებაშია შეტანილი ის სიტყვები, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით იხმარება სასაუბრო მეტყველებაში, თუმცა სოციალური კატეგორიის „დაბალი“ რუბრიკის ყველა სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სალანძღავი ეპითეტი.

რაც შეეხება რიცხობრივ მიმართებას ჯგუფებს შორის, საგულისხმოა, რომ „დაბალი“ სოციალური რეპუტაციის სიტყვები თვალსაჩინოდ აღემატება „მაღალს“. დაბალია — 358 სიტყვა, მაღალი — 145, მიმართება დაბალის მაღალთან გამოიხატება პროპორციით: 2,5:1; დაბალი შეადგენს ორივე შემთხვევის (დაბალის და მაღალის) 71, 2%-ს, მაღალი — 28,8%-ს, (ი 503). თუ მათთან ერთად ნეიტრალურ ჯგუფსაც გავითვალისწინებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: მაღალი 21,1%, დაბალი — 52,1%, ნეიტრალური — 26,8% (ი 687). დაბალი აქაც მეტია, ვიდრე მაღალი და ნეიტრალური ერთად.

რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი?

შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს მოვლენა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ჯგუფთა შორის ასიმეტრიულობა საკმაოდ დიდია. მეორე კიდევ ის, რომ აღნიშნული მიმართება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სხვა კატეგორიის სიტყვათა პოლარულ დაპირისპირებასაც ახასიათებს, რაც ერთგვარ კანონზომიერ მიმართებაზე მიუთითებს.

გფიქრობთ, ეს საკითხი სოციოლოგიურ კვლევას უფრო განეკუთვნება, ვიდრე ფსიქოლოგიურს, თუმცა ერთგვარი მოსაზრება ფსიქოლოგიური პოზიციიდანაც შეიძლება წამოვყენოთ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

### ზნეობრივი კატეგორიის სიტყვები (ცხრილი № 3)

ზნეობრივ-პიროვნული სახელწოდებები ზოგადი შინაარსის სიტყვებია. ყოველი ზნეობრივ-პიროვნული სიტყვა მთლიან-პიროვნული ხასიათისაა და იმ ზნეობრივ ქცევის შინაარსთანაა დაკავშირებული, რომლის განხორციელების ნებისყოფით სუბიექტია აღქმული.

რომ ყოველი ზნეობრივი ქცევა მთლიანი და ერთიანი პიროვნების გამოვლენაა, ამას ეთიკის ყველა მიმართულება იზიარებს. მათი აზრით, ზნეობრივი შინაარსის ქცევა მთლიან პიროვნებას მიეწერება.

ჩვენს კლასიფიკაციაში ზნეობრივ-პიროვნულ სიტყვათა დაყოფა „ზოგად“ და „სპეციალურ“ ჯგუფებად პრინციპული მნიშვნელობის არ არის. სპეციალურ სახელწოდებაში სიტყვა შეიცავს მოქმედების კონკრეტულ შინაარსს, საკუთარ თემატიკას, ზნეობრივი ქცევის თემა თვით სიტყვის შინაარსშია

შეფასება  ჯგუფები	დადებითი		უარყოფითი		დადებითი და უარყოფითი ერთად		ქართ. და უცხო ერთად
	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	
ზოგადი შინაარსის სიტყვები	107	5	255	40	362	45	407
სპეციალური შინაარსის სიტყვები	53	2	111	21	164	23	187
<b>ს უ ლ</b>	<b>160</b>	<b>7</b>	<b>366</b>	<b>61</b>	<b>526</b>	<b>68</b>	<b>594</b>
526 ქართული სიტყვის განაწილება, %	30,4		69,6				
68 უცხო სიტყვის განაწილება, %		10,3		89,7			
594 საერთო რიცხვის განაწილება, %	26,9	1,2	61,6	10,3	88,5	11,5	

შესული. მაგ., — კაცის-მკვლელი, სიტყვის გამტეხი და სხვა. „ზოგად სიტყვა-სახელწოდებებში“ მოქმედების შინაარსი, თემა, ასე თვალსაჩინოდ არაა მოცემული. ეს კი მნიშვნელოვანია სიტყვათა ს ი ს ტ ე მ ი ს შექმნისთვის, სიტყვის შეფასების კრიტერიუმის ჩამოყალიბებისათვის, რომლის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი.

რიცხობრივი მიმართება ზნეობრივად დადებით და უარყოფით სიტყვა-სახელწოდებათა შორის, როგორც „ზოგად“, ისე „სპეციალურ“ ჯგუფში, საესებით ერთნაირია: უარყოფით სახელწოდებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადებითს. ორივე ჯგუფში (ზოგად და სპეციალურში) ქართული სიტყვების უარყოფით სახელწოდებათა რიცხვი უდრის 366 სიტყვას -69,6%-ს; დადებითი-160 სიტყვას, 30,4%-ს; უარყოფით სიტყვათა მიმართება დადებითთან გამოიხატება პროპორციით — 2,3 : 1.

უცხო სიტყვათა შორის ეს მიმართება კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატული: უარყოფითი — 89,7%, დადებითი 10,3%. ზნეობრივი კატეგორიის უარყოფით და დადებით სიტყვა-სახელწოდებათა ურთიერთ მიმართება იგივე ხასიათისაა, რაც სოციალურ-შეფასებითი კატეგორიის „მაღალ“ და „დაბალ“ სიტყვა-სახელწოდებათა შორის გამოვლინდა: უარყოფითი სიტყვები ორჯერ აღემატება დადებითს. ეს გარემოება აქაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ზნეობრივად უარყოფით ადამიანთა რიცხვი აღემატებოდეს დადებითს. მეტყველებაში გამოვლენილი მიმართება საქმის რეალურ ვითარებას არ ასახავს. ფაქტია, რომ სინამდვილეში დაბალი სტრუქტურის ადამიანები მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდებიან.

ჩვენ კვლავ ვსვამთ საკითხს იმის შესახებ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ესენობრივი ფენომენი? როგორ უნდა გავიგოთ მასში ნაგულისხმევი ილუმინაციური?

პიროვნების ხასიათის აღწერაში აღწერულ სიტყვათა კატეგორია

სუფსება	დადებითი		უარყოფითი		ნეიტრალური		აღივლი		ძნელად		წონასწორობა		ერთად		შემაჯობ	
	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა	სადა		
ჩვეულებები	117	8	214	12	63	12	—	—	—	—	—	—	—	—	32	426
გრძნობასთან დაკავშირებული	9	—	19	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	450
მანერული ქცევის ჩვეულებები	10	2	8	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	17	17
გონებობასთან დაკავშირებული	—	—	74	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	3	87
ნებულაობასთან დაკავშირებული	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ტემპერამენტთან დაკავშირებული	42	2	78	2	—	—	93	11	41	6	26	3	160	20	180	180
ლაპარაკის თავისებურებასთან დაკავშირებული	44	—	61	—	—	—	—	—	—	—	—	—	120	4	124	124
შრომისთან დაკავშირებული	36	4	13	4	—	—	—	—	—	—	—	—	105	—	105	105
პირადი ურთიერთობებთან დაკავშირებული	4	2	32	6	—	—	—	—	—	—	—	—	49	8	57	57
ბუნების აღწერის	5	4	59	11	15	9	—	—	—	—	—	—	36	8	44	44
ზრდილობის აღწერის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	79	24	103	103
სხვა დანარჩენი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
<b>სულ</b>	<b>267</b>	<b>22</b>	<b>558</b>	<b>41</b>	<b>78</b>	<b>21</b>	<b>93</b>	<b>11</b>	<b>41</b>	<b>6</b>	<b>26</b>	<b>3</b>	<b>1063</b>	<b>104</b>	<b>1167</b>	<b>1167</b>
1063 ქართული სიტყვის განაწილება, %	25,1	—	52,5	—	7,3	—	8,7	—	4,0	—	2,4	—	—	—	—	—
104 უცხო სიტყვის განაწილება, %	21,2	—	39,4	—	20,2	—	10,6	—	5,8	—	2,8	—	—	—	—	—
1167 სიტყვის განაწილება %	22,9	1,9	47,8	3,5	6,7	1,8	8,0	0,9	3,5	0,5	2,2	0,3	91,1	8,9	—	—

ხასიათის ცნებით ფსიქოლოგიური მეცნიერება მე-20 საუკუნის დასაწყისში დანტერესდა და თავის საკვლევ საგნად ის ამ პერიოდიდან გაიხადა. მაგრამ მისი საყოველთაოდ აღიარებული გაგება დადგენილად ჯერაც არ ითვლება. ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით ამ გაურკვევლობამ სიძნელებები წარმოშვა. მთავარი სიძნელე პიროვნებისა და ნებელობის ცნებებიდან ხასიათის ცნებების გამოყოფაში მდგომარეობს.

ფსიქოლოგთა ნაწილი ხასიათის ცნებას პიროვნების ცნების მნიშვნელობას მიაწერს და ორივე ცნებას თანაბარი გაგებით იყენებს. მაგ., ქარაქტეროლოგი კლაგესი ხასიათის ცნებას პიროვნების ცნებასთან ათანაბრებდა და ორივეს ერთი გაგებით იყენებდა. შემდეგშიც ზოგი ფსიქოლოგი ამ ორ ცნებას სინონიმურ მნიშვნელობას მიაწერდა.<sup>1</sup> ზოგი კი ამას არ ეთანხმება, მაგ., ფსიქოლოგი ველეკი ხასიათს პიროვნების ბიროვად მიიჩნევს და მას მთლიან პიროვნების მნიშვნელობას არ მიაწერს.<sup>2</sup>

ქართველი ფსიქოლოგებიდან ქარაქტეროლოგი ვლადიმერ ნორაკიძე ხასიათს აგრეთვე პიროვნების გულ-გულად თვლის. ის ამბობს: „ხასიათი მთლიან პიროვნების ერთი მნიშვნელოვანი თვისებათაგანია. ის მთლიანობით ქცევაში გამოვლენილ თავისებურებას გამოხატავს“<sup>3</sup>.

ზოგადი ფსიქოლოგიის მიერ ხასიათის ცნების მთლიანი პიროვნების ცნებასთან გაიგივების, ან კიდევ ნებელობის დისპოზიციად აღიარების ტენდენცია, როგორც ჩვეულებრივ მეტყველებაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგ., ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის ხასიათის შემდეგი აღწერა: „იგი იყო გულთა-სრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა...“

არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი<sup>4</sup>.

მძლელ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც — კი კაცობრიობა ჰქადავლობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვინმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცთა წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა.“<sup>5</sup>

ხასიათის ცნების ქვეშ, ილია ჭავჭავაძის მიერ, ნებისყოფით აღჭურვილი

<sup>1</sup> Manfred Koch, „Die Begriffe Person, Persönlichkeit und haracter“, Handbuch der Psychologie, 4 Band, 1960, Göttingen, გვ. 1—24.

<sup>2</sup> W. I. Revers, „Philosophisch orientierte Theorien der Person, und Persönlichkeit“, Handbuch der Psychologie, 4 Band, 1960, გვ. 391—434.

<sup>3</sup> В. Г. Норакидзе, „Типы характера и фиксированная установка. Тбилиси, 1960, გვ. 17.

<sup>4</sup> საუბარია დიმიტრა ყიფიანზე.

<sup>5</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, 1955, გვ. 223.

მთლიანი პიროვნების სახეა მოცემული; გაიგივებულია ხასიათის ცნება მთლიანი პიროვნებისა და ნებელობის ცნებებთან.

პიროვნების მთლიანობა არ არის მარტივი მთლიანობა. ის თავისებური, დასაფიქსურებელი მთლიანობაა, სხვადასხვა მომენტებიდან აგებული, რომლებიც გამოკერძობულნიც არიან მთლიანიდან და იმავე დროს მასთან შერწყმულიც (ვ. შტერნი). პიროვნული მთლიანობა მრავალი თვისების თუ მომენტის — მაგ., გონების, ნებელობის, ემოციის და სხვა ცალკე თვისებათა და ფუნქციათა შემცველია.

ხასიათის ცნებაც მთლიანობითი ცნებაა, მაგრამ ეს ცნება თავისი ფართო გაგებითაც კი პიროვნების ამ მრავალფეროვან შინაარსებს არ შეიცავს და, მაშასადამე, პიროვნების ცნების მაგივრობას ვერც გასწევს.

პიროვნებისა და ხასიათის ცნების გაიგივება იმ უბრალო მოსაზრებითაც არ არის გამართლებული, რომ ასეთი გაიგივება ხასიათის ცნებას ნიადაგს აცლის და მას ზედმეტ ცნებად ხდის.

რაც შეეხება ხასიათის ცნების ნებელობის ცნებიდან გამოყოფას, ბევრი ფსიქოლოგი ხასიათს ნებელობის დისპოზიციად მიიჩნევს, მათ შორის დ. უზნაძეც. ამის შესახებ ის ამბობს: „თვითეულს პიროვნებას თავისი ნებელობითი დისპოზიცია აქვს. ასეთ დისპოზიციას ხასიათი წარმოადგენს.“

ფსიქოლოგთა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ამ აზრით ხმარობს ამ სიტყვას... ამრიგად, ჩვეულებრივ, ხასიათზე რომ ლაპარაკობენ, ერთის მხრივ, მოქმედების ან ნებელობის შესახებ ცნებას გულისხმობენ, ხოლო, მეორეს მხრივ, ისეთ ცნებას, რომელიც არა მარტო სუბიექტის წარსულ ქცევას ეხება, არამედ მომავალსაც გვითვალისწინებს, აქედან ნათელია, რომ ხასიათი ნებელობის დისპოზიციად იგულისხმება, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს წინასწარ ვიცოდეთ, თუ როგორ მოიქცევა გარკვეული სუბიექტი გარკვეულ პირობებში.

მართალია, ეს ცნება ყველას ამ აზრით არ ესმის, მაგრამ უეჭველია, რომ ნებელობის დისპოზიცია არსებობს და რომ მის აღსანიშნავად ყველაზე უკეთ სწორედ ეს ცნება გამოდგება<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, დ. უზნაძე ხასიათს ნებელობის დისპოზიციად მიიჩნევს.

გ. ოლპორტი არ იზიარებს ნებელობისა და ხასიათის ასეთ ურთიერთ-მიმართებას. მისი აზრით, ნებელობის საფუძველი უფრო ღრმაა, ის პიროვნების მთელი სისტემითაა შეპირობებული და არა მარტო ხასიათით. „თუ აღამიანის ქცევაში ნებისყოფა ვლინდება, მაშასადამე, ის ყოფილა მის პიროვნებაში“<sup>2</sup>, — ამბობს ის.

ქართველი ფსიქოლოგებიდან შ. ჩხარტიშვილი არ ცნობს ხასიათს ნე-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3—4, 1964, გვ. 241.

<sup>2</sup> გ. ოლპორტი, დასახელებული შრომა, გვ. 162.

ბელობის დისპოზიციად, ის ამბობს: „ხასიათის ნებელობის დისპოზიციად გამოცხადება არ შეიძლება გამართლებულ იქნას“-ო<sup>1</sup>. ფსიქოლოგთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ნებელობის დისპოზიცია ხასიათია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ზოგი ფსიქოლოგი ამას არ ეთანხმება. ყველა მათი ჩამოთვლა საქმეს ვერაფერს მატებს დაჰიპოთეზირებულ გადამხილვით პიროვნულ სახელწოდებათა კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხზე.

დებულებამ, რომ ხასიათი ნებელობის დისპოზიციაა, ჩვენ შემდეგი დილემის წინაშე დაგვყენა: პიროვნების თავისებურების აღმნიშვნელი ხასიათისეული სიტყვები გამოვყოთ ცალკე სპეციალურ ხასიათისეულ კატეგორიაში, თუ უფრო მართებული იქნება მათი შეტანა ნებელობის კატეგორიაში? თუ ხასიათი ნებისყოფის დისპოზიციაა, მაშინ ხასიათის თავისებურების აღმნიშვნელი სახელწოდებები იმ კატეგორიას უნდა განეკუთვნონ და მათ ის სახელი უნდა დაერქვათ, რისი დისპოზიციაც არიან, ისე, როგორც აზროვნების გამოვლენის ყოველი სიტყვა ინტელექტის კატეგორიას ეკუთვნის.

ნებელობისა და ხასიათისეული სიტყვების ანალიზმა და შესწავლამ დაგვანახა, რომ არის ისეთი ხასიათისეული სიტყვა-სახელწოდებები, რომელთა შეტანა ნებელობის კატეგორიაში არ შეიძლება: ეს სხვა ფსიქიკურ თვისებებთან და ფუნქციებთან დაკავშირებული (გრძნობასთან, ტემპერამენტთან, გონებასთან) წმინდა ხასიათისეული სიტყვა-სახელწოდებებია, სადაც ნებელობის ელემენტების გამოყოფა არაფრით არ შეიძლება: არიან ნებელობის მანიშნებელი სიტყვებიც და არიან ისეთებიც, რომელთა მიკუთვნება ხასიათისეულ ან ნებელობითი კატეგორიისთვის ძნელი გასარკვევია. ამიტომ დადგა საკითხი რაიმე კრიტერიუმის შემუშავებისა, რომ ამ ორ კატეგორიას შორის სიტყვათა განაწილება, რაიმე პრინციპს დაექვემდებაროს და სიტყვათა დაყოფა გაადვილდეს.

ამისათვის ურთიერთს შევადაროთ ხასიათისეული და ნებისეული მოქმედება. რა არის ხასიათი? თვისებას, რომლის ზეგავლენით ადამიანი ერთნაირ პირობებში ერთნაირად მოქმედებს, ხ ა ს ი ა თ ი ეწოდება. ხასიათისეული ქცევა გარესამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულების ისეთი ფორმაა, რომელიც ერთნაირ პირობებში ყოველთვის ერთი და იგივე სახით გლინდება.

რა არის ნებელობა ადამიანის გარესამყაროსთან მიმართების ასპექტი? ნ ე ბ ე ლ ო ბ ა გარესამყაროსთან დამოკიდებულების ისეთი ფორმაა, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როცა ადამიანი პირობების აწონ-დაწონისა, შეფასებისა და გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანის გზით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ერთნაირ პირობებს ყოველთვის ერთნაირი მოქმედება არ მოყვეს.

<sup>1</sup> ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, „ფსიქოლოგია“, 1950, გვ. 486.

ხასიათი იმიტომ იქცევა ყოველთვის ერთნაირად, მსგავსს პირობებში იმიტომ იძლევა ერთნაირ ეფექტს და თვისებად იმიტომ იწოდება, რომ მის საფუძველში მოცემული განწყობა ფიქსირებულაა, ერთნაირ სიტუაციაში ერთნაირად აღიძვრება და იმ შინაარსს ახორციელებს, რისი განწყობაც ის არის; განწყობის რეალიზებას, ამ შემთხვევაში, არაფერი ეწინააღმდეგება. ამიტომ, რომ ხასიათი ერთნაირ პირობებში ერთნაირად მოქმედებს.

ნებელობის აქტი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ალტერნატიულ პირობებშია ჩაყენებული, მან რალაც უნდა გადაჭრას, აირჩიოს, გადაწყვიტოს და მერე იმოქმედოს. ამისთვის პიროვნება მიმართავს მოტივთა აწონ-დაწონას, შედარებას, არჩევას. ერთი სიტყვით, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს — აქტივობს.

ხასიათის ცნება აქტივობას ამ შინაარსით არ გულისხმობს. ხასიათის ცნება იმპლიციტე შეიცავს რწმენას, რომ ხასიათის საფუძველში მოცემულია სტაბილური, ყოველთვის თავის-თავთან კონსეკვენტური „რალაც“, რაც მას ხასიათის თვისებად აქცევს. ეს „რალაც“ ჩვენ ვიცით, რომ არის განწყობა.

როცა ვინმე თავისი ხასიათის საწინააღმდეგოდ იქცევა და ნებისუღად მოქმედებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის პიროვნებაში სხვა ძალა, ამ შემთხვევაში ნებისყოფა, ხასიათს შეებრძოლა და რალაც ძლიერი მოტივების ზეგავლენით ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ხასიათის ჩვეულებრივ მოქმედებას ეწინააღმდეგება.

ხასიათის ცნება საჭიროა, რადგან ადამიანი ხშირად, ძალიან ხშირად, ხასიათისუღად მოქმედებს. როცა მოქმედება არსებულ განწყობას მიჰყვება ის ნებისუღი მოქმედება არ არის. მაგ., ძუნწი თავის ოქროს მარაგს კიდევ ოქროს უმატებს მაშინაც, როცა მის კარებზე მშვიერი კაცი აკაკუნებს. ძუნწის პასუხი ამ კაკუნზე ნებელობის აქტივობით არ არის შეპირობებული. ძუნწის მოქმედება ხასიათიდან მომდინარე იმპულსს მიჰყვება. ის მისი ჩვეული მოქმედებაა— მისი ქცევა დეტერმინირებულია მისი ხასიათით. ის წინასწარ არის გადაჭრილი მისი ხასიათის თვისებაში, მის ფიქსირებულ განწყობაში.

ძუნწი რომ თავის ხასიათს, ძუნწობას არ გაჰყვეს და ქველმოქმედების აქტი ჩაიდინოს, ე. ი. გადალახოს თავისი ხასიათი, ამისათვის მან უნდა დაძლიოს ხასიათის ამ თვისებიდან მომდინარე იმპულსები, მოხსნას არსებული განწყობა და ახალი განწყობა შეიმუშავოს. მაშინ მისი ქცევა ნებისუღი იქნება, რომელიც მოტივთა ბრძოლითა და პიროვნების აქტივობით დახასიათდება.

გმირი იმითაა გმირი, რომ ის არსებულ სასიცოცხლო განწყობას ებრძვის, იმუშავებს ახალ განწყობას, მწვავეს და სახიფათოსაც კი (პირობების მიხედვით). აქ ყველაფერი ნებისყოფის აქტივობის მაღალ დონეზე მიმდინარეობს. პიროვნული სახელწოდება „გმირი“ არა ხასიათისუღი სიტყვაა,

არამედ ნებისეული. ხასიათისეული სახელწოდება ისეთ მყარ თვისებას გულისხმობს, რომელიც პიროვნულ სტრუქტურაში მსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობით შედის. პიროვნების მოქმედებას ის ერთნაირ პირობებში ერთნაირად წარმართავს.

ნებისყოფა ისეთ აქტიურ ძალას გულისხმობს პიროვნებაში, რომელიც მის პიროვნულ სტრუქტურაში აგრეთვე მსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობით შედის, მაგრამ ისეთი ფაქტორის, რომელიც მოტივთა შორის ბრძოლის შედეგად, მოქმედების რამდენიმე შესაძლებლობიდან ყოველთვის ერთს აძლევს უპირატესობას. ამ პრინციპის მიხედვით ჩვენ შევეცადეთ ურთიერთისაგან გამოგვეყო ხასიათისეული და ნებისეული სიტყვები.

ხასიათისეულ კატეგორიას განეკუთვნა ის სიტყვა, რომლის შინაარსში აქტივობის მომენტი არ არის მოცემული და ნებელობასთან მისი კავშირი ამის გამო საფუძველს მოკლებულია. მაგ., სიტყვები — ალერსიანი, გულღია, გულწრფელი, მოკრძალებული, თავმდაბალი, თავმოყვარე ბრაზიანი, გულღვარძლიანი, ვერცხლისმოყვარული, ჭაფიჭა, ფეხთამლოკი, ძუნწი და სხვ. ხასიათისეული სიტყვებია. როგორ უნდა განსაზღვროს ამ სიტყვების შინაარსმა, მათში ნაგულისხმევმა თვისებებმა, ნებისყოფის აქტი, როცა მათ შინაარსში ნებელობის აქტის მანისებელი პირადი ინიციატივა, აქტიური მომენტი, არ იგულისხმება? შეიძლება მათ ყოველ ცალკე მოქმედების შემთხვევაში მოტივის როლი ითამაშონ და ეს გასაგებიც იქნება, მაგრამ ნებისყოფის აქტზე მითითება მათ არ შეუძლიათ. ამიტომ ასეთი სიტყვები ხასიათისეულ კატეგორიას უნდა განეკუთვნონ.

ნებელობის პიროვნულ სახელწოდება-სიტყვაში მოცემული უნდა იყოს ნებელობის მანიშნებელი აქტიური ელემენტი — ძალა, რომელიც მოქმედების აქტის შესრულებას განსაზღვრავს. მაგ., სიტყვები — ამტანი, ბრძოლისუნარიანი, გაბედული, გაკერპებული, გაუტეხელი, გმირი, თავდადებული, თავშეკავებული, მტკიცე, უშიშარი, ხასიათგაუტეხელი, ურყევი, ქედმოუხრელი და სხვ. ნებისეულ კატეგორიაში არიან შეტანილი იმიტომ, რომ მათ შინაარსში იგულისხმება წინააღმდეგობის გაწევის მომენტი, დაპირისპირების პოზიცია, პირადი ინიციატივა, აქტივობა. მაგ., სიტყვა „ამტანი“ ნიშნავს გამძლეს, მომთმენს, მის შინაარსში იგულისხმება ზემოქმედების საწინააღმდეგო რაღაც დაძაბულობა, აქტიური მდგომარეობა. „გაბედული“ ნიშნავს მამაცს, გამბედავს, თამამს, შეუპოვარს, ე. ი. ისეთ კაცს, რომელიც სამოქმედოდ ძნელ ან სახიფათო გზას ირჩევს. „თავშეკავებული“ — ვინც ნებას არ აძლევს თავის თავს მიჰყვეს რაღაც იმპულსს და მის საწინააღმდეგოდ აქტიურ მომენტს ამჟღავნებს. ამ სიტყვების შინაარსში ნაგულისხმევი მოქმედება აქტიურ ძალის ხმევას მოითხოვს. ასეთი სიტყვები კინებისყოფის კატეგორიას უნდა განეკუთვნონ.



მაგრამ ამით საკითხი ამოწურულად არ ჩაითვლება, არის კიდევ ამ მხრივ გაურკვეველი შინაარსის სიტყვები, რომელთა შესახებ ვერ ვიტყვი — ხასიათისეულნი არიან ისინი, თუ ნებისეულნი. ასეთია იმპულსური მოქმედების აღმნიშვნელი ყველა სიტყვა. მაგ., აემუცელა, აღვირახსნილი, თავ-გასული, მსუნაგი, უინანი, უმადლარი, ღორმუცელა, შარისთავი, ხელაღებული და სხვა. ასეთ პიროვნებათა საქციელის შემაკავებელი ძალა თვით სიტყვის შინაარსში არ იგულისხმება. ისინი სწორედ წინააღმდეგობის გაუწევლობის ნიადაგზე არიან წარმოქმნილი; მაგრამ რის მიხედვით დავადგინოთ, თუ რა სახის წინააღმდეგობის გაუწევლობასთან ვვაქვს, ამ შემთხვევაში, საქმე: დაქვეითებულ აქტივობასთან, როგორც სუსტი ნებისყოფის ნიშანთან, თუ ხასიათისეულ ვარიანტთან? რა განსაზღვრავს აქ მოქმედებას? თვით სიტყვის შინაარსი არ მიგვითითებს საით წავიდეს სიტყვა — ნებისყოფისკენ თუ ხასიათის კატეგორიისკენ. მაგ., კაცი ღორმუცელაა იმიტომ, რომ მას არ შესწევს ძალა აქტიურად შეებრძოლოს ასეთ იმპულსურ მოთხოვნილებას, თუ მას არც სურს და არც ცდილობს ის ამას შეებრძოლოს, ასეთი საკითხიც არ დგას მის წინაშე, და ღორმუცელობა მასში ვლინდება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, როგორც კი ამის შესაფერისი სიტუაცია გაჩნდება. ეს საქციელი შეპირობებულია ნებისყოფის სისუსტით, თუ ხასიათის თვისებით? ასეთი სიტყვები, ჩვენ მიერ, დაჯგუფებულია სუსტ ნებისყოფასთან დაკავშირებულ ხასიათისეულ კატეგორიაში, რითაც ერთგვარი საშუალო გზა იქნა მათთვის შერჩეული. ამით ის აზრია გამოთქმული, რომ ეს სიტყვები აღნიშნავენ სუსტი ნებისყოფის საფუძველზე აღმოცენებულ ხასიათისეულ თვისებებს. გამოდის, რომ ნებისყოფა განსაზღვრავს ხასიათს და არა პირიქით, როგორც ეს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაშია მიღებული და ფსიქოლოგთა უმრავლესობის მიერაა აღიარებული.

ფაქტიკი ნებელობისა და ხასიათისეულ სიტყვა-სახელწოდებათა აღრევისა და ურთიერთისაგან გამოყოფის სიძნელისა იმის მაჩვენებელია, რომ ნებისყოფისა და ხასიათის ურთიერთმიმართების საკითხი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, დამარწმუნებლად განსაზღვრული არ არის და ზოგად ფსიქოლოგიის წინაშე ის ჯერ კიდევ პირობლემად დგას.

ხასიათისეული კატეგორია, სიტყვათა მარაგის თვალსაზრისით, ყველაზე მრავალრიცხოვანია — შეიცავს 1167 სიტყვა-სახელწოდებას (ცხრ. №4). მათში 1063 სიტყვა საკუთრივ ქართულია (91,1%), 104 სიტყვა (8,9%) — ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხო სიტყვებია.

ხასიათისეული სიტყვები მთლიან-პიროვნული სიტყვებია, განზოგადე-

ბის სხვადასხვა ხარისხით. მათში ბევრია კერძო თვისების მანიშნებელიც. ხასიათისეული კატეგორიის საგანგებო მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხასიათისეული სახელწოდებები ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაციის ყველა ძირითად სფეროდან — გრძნობა, გონება, ნებელობა, ტემპერამენტი — არის წარმოდგენილი. ხასიათისეული სახელწოდებები აგრეთვე მრავლადაა წარმოდგენილი ადამიანის მეტყველების, შრომისა და ქცევის სხვა ტიპურ სფეროებიდანაც და ყველა ესენი ცალკე რუბრიკითაა გამოყოფილი.

ყველაზე მეტ ხასიათისეულ ქართულ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებას გრძნობის სფერო იძლევა. გრძნობასთან დაკავშირებული ხასიათისეული სიტყვები 413 ლექსიკურ ერთეულს შეადგენს, ე. ი. ქართული ენის ხასიათისეულ სიტყვათა (n 1063) 38,8%-ს. მეორე ადგილზეა ტემპერამენტის სფერო — 160 სიტყვა, (15,1%).

თეორიულად სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ გრძნობა და ტემპერამენტი ხასიათის ფორმირების ძირითადი წყაროა და ისიც, რომ ადამიანის ფსიქიკის ყველა მნიშვნელოვან სფეროს თავისი საკუთარი, ხასიათისეული გამოვლენა აქვს.

ხასიათის აღმნიშვნელი პიროვნულ სახელწოდებათა კავშირი ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა სფეროსთან — გრძნობა, გონება, ნებელობა — თვით ამ სფეროების აღმნიშვნელი სიტყვების შინაარსითაა დოკუმენტირებული. ეს კი საბუთია იმისა, რომ ხ ა ს ი ა თ ს, რ ო გ ო რ ც პ ი რ ო ვ ნ უ ლ ც ნ ე ბ ა ს და კ ა ტ ე გ ო რ ი ა ს, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს და მ რ ს ი ც ა ლ კ ე ა რ ს ე ბ ო ბ ა, პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა და ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს ც ნ ე ბ ე ბ თ ა ნ მ ი ს ი გ ა ი გ ი ვ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე, კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა და ს ა ქ ი რ ო.

რაც შეეხება დადებითი და უარყოფითი შეფასების ხასიათისეული სიტყვების ურთიერთმიმართებას, ისე როგორც წინა კატეგორიებში (სოციალურ-შეფასებისა და ზნეობრივის), აქაც უარყოფითი შეფასების სიტყვები მნიშვნელოვნად აღემატება დადებითს. უარყოფითია 558 სიტყვა (67,6%), დადებითი — 267 (32,4%), n 825 — უარყოფითისა და დადებით სიტყვათა საერთო ჯამი. უარყოფითი სიტყვების დადებითთან მიმართება გამოიხატება პროპორციით — 2,1 1. უარყოფითი სიტყვები ყველა ხასიათისეული სიტყვების (n 1063) 52,5%-ს შეადგენს, დადებითი კი — 25,1%-ს. უცხო ხასიათისეული სიტყვების — 104 სიტყვის — განაწილება ჯგუფთა შორის არსებითად ისეთივეა, როგორც ქართული ენის ხასიათისეულ სიტყვათა განაწილება. აქაც უარყოფითი ხასიათისეული სახელწოდებები დიდად აღემატება დადებითი შეფასების სიტყვებს — უარყოფითი 41 სიტყვაა, დადებითი — 22.

ერთი სიტყვით, უარყოფითი და დადებითი შეფასების პიროვნულ სიტყვებს შორის მიმართება აქაც, ხასიათისეულ კატეგორიაში, ასიმეტრიულია

— უარყოფითი საგრძნობლად აღემატება დადებითს და წინაკატეგორიებში დადასტურებულ კანონზომიერებას ეთანხმება.

აქაც, ხასიათისეული სიტყვების ასიმეტრიულობას, უარყოფითის სასარგებლოდ ფაქტიური ვითარება არ უღვევს საფუძვლად და მისი ახსნა სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ცხრილი № 5

გონიერების აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორია

შეფასება	მაღალი		დაბალი		სხვა დანარჩენი		სულ		ჯამობა და უცხოეთად
	ქართული	უცხი	ქართული	უცხი	ქართული	უცხი	ქართული	უცხი	
ჯგუფები									
ზოგადი გონიერების აღმნიშვნელი პრაქტიკული გონიერების აღმნიშვნელი სხვა დანარჩენი	95	7	194	7			289	14	303
	30	3	56	1		21	86	4	90
								21	21
სულ	125	10	250	8		21	375	39	414
375 ქართული სიტყვის განაწილება, %	33,3		66,7						
39 უცხო სიტყვის განაწილება, %		25,6		20,5		53,9			
414 სიტყვის განაწილება, %	30,2	2,4	60,4	1,9		5,1	90,6	9,4	

აზროვნების აქტივობით განსაზღვრულ პიროვნულ სახელწოდებათა კატეგორიის სიტყვათა შინაარსში აზროვნების ორი სახეა გამოყოფილი — ზოგადი გონიერებისა და პრაქტიკული გონიერების.

„ზოგადი გონიერების“ ცნება პერსონალისტურ-შეფასებითი ცნებაა. იგი შემოტანილია ფსიქოლოგიაში ვ. შტერნის მიერ, გონებრივი განვითარების გაზომვისა და დიაგნოსტიკის მიზნით. ზოგადი გონიერებით აღინიშნება „აზროვნების აქტების შესრულებისადმი სუბიექტის მყარი მიდრეკილება და მისწრაფება“<sup>1</sup>. „აზროვნების ფსიქოლოგიის საგანი — ინტელექტუალური აქტები და შინაარსები — ზოგად გონიერების მკვლევარისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ინტელექტუალური მიდრეკილების გამოვლენის ფორმა“<sup>2</sup> — ამბობს ვ. შტერნი.

ზოგადი გონიერება ინტელექტუალურ პროცესებს მყარი მიდრეკილების თვალსაზრისით განიხილავს. მას აინტერესებს აზროვნების პროცესები არა თავისთავად, ფენომენოლოგიურ-ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ,

<sup>1</sup> В. Штерн, „Одаренность детей и подростков и методы ее измерения“, 21-33.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 21—22. /

როგორც სიცოცხლის მიზნების შესრულების პროცესში ჩართული ფენომენი.

აზროვნების აქტივობით გაშუალებული ზოგად-გონიერების პიროვნული სიტყვა-სახელწოდება შეიცავს: ინტელექტუალური პროცესების შინაარსს, ვერბალურ-ცნებითი აზროვნების მაღალ პროცესებს, აზროვნებას თეორიულ პლანში, ე. წ. გნოსტიკურ აზროვნებას.

აზროვნება პრაქტიკულ გონიერების პლანში (პრაქტიკული გონიერება), აზროვნების ისეთივე მაღალი საფეხურია, როგორც ცნებითი აზროვნება. პრაქტიკული გონიერება იმის მიჩვენებელია, რომ ადამიანს პრაქტიკული საქმიანობა უფრო აინტერესებს და ეხერხება, ვიდრე თეორიული; იგი სიცოცხლის მიზნებს პრაქტიკულ სფეროში უფრო ახორციელებს, აზროვნების პროცესებს პრაქტიკულ სფეროში, საქმის კეთების სფეროში შლის. პერსონალისტური ფსიქოლოგია პრაქტიკული გონიერების ცნებაში აზროვნებას გენეტიკური თვალსაზრისით არ უდგება. ეს უკანასკნელი ზოგადი ფსიქოლოგიის კვლევის საგანია. ზოგადი ფსიქოლოგია განიხილავს პრაქტიკულ აზროვნებას, როგორც აზროვნების განვითარების პრიმიტიულ საფეხურს. ამ პრიმიტიულ საფეხურზე მოქმედება ისეთია, რომ ნათელი არ არის მონაწილეობენ მასში აზროვნების ელემენტები თუ არა, მართლა აზროვნებას აქვს ადგილი, თუ ქცევა „ცდის და შეცდომის“ ან ინსტინქტური მოქმედების ანალოგიურია. მოქმედების ამ სახეს პრაქტიკული აზროვნება: იმიტომ ეწოდება, რომ, როგორც დ. უზნაძე წერს, „აზროვნება ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი საქმიდან, პრაქტიკიდან, ამიტომ, ამ თვალსაზრისით აზროვნების ამ ფორმას პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შეიძლება ეწოდოს“<sup>1</sup>. „პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში კავშირი სიტუაციიდან მომდინარე სტიმულსა და მოქმედებას შორის ჯერ კიდევ არაა ს უ ლ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი“<sup>2</sup> — განაგრძობს დ. უზნაძე.

პრაქტიკული გონიერების ცნებას, პერსონალისტური ფსიქოლოგიური გაგებით, არაფერი-საერთო არა აქვს პრაქტიკული აზროვნების ამ გენეტიკურ გაგებასთან. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ო ნ ი ე რ ე ბ ა სავსებით მაღალი ტიპის აზროვნებაა, ოღონდ სიცოცხლის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ს ფ ე რ ო შ ი განხორციელებული. „საერთოდ აღიარებულია, რომ გონიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტად პრაქტიკულ მოქმედებაში ვლინდება და არა თეორიულ შემეცნებაში, გონიერების ამ სახეებს სხვადასხვა სტრუქტურა ახასიათებთ“<sup>3</sup> — ამბობს ე. შტერნი. მისივე აზრით, „ინტელექტუალური მოქმედება პრაქტიკული გონიერების შემთხვევაში, საშუალებაა, რომელიც საჭიროა არა თეორიული მიზნის მისაღწევად. ამით განსხვავდება ის გნოს-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3—4, გვ. 456.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ე. შტერნის დასახელებული შრომა, გვ. 351.

ტიკური აზროვნებისაგან, სადაც ინტელექტუალური დასკვნები თვითმიზანს წარმოადგენენ“<sup>1</sup>.

ამრიგად, ეს ორი ცნება — ზოგადი გონიერება და პრაქტიკული გონიერება — მაღალი ინტელექტუალური პროცესების აღმნიშვნელი ფსიქოლოგიურ-პერსონალისტური ცნებებია. ზოგადი გონიერება უფრო გნოსტიკურ აზროვნებას გულისხმობს, პრაქტიკული გონიერება — პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებულ მაღალ აზროვნების პროცესებს. აქ წარმოდგენილ სიტყვათა კლასიფიკაციაში აზროვნების კატეგორიის პიროვნული სიტყვა-სახელწოდებების ორივე სახე — ზოგადი გონიერებისა და პრაქტიკული გონიერების — „მაღალი“ და „დაბალი“ აზროვნების ჩვეულებად არის დაყოფილი. მაღალს და დაბალს, ამ შემთხვევაში, შეფასების ერთგვარი ინდექსის მნიშვნელობა აქვს.

ზოგადი გონიერებისა და პრაქტიკული გონიერების გარეშე დგას №5 ცხრილში „სხვა დანარჩენი“ ჩვეულის 21 სიტყვა. ესენი ყველა ზოგად მსოფმხედველობის აღმნიშვნელი უცხო სიტყვებია და ამ კატეგორიაში პირობითაა შეტანილი.

გონების კატეგორია სულ 414 პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებას შეიცავს. აქედან 375 (90,6%) — ქართული სიტყვებია, 39 (9,4%) — უცხო. (ცხრ. №5). ქართული სიტყვებიდან 125 სახელწოდება (33,3%) მაღალი გონიერების მაჩვენებელია; 250 (66,7%) — დაბალი გონიერებისა. დაბალი გონიერების მაჩვენებლის მიმართება მაღალი გონიერების მაჩვენებელთან გამოიხატება პროპორციით — 2:1. მეორდება წინა კატეგორიებში დადასტურებული „დადებითი“ და „უარყოფითი“, „მაღალი“ და „დაბალი“ შეფასებათა ასიმეტრიულობის კანონზომიერება. ნაკლებობა უარყოფითი, სიცოცხლის უარყოფითი პრინციპი ორჯერ აღემატება დადებითს.

გონიერების კატეგორიის „მაღალი“ და „დაბალი“ შეფასების სიტყვათა ასიმეტრიულმა ურთიერთ მიმართებამ კვლავ დააყენა წინა კატეგორიებშიც დადასტურებული, პირველი შეხედვით, ილუმალეზით მოცული „ასიმეტრიულობის“ პრობლემა და უფრო სარწმუნო გახადა, რომ მასში რაღაც საგანგებო და ერთი საერთო აზრია ნაგულისხმევი.

### ნებელობის აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორია (ცხრ. № 6)

ნებელობის კატეგორიის სიტყვა-სახელწოდებები ორი გარემოებით იპყრობს ყურადღებას: ერთი — სიტყვათა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლით, კატეგორიათა მწკრივში მას ბოლო ადგილი უკავია. ის ყველა შემთხვევის, 4511 სიტყვის, 4,7%-ს შეადგენს, მაშინ, როცა გონების კატეგორია 9,2%-ს უდრის (ცხრ. №1).

მეორე — ძლიერი ნებელობის პიროვნული სახელწოდებები მნიშვნელოვნად აღემატება სუსტი ნებელობის აღმნიშვნელ სახელწოდებებს, ე. ი. დადებითი შეფასება აღემატება უარყოფითს.

<sup>1</sup> ვ. შტერნის დასახელებული შრომა, გვ. 352.

	ქართული		უცხო		ერთად	
	n	%	n	%	№	%
ძლიერი ნებელობის აღმნიშვნელი სიტყვები	151	77,4	12	75	163	77,3
სუსტი ნებელობის აღმნიშვნელი სიტყვები	44	22,6	4	25,0	48	22,7
სულ	195	100,0	16	100,0	211	
211 საერთო რიცხვის განაწილება, %	92,4		7,6			

თავისთავად ეს სავესებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ ეს გარემოება შეეჭვებას იწვევს იმიტომ, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, 7 კატეგორიათა შორის (მე-8 კატეგორია პათოლოგიურ მდგომარეობათა სახელწოდებებია), როცა „ასიმეტრიულობის“ კანონზომიერება, რომლის მიხედვით უარყოფითი შეფასების სიტყვები აღემატება დადებითს, — დაირღვა. ძლიერი ნებისყოფის ამსახველი სიტყვებია — 151, სუსტის — 44. ძლიერი ნებისყოფის სიტყვების რაოდენობის მიმართება სუსტი ნებისყოფის აღმნიშვნელ სიტყვების რაოდენობასთან გამოიხატება პროპორციით — 3,4 1. რით უნდა აიხსნას ეს გამოჩაკლისი? შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს გამოწვეულია სუსტი ნებელობისა და ნებელობასთან დაკავშირებული ხასიათისეული სიტყვა-სახელწოდებათა ურთიერთიდან გამოყოფის მეთოდური სიძნელით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ხასიათისეულ სიტყვათა შინაარსის განხილვასთან დაკავშირებით. ეს მოსაზრება რომ გამოგვერიცხა, ამ მიზნით გავერთიანეთ სუსტი ნებელობის 44 სიტყვა, ნებელობასთან დაკავშირებულ ხასიათისეულ კატეგორიის 74 უარყოფითი შეფასების სიტყვასთან. (იხ. ცხრ. №4).

ამრიგად, სუსტი ნებელობის პიროვნული სახელწოდებები განდა — 118 ლექსიკური ერთეული. მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმეს ვერც ამან უშველა — ასიმეტრიულობა დადებითი შეფასების მხარეზე მაინც დარჩა. მამასადამე, კვლავ არსებითად უნდა გადაისინჯოს, აგრეთვე, ძლიერი ნებისყოფის სიტყვების განაწილება.

აი, აქ ჩვენ მეორედ დავდევით ნებისყოფისა და ხასიათის აღმნიშვნელი სიტყვების ურთიერთიდან გამიჯნის სიძნელის წინაშე. ეს კიდევ ერთხელ უღებს კარს, ხასიათისეულ სიტყვათა გარჩევასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხს — ნებისყოფის ხასიათთან დამოკიდებულების შესახებ, რომ ეს პრობლემა ზოგად ფსიქოლოგიას სათანადოდ გადაჭრილი და მოგვარებული

არა აქვს. მაგრამ ეს სადისკუსიო საკითხია და მას აქ ჩვენ ღიად ვტოვებთ. ხოლო პრაქტიკულ მიზანთან დაკავშირებით საკითხს ვსვამთ შემდეგნაირად: შეიძლება უფრო მართებული იყოს ნებისეული სიტყვების გაერთიანება ხასიათის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთ მაჩვენებელში, ერთ კატეგორიაში?"

### გრძნობისა და ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორია

გრძნობა-ემოციის საკითხში პლურალიზმის პოზიციაზე მდგომი ზოგადი ფსიქოლოგია, ყოველთვის აღნიშნავდა ადამიანის ემოციური განცდის სახეების სიმდიდრეს, მის კვალიტატურ მრავალსახიანობას. მაგრამ ყველა გრძნობის აღრიცხვა მას არ შეეძლო. სამაგიეროდ ეს ამოცანა დაძლია ხალხურმა მეტყველებამ, ენამ, ხალხურმა შემოქმედებამ. ხალხურმა ენამ ასახა ყოველი ემოციური განცდა, ყოველი მისი ხარისხი გარკვეული სახელდებით აღრიცხა და ემოციური განცდის შესაფერისი სახელწოდება მეტყველებაში განამტკიცა. ერთი სიტყვით, ხალხურმა ენამ ჩვენს წინ გადაშალა გრძნობა-ემოციის ის მდიდარი სამყარო, სადაც გრძნობათა შეუჩერებელი მდინარეა: სიამოვნება — უსიამოვნებას ცვლის, სასოწარკვეთილებას — იმედი და ზოგჯერ ერთი და იმავე ობიექტის მიმართ, განცდის ერთი და იმავე მონაკვეთში, ორი ურთიერთსაწინააღმდეგოდ დაპირისპირებული გრძნობა ერთდროულად აწვალებს ვნებააშლილ ადამიანს. ყველა ეს გრძნობა შეიძლება ამოვიკითხოთ ემოცია-გრძნობის აღმნიშვნელ აქ წარმოდგენილ სიტყვებში.

გრძნობა-ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი პიროვნული სიტყვა-სახელწოდებები ორი სახით არის წარმოდგენილი: 1. გრძნობა-ემოციის პ ი რ დ ა პ ი რ, უ შ უ ა ლ ო დ ამსახველი სიტყვა-სახელწოდებებით და 2. ემოციის აღმნიშვნელი სიტყვებით გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი. მოძრაობის მნიშვნელობით.

გრძნობა-ემოციის პირდაპირ, უშუალოდ ამსახველი სიტყვა-სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს, სახელდობრ რომელ გრძნობასთან ან ემოციურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ასეთია მაგ., სიტყვები — გამხიარულე-ბული, იმედიანი, დამშვიდებული, კმაყოფილი, განრისხებული, გაბრაზებული, დარდიანი, სევდიანი და სხვა.

გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვა, გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, — მიუთითებს გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაზე ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ხ ე უ ლ ი ს რ ო მ ე ლ ი მ ე ო რ გ ა ნ ო ს დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა ლ წ ე რ ი ს გ ზ ი თ. მაგ., სახეგანა-თებული, თვალებგაბრწყინებული, ატირებული და სხვა.

გრძნობა-ემოციის ეს ორივე სახე, აქ წარმოდგენილ მასალაში, ცალ-ცალკეა აღნიშნული. ყოველი მათგანი კი ხუთ ჯგუფადაა დაყოფილი: I. აბა-

მწვავე გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი — ესენი ჩვეულებრივი ნორმალური გრძნობებია. 2. აფექტები, მწვავე ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი, დიდი ინტენსივობის განცდა, რომელიც პათოლოგიურ მდგომარეობას ესაზღვრება. 3. ამბივალენტური მდგომარეობის აღმნიშვნელი. 4. ისეთი გრძნობისა და ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი, რომელიც სიტყვის შინაარსის შეუცვლელად ხან სასიამოვნოდ განიცდება, ხან კი უსიამოვნოდ. განმსაზღვრელია პირობები, რომლის ფონზე აღიძვრის ის, მაგ., ავზნებული, აღელვებული, გაოცებული და სხვა. 5. „სხვა დანარჩენი“, ისეთი, რომელიც ადამიანის ცხოვრების საერთო მიმდინარეობის ერთგვარ მთლიან შეფასებას წარმოადგენს გრძნობის პოზიციიდან მაგ., სვიანი, ბედგამწარებელი, უბედო და სხვა. ეს ჯგუფი პირობითაა ემოციის კატეგორიაში მოტანილი. მისი სიტყვები ისეთი სახის გრძნობა-ემოციის ამსახველ სახელწოდებებს არ წარმოადგენენ, როგორც რომელიმე დინამიკურ-აქუტური ემოციური განცდა. მათ შეტანას ემოციის კატეგორიაში ის გამართლება აქვს, რომ ამ სიტყვებს პიროვნების შესახებ ერთგვარი ინფორმაცია მოაქვთ და მათ შინაარსში სიამოვნება-უსიამოვნების (ბედნიერება-მწუხარების) განცდება ნაგულისხმევი და ყველაზე უფრო მაინც, თავისი პოტენციური შინაარსით, ემოციის კატეგორიასთან აქვთ საერთო, ვიდრე რომელიმე სხვასთან. მაგრამ მათი მიჩნევა გრძნობის ამსახველ სიტყვებად და სხვა გრძნობების მსგავსად სიამოვნება-უსიამოვნების ქვეჯგუფებად დაყოფა, გრძნობითი განცდის არსის მიხედვით, არ იქნება სწორი. ამიტომ ისინი სიამოვნება-უსიამოვნების ქვეჯგუფში შეტანილი არაა, არამედ ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი.

არამწვავე ემოციისა და აფექტური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპის მიხედვით, **ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო** და **უ ს ი ა მ ო ვ ნ ო** ქვეჯგუფებად დანაწილდა.

ც ბ რ ი ლ ი № 7

გრძნობა-ემოციის პირდაპირ აღმნიშვნელი სიტყვები  
(ქართული სიტყვები)

ჯგუფები	შეფასება					
	სასიამოვნო	უსიამოვნო	ამბივალენტური	ზოგჯერ სასიამოვნო ზოგჯერ უსიამოვნო	სხვა დანარჩენი	სულ ქართული in %
არამწვავე გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი	70	228				298 67,9
აფექტური მდგომარეობის აღმნიშვნელი		47				47 10,7
ამბივალენტური			12			12 2,7
ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნო				17		17 3,9
სხვა დანარჩენი					65	65 14,8
<b>ს უ ლ</b>	<b>70</b>	<b>275</b>	<b>12</b>	<b>17</b>	<b>65</b>	<b>439</b>
345 სიტყვის განაწილება, % (სასიამოვნო და უსიამოვნო ერთად)	20,3	15,9				
439 სიტყვის განაწილება, %		62,7	2,7	3,9	14,8	



გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები  
გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით (ქართული სიტყვები)

წესები	შეფასება					
	სასიამოვნო	უსიამოვნო	ამბივალენტური	ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნო	სხვა დანარჩენი	სულ n %
არამწვავე გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი აფექტური მდგომარეობის აღმნიშვნელი ამბივალენტური	38	148				186 82,3
ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნო სხვა დანარჩენი		22		18		22 9,7
სულ	38	170		18		226
208 სიტყვის განაწილება, % (სასიამოვნო და უსიამოვნო ერთად)	18,3	81,7				
226 სიტყვის განაწილება, %	16,8	75,2		8,0		

გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები პირდაპირი და გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, ერთად (ქართული სიტყვები)

წესები	შეფასება					
	სასიამოვნო	უსიამოვნო	ამბივალენტური	ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნო	სხვა დანარჩენი	სულ n %
არამწვავე გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი აფექტური მდგომარეობის აღმნიშვნელი ამბივალენტური	108	376				484 72,8
ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნო სხვა დანარჩენი		69	12	35	65	69 10,4 12 1,8 35 5,3 65 9,7
სულ	108	445	12	35	65	665
553 სიტყვის განაწილება, % (სასიამოვნო და უსიამოვნო ერთად)	19,5	80,5				
665 სიტყვის განაწილება, %	16,3	66,9	1,8	5,3	9,7	

გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები სულ 665 ლექსიკური ერთეულია (ცხრ. №9). მათში გრძნობა-ემოციის პირდაპირი აღმნიშვნელი სიტყვებია — 439 — 66,0%, (ცხრ. №7). გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით — 226 სიტყვა — 34,0% (ცხრ. №8).

ჯგუფთა შორის პირველ ადგილზეა, რაოდენობის მხრივ, არამწვავე გრძობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები, შეიცავს ყველა სიტყვათა 72,8%-ს, ანუ 484 სიტყვას (ცხრ. №9). მასში გრძობა-ემოციის პირდაპირი ამსახველი სიტყვებია — 298 (ცხრ. №7), ხოლო გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით — 186 (ცხრ. №8).

აფექტის აღმნიშვნელი სიტყვები მეტია ემოციის პირდაპირ მანიშნებელ სიტყვა-სახელწოდებებში — 47 სიტყვა (ცხრ. №7), ვიდრე გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობის სახელწოდებებში — 22 სიტყვა (ცხრ. №8), ხოლო ორივე ჯგუფში, პირდაპირი და გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, ერთად — 69 სიტყვაა (ცხრ. №9).

რაც შეეხება სასიამოვნო და უსიამოვნო ემოციურ მდგომარეობათა რაოდენობას და მათს ურთიერთმიმართებას — აქ შემდეგი ვითარებაა:

1. გ რ ძ ნ ბ ა - ე მ ო ც ი ის პ ი რ დ ა პ ი რ ა ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი, (ცხრ. №7), უსიამოვნო მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები შეადგენენ ყველა შემთხვევის — 439 სიტყვის — 62,7%-ს, 275 სიტყვას, (ცხრ. №7).

სასიამოვნო ემოციური მდგომარეობა — 15,9%-ს, 70 სიტყვას. თუკი უსიამოვნო ემოციის აღმნიშვნელ 275 სიტყვას შევადარებთ 70 სასიამოვნო ემოციის აღმნიშვნელ სიტყვას — მივიღებთ უსიამოვნოს — 79, 7%-ს, სასიამოვნოს — 20,3%-ს.

მიმართება უსიამოვნო ემოციურ მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებისა სასიამოვნოსთან გამოიხატება პროპორციით — 3,9 : 1.

2. გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ (ცხრ. №8). უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები შეადგენენ ყველა შემთხვევის — 226 სიტყვის 75,2%-ს, 170 სიტყვას; სასიამოვნო — 16,8%-ს. თუკი უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ 170 სიტყვას შევადარებთ სასიამოვნო მდგომარეობის აღმნიშვნელ 38 სიტყვას, მივიღებთ უსიამოვნოს — 81,7%-ს, სასიამოვნოს — 18,3%-ს. მიმართება უსიამოვნო მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებისა სასიამოვნოსთან გამოიხატება პროპორციით — 4,4 : 1.

3) ო რ ი ვ ე ჯ გ უ ფ ის — გ რ ძ ნ ბ ა - ე მ ო ც ი ის პ ი რ დ ა პ ი რ ა ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ის ა და გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ, ერთად (ცხრ. №9). უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები შეადგენენ ყველა შემთხვევის — 665 სიტყვის 66,9%-ს, 445 სიტყვას, სასიამოვნო — 16,3%-ს, 108 სიტყვას. თუკი უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ 445 სიტყვას შევადარებთ სასიამოვნო მდგომარეობის აღმნიშვნელ 108 სიტყვას, მივიღებთ უსიამოვნოს — 80,5%-ს, სასიამოვნოს — 19,5%-ს. მიმართება უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებისა სასიამოვნოსთან გამოიხატება პროპორციით 4 : 1.

უსიამოვნო-სასიამოვნო ემოციურ მდგომარეობათა აღმნიშვნელი სიტყვების „პოლარული ასიმეტრიულობა“ ერთნაირად მკვეთრადაა გამოხატული ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში. უ ს ი ა მ ო ვ ე ნ ო ე მ ო ც ი უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი პ ი რ ო ვ ე ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ო თ ხ ჯ ე რ ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა ს ა ს ი ა მ ო ვ ე ნ ო ს .

ვფიქრობთ, რომ ასეთ ზოგადს, ადამიანის თითქმის ყველა ფსიქიკულ სფეროს დამახასიათებელ მოვლენას რაღაც ერთი საერთო მიზეზი, საერთო წესი უნდა ეღვას საფუძვლად, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მისი ახსნისათვის გავითვალისწინებთ აგრეთვე ადამიანის ფსიქო-ფიზიკულ ორგანიზაციის ფიზიკურ მხარესაც.

### გრძნობა-ემოცია და გამომხატველი მოძრაობები

„გამომხატველ მოძრაობებში“ ინდივიდის ის გარეგანი სხეულებრივი გამოსახულება იგულისხმება, რომელიც ყოველ ემოციას თან სდევს და მის დამახასიათებელ რეაქციად ითვლება. ემოციის თანმხლებ სხეულებრივ მოვლენებს, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეს ემოციისთვის თავიდან მიეძევა მეცნიერთა ყურადღება (დარვინი, სპენსერი, ჯემსი, კლაგესი და სხვა). მაგრამ უკიდურესი გამომხატულება ამ მიმართულებამ ე. წ. ჯემს-ლანგეს თეორიაში პოვა. ამ თეორიის მიხედვით ემოციისთვის სწორედ ამ პერიფერიულ, ვისცერალურ-ფიზიოლოგიურ მოვლენებს აქვს არსებითი მნიშვნელობა. ამ თეორიის მიხედვით, ფიზიოლოგიური ხასიათის რეაქციები, გულის აჩქარებული ცემის, ცივი ოფლის, სუნთქვის აჩქარების და სხვა გამოსახულებით მოძრაობებშია თვით ემოცია განსახიერებული. ამ მოძრაობების აღკვეთა კი თვით ემოციის აღკვეთას იწვევს, — ამბობდნენ ისინი და დაასკვნინდნენ, რომ, მაშასადამე, ამ რეაქციებში ყოფილა ემოციის არსიო: ისინი ასე ამბობდნენ: მე რომ ვტირი იმიტომ ვწუხვარ, რომ გავრბივარ იმიტომ მეშინია და სხვა. ამ შემთხვევაში, ემოციური განცდისა და მის თანმხლებ ფიზიოლოგიურ მოვლენებს შორის მიმართება ფიზიოლოგიური მოვლენებიდან იწყება. თვით ემოცია, როგორც ფსიქიკური მდგომარეობა, მეორადი. მნიშვნელობისაა. ემოციური განცდა არსებითად ამ ფიზიოლოგიურ რეაქციებზეა დაყვანილი.

როგორც ცნობილია, ამ თეორიის ეს უკიდურესი დასკვნა უარყოფილ იქნა, როგორც ჩვეულებრივი დაკვირვების ნიადაგზე, ისე ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით (კენონი, შერინგტონი და სხვა). მათ გვიჩვენებს, რომ ემოცია არ დაიყვანება თანმხლებ გამოსახულებით მოძრაობებზე. გამომხატულებითი მოძრაობა არ არის პირველადი მოცემულობა, ემოციის შემთხვევაში და თვით ემოცია მის შედეგად გამოვლენილი განცდა. ემოცია, განცდა, სუბიექტის შინაგანი მდგომარეობა — პირველადი და

გამომხატველი მოძრაობა მისი აუცილებელი კომპონენტი (რუბინშტეინი) გამომხატველი მოძრაობები „ემოციის ობიექტური გამოსახულება“ (უზნადი).

მაშ, რა არის „გამომხატველი მოძრაობის“ ან „გამოსახულებითი მოძრაობის“ სახელწოდებაში მოცემული? სიმბოლო? მეტი, სიმპტომიც.

გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ მ ო ძ რ ა ო ბ ე ბ ს პ ი რ დ ა პ ი რ ი კ ა ვ-  
შ ი რ ი ა ქ ე თ ე მ ო ც ი ის ა რ ს თ ა ნ, ი ს ი ნ ი ა რ ს ე ბ ი თ  
კ ა ვ შ ი რ შ ი ა რ ი ა ნ ე მ ო ც ი ა ს თ ა ნ. გამომხატველი მოძრაობა  
ემოციის პირია, გარეგანი სახე, მაჩვენებელი, ნიშანი, ობიექტური განსა-  
ხიერება, მისი სიმპტომი. თუ ეს ასეა, მაშინ ემოციასა და გამომხატველ  
მოძრაობას შორის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება უნდა არსებობ-  
დეს და ეს დამოკიდებულება არსებითი ხასიათის უნდა იყოს.

ემოციასა და გამომხატველ მოძრაობათა შორის არსებული ერთმნიშ-  
ვნელოვანი დამოკიდებულების შესწავლა მეცნიერული ფსიქოლოგიის კვლე-  
ვის საგანი იყო ერთხანს. ცდილობდნენ ლაბორატორიულ პირობებში, დაედ-  
გინათ, თუ რომელ ემოციასთან რომელი გამომეტყველებითი მოძრაობა  
დგას პირდაპირ და ერთმნიშვნელოვან კავშირში. ეს ძიება დადებითი შედე-  
გით არ დამთავრებულა. ცოცხალ გარემოდან მოწყვეტით, აბსტრაქტულ,  
ლაბორატორიულ პირობებში ემოციის კვლევა დაუძლეველ სიძნელეებს  
წააწყდა. ლაბორატორიულ პირობებში ემოციის მიმდინარეობას ბუნებ-  
რივობა და უშუალობა დაეკარგა. ის ნამდვილი, სიცოცხლის ჰარბ ფერებში  
მოცემული ემოცია უკვე აღარ იყო.

ხალხური შემოქმედება, რასაკვირველია, ამ სიძნელის წინაშე არ იდგა  
და საკითხი მან წარმატებითაც გადაჭრა: ხალხურმა ენამ ემოციურ მდგო-  
მარეობასა და მის ფიზიკურ გამომხატულებას შორის ერთმნიშვნელოვანი  
მიმართება 226 სიტყვა-სახელწოდებაში დაამყარა. ამ სიტყვათა შინაარსში  
სხეულის რომელიმე ნაწილი ისეთი დინამიკურობითაა წარმოდგენილი,  
რომელიც ემოციასთან არსებით კავშირს ამკლავებს. მაგ., სიტყვები —  
თავპირჩამომტრალი, თვალნაღვლიანი, პირმრისხანე, პირმკაცრი და სხვ.  
პირდაპირ შესატყვის ემოციაზე მიგვითითებენ. აქ აღამიანის ცალკე ორგანო  
მთლიან პიროვნებას ასახიერებს, ცალკე ორგანოს მიაქვს პიროვნების ტვირ-  
თი; ამით ის პიროვნების წარმომადგენლობას კისრულობს. ამაშია, ამ რეპრე-  
ზენტატობაში, ამ სიტყვათა სიმბოლური აზრი. აქ ორგანო-სხეულის ნაწი-  
ლი პიროვნების სიმბოლოა. ამ სიმბოლური როლის განხორციელებას ესა  
თუ ის ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ის მთლიან-პიროვ-  
ნულ მდგომარეობასთან, ამ შემთხვევაში, მის ემოციურ მდგომარეობასთან  
ერთმნიშვნელოვნად არის დაკავშირებული. ე რ თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი  
კ ა ვ შ ი რ ი კ ი მ ა შ ი ნ მ ყ ა რ დ ე ბ ა, რ ო ც ა ო რ გ ა ნ ო ე მ ო-  
ც ი ის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ა, მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ფ უ ნ ქ ც ი-  
ო ბ ს, კ ა ვ შ ი რ ი ე მ ო ც ი ა ს თ ა ნ ბ უ ნ . ე ბ რ ი ვ ი ა და ა რ -  
ს ე ბ ი თ ი.

გამომხატველი მოძრაობის შინაგანი შესატყვისობა ემოციასთან, ხალხური ენის 226 პიროვნულ სიტყვაში ასახული, ხალხის ხანგრძლივი დაკვირვებისა და შემოწმების შედეგია ცხოვრების ბუნებრივ პირობებში. ის ხალხური შემოქმედების ნამდვილი უტყუარი ძეგლია.

სუბიექტის შინაგანი, გრძნობითი მდგომარეობის აღმნიშვნელ გამომხატველ მოძრაობებში ჩართულია — სახე, თვალი, პირი, თავი, ხმა, შუბლი, წარბი, ცხვირი, ტუჩები, ფერი და მთელი ტანი. ამ სახელწოდებებში შინაგანი მდგომარეობის უტყუარი გამოსახულებაა დაცული.

სწორია, როცა გამომხატველ მოძრაობას უსიტყვო მეტყველებას უწოდებენ. ისინი პიროვნების შინაგანი, გრძნობითი განცდების შესახებ მეტყველებენ. მაგრამ რამდენად ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ასახავს ეს „უტყვი მეტყველება“ შინაგან სამყაროს საზოგადოდ, შეეფერება თუ არა ის ყოველთვის სინამდვილეს?

გამომხატველი მოძრაობების ზუსტ და ერთმნიშვნელოვან შესატყვისობას ემოციურ მდგომარეობასთან ადასტურებს თეატრალური ხელოვნება, რომლის ჯადოსნური გავლენა ადამიანზე ამ გამომხატველ მოძრაობათა სიზუსტეზე და შინაგან განცდასთან უტყუარ შესატყვისობაზე არის აგებული.

ადამიანის სხეულის თუ რა ნაწილებია ჩართული ემოციური მდგომარეობის სიმბოლურ, გამომხატველ მოძრაობაში, გვიჩვენებს ცხრილი №10.

№10 ცხრილის მიხედვით ემოციის აღმნიშვნელი პიროვნული სიტყვები

ც ხ რ ი ლ ი № 10

ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით სხეულის ორგანოების სახელის მიხედვით

სხეულის ორგანოს სახელი	შეფასება	სასიამოვნო n	უსიამოვნო n	ზოგჯერ სასიამოვნო ზოგჯერ უსიამოვნო №	შედეგი
სახე		12	27	6	45
თვალი		6	29	7	42
პირი		9	19	1	29
ფერი		1	7		8
თავი			6	2	8
შუბლი		2	6		8
წარბი		2	6		8
ენა			3		3
ხმა			2		2
წელი			2		2
ცხვირი			3		3
ტუჩები			1		1
ყური			1		1
მთლიანი გამოსახულების მიხედვით		6	58	2	66
ს უ ლ		38	170	18	226

გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, ორი სახითაა წარმოდგენილი: 1. როცა სიტყვა-სახელწოდებაში დასახელებულია ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილი—ორგანო. მაგ., სიტყვები—თვალგაბრწყინებული, პირმხიარული, თავპირჩამობნელებული, სახეამღვრეული, შუბლშეკრული და სხვა. ასეთია 160 სიტყვა, მათში დასახელებულია სხეულის 13 სხვადასხვა ნაწილი.

2. როცა სიტყვა-სახელწოდებაში სხეულის ნაწილი დასახელებული არ არის, მაგ., მოცინარი, ღიმილმორეული, დაღვრემილი, მბორგავი, მგოდებელი, მიჩუმებული, მკენესარე და სხვა., ასეთია სულ 66 სიტყვა.

პირველი შემთხვევა, როცა ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი პიროვნული სახელწოდება ადამიანის სხეულის ნაწილების სახელიდანაა აგებული — თითქმის მთლიანად თავისა და პირისაღის ორგანოების სახელებით ამოიწურება (გამონაკლისს შეადგენს ორი სიტყვა — წელმოკაკაული და წელმოხრილი). ამათგან პირველი ადგილი უკავიათ სახეს, თვალსა და პირს. სულ დასახელებულია თავი და პირისაღის თერთმეტი ორგანო.

როცა გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობის სახელწოდებაში სხეულის ნაწილი არ არის დასახელებული, მაშინ ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს მთელი სხეულის ან მთელი პირისაღის მთლიან-დინამიკური გამომეტყველება.

დასასრულს უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელ 665 პიროვნულ სახელწოდებათა შორის არც ერთი უცხო სიტყვა არ აღინიშნა.

ც ხ რ ი ლ ი №11

ფიზიკური ხტატუსის აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორია

(პიროვნული თავისებურებების აღმნიშვნელი სიტყვები ფიზიკური ნიშნების მიხედვით)

		ქართული		უცხო		ერთად
		n	%	n	%	
ფიზიკური აგებულება	კარგი	29	4,8			29
	ნაკლიანი	146	24,0	2		148
	ნეიტრალური	116	19,0	3		119
გარეგნობა (გარეგანი შეხედულება).	ლამაზი	133	21,8	4		137
	ულამაზო	37	6,1			37
ძალ-ღონე	ღონიერი	28	4,6	1		29
	უღონო	75	12,3			75
ჩანმრთელობა	კარგი	11	1,8			11
	ცუდი	34	5,6	5		39
ს უ ლ		609		15		624

1. კარგი ფიზიკური აგებულების ჩგუფი შეიცავს წარმოსადეგ ფიზიკური აგებულების შესატყვის? პიროვნული შინაარსის სიტყვა-სახელწოდებებს. ასეთია სულ 29 სიტყვა. ყველა ისინი მოხდენილი და ვაჟკაცური შემართების გამომხატველი სიტყვებია.

2. ნაკლიანი ფიზიკური აგებულების ჩგუფში 146 სიტყვა-სახელწოდებაა. ამ ჩგუფის ყოველი სიტყვა სხეულის რომელიმე ორგანოს, ან ტანის მთელი აგებულების, რაღაც ნაკლს ასახავს.

3. ნეიტრალური ფიზიკური აგებულების ჩგუფი შეიცავს 116 პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებას. ისინი არც წარმოსადეგ და ვაჟკაცურ აგებულებას ასახავენ და არც ნაკლიანს, არც „კარგის“ შეფასებას იმსახურებენ და არც „ცულისას“. ისინი მიუთითებენ, როგორც ცალკე ორგანოების თავისებურებაზე, (მაგ., გრძელცხვირა, თვალწვრილი და სხვ.), ისე მთელი ტანის აგებულებაზე (მაღალი, დაბალი და სხვ.). „ნეიტრალური“ ჩგუფის სიტყვებში პიროვნების ისეთ ნიშნებს ასახავენ, რომლებიც პიროვნულ თავისებურებას ქმნიან, მაგრამ მათი სიაჯკარგის შეფასების აზრით, შეიძლება მაინც-დამაინც კარგი არ იყოს, მაგრამ არც ნაკლად ითვლებოდეს. მაგალითისთვის ავიღოთ ნეიტრალური ჩგუფის სიტყვა „მაღალი“, — ასეთი ტანის კაცი დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ თავისებურება მაინც არის: ის უპირისპირდება დაბალს. ეს ნიშანი ნეიტრალური რჩება მანამ, სანამ ის უკიდურესობაში არ გადავა, მაშინ კი მას დაერქმის — ალაწოდა, აყაყული, აყლარწული, აყლაყულა, აწოწილი, ახმახი, წოპწოპა, წოწოლა და სხვ., ან — მთაკაცი, ტანაზიდული, ტანახოვანი, ტანბრგე და სხვა. ნეიტრალური ჩგუფის სიტყვები უკიდურესობაში გადასული არ არიან.

4. ლამაზი გარეგნობის აღმნიშვნელი 133 სიტყვა-სახელწოდებაა. ამ სიტყვებით ქებულა, როგორც მთლიანი ტანის, ისე ცალკეული ორგანოების სილამაზე.

5. ულამაზო გარეგნობის ამსახველი სულ 37 სიტყვაა. თითქმის ყველა ისინი, 1—2-ს გამოკლებით, შეიცავენ გარეგანი შეხედულების შეფასებას, ისე ვით ლამაზი გარეგნობის ჩგუფი, ესთეტიკური თვალსაზრისით, მაგ., უთვალადო, უსანდომო, მაიმუნი, საფრთხობელა და სხვა).

6. კარგი ძალ-ღონის პიროვნული სახელწოდებები 28 სიტყვაა. ცნება „ძალას“, როგორც ადამიანის ფიზიკურ ნიშანს თავისი დამოუკიდებელი სიმბოლიკაც გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდანაც არის დამოკიდებული. მაგ., სიტყვები კაჟანდევნი, კუნთმაგარი, კლდემკლავი, ძლიერი და სხვ., ფიზიკური სტატუსის ნიშანდობლივ მხარეს აღნიშნავენ: ისეთ ფიზიკურ აგებულებაზე მიუთითებენ, რომელიც ფიზიკურ ძალას ასახიერებს და ძალ-ღონეზე ამახვილებს ყურადღებას.

სუსტი ძალ-ღონის გამომხატველი სიტყვები 75 ლექსიკური ერთეულია. ამათაც დაცული აქვთ შედარებითი დამოუკიდებლობა და თვით-მყოფობა, მათ არ ევალებათ მაინცდამაინც და მხოლოდ ავადმყოფური მდგომ-

მარეობა ასახონ. მაგ., — სუსტი ძალ-ღონის გამომხატველი სიტყვები — უღონო, უძალო, სუსტი, დაოსებული, არ გულისხმობენ, რომ ასეთი ადამიანები უსათუოდ ავადმყოფნი არიან. მათში ფიზიკური ძალის კონსტიტუციური მნიშვნელობაც იგულისხმება.

8. კარგი ჯანმრთელობის ჯგუფი 11 სიტყვითაა წარმოდგენილი, ისინი ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე მიუთითებენ.

9. ცუდი ჯანმრთელობის სახელწოდებები 34 ლექსიკური ერთეულია. ისინიც ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას აღნიშნავენ და არ ეხებიან ავადებათა ცალკეულ შემთხვევებს.

„კარგი“ და „ნაკლიანი“ ფიზიკური აგებულების ჯგუფები შეიძლება გაერთიანდნენ ლამაზი გარეგნობისა და ულამაზო გარეგნობის ჯგუფებთან. ლამაზი გარეგნობა და კარგი აგებულება შეიძლება კარგ გარეგნობად ჩაითვალოს, ხოლო ულამაზო გარეგნობა და ადამიანის ტანის ნაკლიანი აგებულება — ცუდ გარეგნობად. ასეთი გაერთიანების აზრი აღძრა კარგ აგებულებასა და ნაკლიან აგებულებას შორის დადასტურებულმა დიდმა ასიმეტრიულობამ — (კარგი აგებულების აღმნიშვნელი 29 სიტყვაა, ხოლო ნაკლიანის — 146) — და აგრეთვე დიდმა ასიმეტრიულობამ „ლამაზსა“ და „ულამაზო“ ჯგუფებს შორის — (ლამაზი გარეგნობის სიტყვებია 133, ხოლო ულამაზოსი — 37).

ზემოთ აღინიშნა, რომ ცნება „ძალა“ საკუთარ სპეციფიკასაც გულისხმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძალას მჭიდრო დამოკიდებულება არ ჰქონდეს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ჯანმრთელობასთან დაპირისპირების შემთხვევაში ძალა და ჯანმრთელობა მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას ავლენენ. ძალ-ღონე ასახავს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჯანმრთელობა განსაზღვრავს ძალ-ღონეს; ამიტომ ჯანმრთელობისა და ძალ-ღონის ჯგუფები შეიძლება ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ. მას შემდეგ, რაც მათი ცალკე გამოყოფა და გათვალისწინება მოხდა, მათი ერთ ჯგუფად გაერთიანება მიზანშეწონილად ვცანით სურათის გამარტივების მიზნითაც. ამ გაერთიანების შედეგად ცხრილი შემდეგ სახეს მიიღებს: (ცხრ. №12).

№12 ცხრილის მიხედვით ფ ი ზ ი კ უ რ ი გ ა რ ე გ ნ ო ბ ი ს ჯ გ უ ფ შ ი „ცუდი“ შეფასების სიტყვები აღემატება „კარგი“ და „ნეიტრალური“ შეფასების სიტყვებს. ხოლო „კარგი“ და „ცუდი“ შეფასების სიტყვების ურთიერთთან შედარება გვიჩვენებს, რომ „ცუდი“ შეფასების სიტყვები, არცთუ დიდად, მაგრამ მაინც აღემატება „კარგი“ შეფასების სიტყვებს. „ცუდი“ შეიცავს 183 სიტყვას — 53,0%-ს, „კარგი“ — 162 სიტყვას — 47,0%-ს (1:345). „კარგი“ შეფასების სიტყვების მიმართება „ცუდი“ შეფასების სიტყვებთან გამოიხატება პროპორციით — 1,1 : 1.

ძალ-ღონისა და ჯანმრთელობის აღმნიშვნელ სახელწოდებების ჯგუფში „ცუდი“ ჯანმრთელობის აღმნიშვნელი სიტყვები აღემატება „კარგი“ ჯანმრთელობის აღმნიშვნელ სიტყვებს — „ცუდი“ შეფასების 109 სიტყვაა —



შეფასება	კარგი		ცუდი		ნეიტრალური		ერთად		ქართული და უცხო ერთად
	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	ქართული	უცხო	
ფიზიკური აგებულება და გარეგნობის ძალ-ღონე და ჯანმრთელობის	162	4	183	2	116	3	461	9	470
	39	1	109	5			148	6	154
<b>ს უ ლ</b>	<b>201</b>	<b>5</b>	<b>292</b>	<b>7</b>	<b>116</b>	<b>3</b>	<b>609</b>	<b>15</b>	<b>624</b>

609 ქართული სიტყვის განაწილება, %  
 493 ქართული სიტყვის განაწილება, %  
 (კარგი და ცუდი ერთად)

33,0	48,0	19,0						
40,8	59,2							

73,6%, „კარგი“ შეფასების — 39 სიტყვა — 26,4% (n 148), მიმართება „ცუდის“ „კარგთან“ გამოიხატება პროპორციით 2,8 1.

რაც შეეხება 609 ქართულ სიტყვას — ადამიანის ყველა ფიზიკური ნიშნების აღმნიშვნელ საერთო რიცხვს — ის შემდეგნაირად განაწილდა — „კარგი“ — 33%, „ცუდი“ — 48%, „ნეიტრალური“ — 19%; აქაც „ცუდი“ შეფასების სიტყვები აღემატება დანარჩენებს.

თუკი „კარგი“ შეფასების საერთო რიცხვს (201) შევადარებთ „ცუდი“ შეფასების საერთო რიცხვს (292-ს), მივიღებთ — „კარგი“ შეფასებისას — 40,8%-ს, „ცუდისას“ — 59,2%-ს (n 493).

ერთი სიტყვით, ფიზიკური ნიშნების მიხედვით პიროვნული სიტყვა-სახელწოდებების ორივე ჯგუფი — 1. ფიზიკური გარეგნობისა და 2. ძალ-ღონისა და ჯანმრთელობის — ასიმეტრიულად არის აგებული. ორივე ჯგუფში ცუდი შეფასების სახელწოდებები, ე. ი. უარყოფითი, აღემატება „კარგი“ შეფასების სიტყვა-სახელწოდებებს, ე. ი. დადებითს.

პიროვნული სიტყვები ფიზიკური ნიშნების მიხედვით აგებულია ენის იმ ტენდენციის თანახმად, რომელიც ზემოთ განხილულ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა თითქმის ყველა კატეგორიაში დადასტურდა და მდგომარეობს იმაში, რომ უარყოფითი შეფასების პიროვნული სახელწოდება აღემატება დადებითს. ამ პრობლემის განხილვას ჩვენ შემდეგ თავში შევეცდებით.

ადამიანის სხეულის, ტანის აღწერას ქართულ ენაში 609 სიტყვა-სახელწოდება გამოხატავს. ამ სიტყვებით წარმოდგენილია ადამიანის სხეულის მთლიანი აგებულების თავისებურება, — გარეგანი აღნაგობა, ორგანიზმის ცალკე ორგანოების თავისებურებანი, ძალ-ღონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხეულის სილამაზის ნაირსახეობა. ერთი სიტყვით, ქართული

ენის კულტურამ შექმნა ადამიანის მთლიანი სხეულისა და მისი ცალკე ნაწილების იმდენი და ისეთი შინაარსის სახელწოდებები, რომ სხეულის აღწერას და შესაფერისი ფიზიკური სტატუსის დადგენას მტკიცე ნიადაგი აქვს შექმნილი.

**პათოლოგიურ პიროვნებათა აღმნიშვნელი სახელწოდებების კატეგორია**

ეს კატეგორია შეიცავს სულ 73 სიტყვა-სახელწოდებას. მათში ქართული ენის სიტყვებია 35, უცხო — 38. ყურადღებას იქცევს უცხო სიტყვათა სიმრავლე. ისინი ყველა წიგნურია, ფსიქოლოგიური და ფსიქო-პათოლოგიური მეცნიერული კვლევის გზით შემოსული ქართულ ენაში.

### **ყ. ასიმეტრიული მიმართება პიროვნების უარყოფით და დადებით ძარაძმაროლოგიურ სახელწოდებათა შორის**

ადამიანის პიროვნების ქარაქტეროლოგიურ სახელწოდებებში ასახულია პიროვნების თვისებები, ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის ნიშნები და მდგომარეობანი, რომელთა საფუძველი შინაგანი ძალები, შესაძლებლობები და ტენდენციებია; მაგრამ მათში ასახულია ისიც, თუ რისკენაა ეს ტენდენციები მიმართული, ცხოვრების რომელი ღირებულების რეალიზაციისკენ. მაგ., **კ ე თ ი ლ ი** ადამიანი. კეთილი საქმეებისკენ, სათნოების ღირებულების შექმნისკენ არის მიდრეკილი. **ბ ო რ ო ტ ი** ადამიანის მოქმედება მიმართულია სიცოცხლის უარყოფით ღირებულებათა რეალიზაციისკენ. ამრიგად, ღირებულება წარმოადგენს იმ ობიექტურ მომენტს, რომლის შექმნისკენ არის პიროვნება მიმართული და, რომელიც, იმავე დროს, არის პიროვნების და, მაშასადამე, მისი თავისებურების, ან მისი რაიმე გამოვლენის შეფასების კრიტერიუმი.

მთლიან პიროვნების, მისი თავისებურებებისა და ნიშან-თვისებების შეფასების პრინციპის საკითხი დადგა ჩვენს წინაშე პიროვნულ კატეგორიებში დადასტურებულ ქარაქტეროლოგიურ სახელწოდებათა ასიმეტრიულობის ახსნის პრობლემასთან დაკავშირებით.

პიროვნული სახელწოდებების კატეგორიებში დადასტურებული „ასიმეტრიულობა“ წარმოადგენს: **ე ნ ო ბ რ ი ე ფ ა ქ ტ შ ი** ასახულ ასიმეტრიულ მიმართებას სიცოცხლის ორ საწინააღმდეგოდ დაპირისპირებულ პრინციპს შორის — **და დ ე ბ ი თ** ღირებულებასა და **უ ა რ ყ ო ფ ი თ** ღირებულებას შორის. მაგ., ზნეობრივ კატეგორიაში ასიმეტრიულობა წარმოადგენს „კეთილი“ და „ბოროტი“ პრინციპის მიხედვით შეფასებულ პიროვნულ სახელწოდებათა შორის არსებულ მიმართებას; გონებრივ კატეგორიაში „მაღალი“ და „დაბალი“ აზროვნების პრინციპის მიხედვით შეფასებულ პიროვნულ თავისებურებათა შორის არსებულ მიმართებას და ასე დანარჩენ კატეგორიებში.

ამ ენობრივი ფაქტის, — უარყოფით-პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა დადებითზე რაოდენობრივი უპირატესობის — ფსიქოლოგიური ბუნების გახსნა პრობლემად დგას ჩვენს წინაშე. ის ასეა დასმული: რ ა ტ ო მ ა ს ა - ხ ა ვ ს ე ნ ა უ ა რ ყ ო ფ ი თ თ ვ ი ს ე ბ ე ბ ს უ ფ რ ო დ ი დ რ ა ო - დ ე ნ ო ბ ი თ, ვ ი ღ რ ე მ ი ს ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო — და დ ე ბ ი თ ს ?

დასმული საკითხის განხილვისთვის, კატეგორიებისა და ჯგუფების ურთიერთშედარების გაადვილებისა და მიღებული შედეგების გათვალსაზი-ნოების მიზნით, შეფასება „მაღალი“, „დაბალი“, „ქარგი“, „ცუდი“, „სა-სიამოვნო“, „უსიამოვნო“, „ძლიერი“, „სუსტი“ — ზემოდასახელებული „ღირებულებების“ კრიტერიუმის თანახმად, შევცვალებთ სათანადოდ „უარყოფითი“ და „დადებითი“ შეფასებით. მიღებული შედეგი მოცემულია №13 ცხრილში.

ცხრილი № 13

ასიმეტრიული მიმართება უარყოფით და დადებით  
ქარაქტეროლოგიურ-პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა შორის  
(ქართული სიტყვები)

სიტყვების კატეგორიები	შეფასება	რიცხვი საერთო	დადებითი		უარყოფითი		უარყოფითის მი- მართებ ბითთან
			n	%	n	%	
სოცალურ-შეფასებითი		503	145	29,8	358	71,2	2,5:1
ზნეობრივი		526	160	30,4	366	69,6	2,3:1
ზასიათისეული		825	267	32,4	558	67,6	2,1:1
გონების აღმნიშვნელი		375	125	33,3	250	66,7	2,0:1
ემოციის აღმნიშვნელი		553	108	19,5	445	80,5	4,0:1
ფიზიკური გარეგნობის აღმნიშვნელი		345	162	47,0	183	53,0	1,1:1
ფიზიკური ძალ-ღონისა და განმრთვლობის აღმნიშვნელი		148	39	26,4	109	73,6	2,3:1
<b>ს უ ლ</b>		<b>3275</b>	<b>1006</b>	<b>30,7</b>	<b>2269</b>	<b>69,3</b>	<b>2,2:1</b>

რაც შეეხება ნებელობის კატეგორიას, ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ასიმეტრიულობის კონტექსტში ის გამონაკლისს შეადგენს: დადებითი შეფასების სიტყვები აღემატება უარყოფითს. იმ ქართულ სიტყვათა სრული სურათი რომ შეიქმნას, რომელთა დადებით-უარყოფითი შეფასება შეიძ-ლებს, ძლიერი ნებელობის აღმნიშვნელი 151 სიტყვა დაეუმატოთ დადებით სიტყვათა საერთო რაოდენობას (1006-ს) და სუსტი ნებელობის აღმნიშვნელი 44 სიტყვა უარყოფით სიტყვათა საერთო რაოდენობას (2269-ს). მივიღებთ ქართულ პიროვნულ 1157 დადებითი შეფასებისა და 2313 უარყოფითი შეფასების სახელწოდებებს. მიმართება უარყოფითი შინაარსის სიტყვებისა

დადებითთან გამოიხატება პროპორციით — 2:1. ასიმეტრიულობის სურათი ძირითადად იგივე დარჩა<sup>1</sup>.

ანალოგიურად ასიმეტრიულია მიმართება ქართულ ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა უარყოფით და დადებით პიროვნულ ქარაქტეროლოგიურ სახელწოდებათა შორის. მაგრამ უკეთესია ამის შესახებ ციფრები ვალაპარაკოთ.

ცხრილი № 14

ასიმეტრიული მიმართება უარყოფით და დადებით ქარაქტეროლოგიურ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებათა შორის (უცხო სიტყვები)

სიტყვების კატეგორიები	შეფასება	საერთო რიცხვი	დადებითი		უარყოფითი		უარყოფითი მიმართება დადებითთან
			n	%	n	%	
სოციალურ-შეფასებითი		59	28	47,5	31	52,5	
ზნეობრივი		68	7	10,3	61	89,7	
ხასიათისეული		63	22	34,9	41	65,1	
გონების აღმნიშვნელი		18	10	55,6	8	44,4	
ემოციის აღმნიშვნელი							
ფიზიკური გარეგნობის აღმნიშვნელი		6	4	66,7	2	33,3	
ფიზიკური ძალ-ღონე და ჯანმრთელობის აღმნიშვნელი		6	1	16,7	5	83,3	
სულ		220	72	32,7	148	67,3	

№ 13 ცხრილის ყველა 8 ჯგუფში უარყოფითი შეფასების სახელწოდებები რიცხობრივად აღემატება დადებითს. უარყოფითი სიტყვების ეს უპირატესობა დადებითზე ძალიან მკვეთრად და მაღალი მაჩვენებლებით არის გამოხატული, ვარდა „ფიზიკური გარეგნობის“ მაჩვენებლისა, სადაც ასიმეტრიულობა მინიმუმამდეა დასული. ყველა კატეგორიის საერთო საშუალო უდრის: დადებითის — 30,7%-ს, უარყოფითის

<sup>1</sup> შენიშვნა: №13 ცხრილში არ შესულა ის სიტყვები, რომლებიც დადებით უარყოფით შეფასებას არ ექვემდებარებიან. ასეთია:

ა. სოციალურ-შეფასებითი კატეგორიის 184 სიტყვა „ნეიტრალურის“ შეფასებით.  
 ბ. ხასიათისეული კატეგორიის 238 სიტყვა „ნეიტრალური“ და ტემპერამენტთან დაკავშირებული.

გ. ემოციის კატეგორიის სიტყვები — ამბივალენტური, ორმაგი მნიშვნელობისა და სხვა დანარჩენი — 112 სიტყვა.

დ. ფიზიკური კატეგორიის 116 სიტყვა „ნეიტრალურის“ შეფასებით.

ე. პათოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი 35 სიტყვა.

ვ. ნებელობის კატეგორიის 195 სიტყვა.

სულ 880 სიტყვა.

69,3%-ს. უარყოფითი აღმატება დადებითს 2,2-ჯერ. ცალკე კატეგორიებში უარყოფითი აღმატება დადებითს:

სოციალურ-შეფასებით კატეგორიაში	2,5-ჯერ
ზნეობრივ კატეგორიაში	2,3-„
ხასიათისეულში	.2,1-„ „
გონიერების კატეგორიაში	. 2,0-„ „
ემოციის კატეგორიაში	.4,0-„ „
ფიზიკური გარეგნობის კატეგორიაში	0,1-„ „
ფიზიკური ძალ-ღონისა და ჯანმრთელობის	2,8-„ „

როგორც აქედან ირკვევა უსიამოვნო განცდის სახელწოდებების რიცხობრივი უპირატესობა სასიამოვნო განცდებზე არ ყოფილა ემოციის სპექციფიკა და მხოლოდ გრძობითი განცდის დამახასიათებელი ასიმეტრიულობა, როგორც ამას ფიქრობდნენ პესიმიზმის ფილოსოფიის მიმდევარნი, არამედ ენის ზოგადი ტენდენცია სიცოცხლის ყველა იმ სფეროში, სადაც ადამიანს სასიცოცხლო მნიშვნელობის ღირებულებების შექმნა ევალება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ფიზიკური გარეგნობის“ ჯგუფში უარყოფითი შეფასება მხოლოდ 0,1-ჯერ აღმატება დადებითს, რაც თავისთავად იმდენად მცირეა, რომ ასიმეტრიულობად არც კი ჩაითვლება. შეიძლება ითქვას, რომ „ფიზიკური გარეგნობის“ ჯგუფი ერთადერთია, სადაც შედარებითი წონასწორობაა დაცული.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ენაში ასახული პიროვნულ სახელწოდებათა ეს ასიმეტრიულობა არავითარ შემთხვევაში არ ასახავს სიცოცხლის რეალურ ვითარებას. ე. ი. არ ნიშნავს, რომ ფაქტიურად, სინამდვილეში დაბალი, არაშემოქმედი ადამიანები რიცხობრივად აღმატებიან მაღალ ღირებულებათა შემოქმედ ადამიანებს, რომ უგუნური მეტია ამ ქვეყნად, ვიდრე გონიერი, ავის გამკეთებელი მეტი, ვიდრე სიყვითისა, ყოველ კერძო სიცოცხლეში უსათუოდ უსიამოვნო განცდები აღმატება სასიამოვნოს და სხვა. ეს ყოველდღიური დაკვირვებიდანაც ნათელია. მაგრამ ამის უტყუარი საბუთი ცხოვრების იმ სფეროს მონაცემია, რომელიც სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება — ეს ჯანმრთელობის სოციალური დაცვის სფეროა. აქ წარმოებული დოკუმენტური მასალის მიხედვით ავადმყოფ ადამიანთა რაოდენობა ჯანმრთელ ადამიანთა მცირე პროცენტს შეადგენს. ხოლო ჩვენი მასალის ფიზიკურ კატეგორიაში (ცხრ. №13) ავადმყოფ ადამიანთა პიროვნული სახელწოდებები თითქმის სამჯერ აღმატება ჯანმრთელ ადამიანთა პიროვნულ სახელწოდებებს. აქედან ჩანს, რომ ენაში გამოვლენილი მიმართება უარყოფით და დადებით პიროვნულ სიტყვა-

სახელწოდებას შორის, არ ასახავს რეალურ ვითარებას. დიდა შეუსაბამობა ცხოვრების ფაქტიურ მდგომარეობასა და ენაში ასახულს შორის. და, მართლაც, კაცობრიობის უდიდესი პროგრესი და წინსვლა გაუგებარი იქნებოდა, რომ უარყოფითი ადამიანები მეტი იყოს ამ ქვეყნად, ვიდრე დადებითი და ავადმყოფები მეტი, ვიდრე ჯანმრთელნი.

მაშ, რით ავსნათ ეს მოვლენა? რა სოციალური აზრია ენის ამ ფაქტში დაფარული, მიზანთა რომელ სისტემისთვის არის ის ამ სახით საჭირო? რატომ არ ასახავს აქ ენა ცხოვრების ფაქტიურ მდგომარეობას?

ამის ახსნა ბიო-სოციალურ მიზანთა სისტემის წილში უნდა ვეძებოთ, სახელდობრ, სიცოცხლის მიზანშეწონილობის ზოგად კანონში.

როგორც ეტყობა სოციალურ სფეროში სიცოცხლის მიზანშეწონილობის კანონის იგივე თავდაცვითი სისტემა მოქმედებს, რომელიც ბიოლოგიურ სფეროში სიცოცხლის არათუ დაცვას, არამედ მის სრულყოფასაც თვალმიუწევდომელ აზრიანობით ემსახურება.

საილუსტრაციოდ მივმართოთ შემდეგ მეცნიერულ დაკვირვებას: „ნორვეგიელმა ბლიკსმა, გერმანელმა გოლდშაიდერმა და ამერიკელმა დონალდ-ზონმა თითქმის ერთდროულად აღმოაჩინეს კანის ზედაპირზე ტემპერატურის შეგრძნების წერტილები... მაგრამ სითბოს წერტილების მოძებნა უფრო ძნელია, ვიდრე სიცვიისო“<sup>1</sup> — ამბობს ფსიქოლოგი ებინაუსი. „რაც შეეხება წერტილების რაოდენობას, — სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა, მაგრამ ყველგან სიცვის წერტილები მეტია, ვიდრე სითბოსი, მაგ., ზომერის გამოკვლევის მიხედვით კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 13 სიცვისა და მხოლოდ 2 სითბოს წერტილი მოდის“<sup>2</sup>. (დ. უზნაძე, ებინაუსი).

საყურადღებოა გოლდშაირერის მიერ აღმოჩენილი შემდეგი მოვლენა: ტემპერატურის წერტილები სპეციფიკური რეაქციით უპასუხებენ მაშინაც, როცა მათი აგზნება მექანიკურად ან ელექტროდენით ხდება. „სითბოს წერტილებზე ეს მოვლენა იშვიათად იჩენს თავს, — ამბობს ებინაუსი, ხოლო სიცვის წერტილებზე ამ მოვლენის დაკვირვება შედარებით ადვილია, მართალია, არა ყოველთვის, და არა ყველა წერტილში, მაგრამ მაინც ძალიან ხშირად... სითბოს წერტილებში შეგრძნება ბუნდოვანია, ძალიან ნელა წარმოიშობა, მაშინ, როცა სიცვის წერტილებში შეგრძნება ერთბაშად აღმოცენდება და მკაფიო ხასიათს ატარებს“<sup>3</sup>. „სიცვის წერტილები თავის ენერჯის სპეციფიკურობის მხრივ, ისე შორს მიდიან, რომ მაშინაც კი სიცვის შეგრძნებას იძლევიან, როცა მათი გამდიზიანებლის ტემპერატურა 45°C აღწევს. ისინი სითბოზე სიცვიით გვიპასუხებენ.

<sup>1</sup> Г. Еббингаус, „Основы психологии“, 1912, გვ. 324.

<sup>2</sup> ებინაუსის დასახელებული ნაშრომი, გვ. 325. აგრეთვე დ. უზნაძე, „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, 1925, გვ. 380.

<sup>3</sup> ებინაუსი, იქვე, გვ. 325, 326.

ფ რ ა ი მ ა მ მ ო ვ ლ ე ნ ა ს ს ი ც ი ე ის პ ა რ ა დ ო ქ ს ა ლ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა უ წ ო დ ა. რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა ს ი თ ბ ო ს წ ე რ ტ ი ლ ე ბ ს, ძ ნ ე ლ ი ა მ ა თ ზ ე ი გ ი ე ე ი თ ქ ე ა ს ო <sup>1</sup>, — ა მ ბ ო ზ ს დ. უ ზ ნ ა ძ ე. “ მ თ ი ლ ს ს ხ ე უ ლ ზ ე 12 ს ი ც ი ე ის ა და 8 ს ი თ ბ ო ს მ გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ე ბ ის გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ უ ლ ი ა რ ე ა ა ღ მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ” <sup>2</sup>.

თანამედროვე ფიზიოლოგია ყველა ამ ფაქტს ადასტურებს და შემდეგნაირად აზუსტებს მას: „სიცვიისა და სითბოს რეცეპტორები სხვადასხვა სიღრმეზე თავსდებიან. სიცვიისა 0,17 მმ. სიღრმეზე, ხოლო სითბოსი კანის ზედაპირიდან 0,3 მმ. სიღრმეზე. ამით იძლევიან იმის ახსნას, რომ რეაქციის დრო სიცვიით გაღიზიანებაზე ნაკლებად ხანგრძლივია, ვიდრე სითბოთი გაღიზიანებაზე... სიცვიის წერტილების საერთო რიცხვი, ადამიანის სხეულის ზედაპირზე, დაახლოებით 250000-ია, სითბოს წერტილები კი მხოლოდ 30000-ია. (ხაზგასმა ჩვენია ნ. ბ.).“

ტემპერატურის რეცეპტორები შეიძლება ავგაზნოთ არაადეკვატური გამღიზიანებლებითაც. ასე, სიცვიის რეცეპტორები შეიძლება ავგაზნოთ სითბოთი. ამით და აგრეთვე სიცვიისა და სითბოსი რეცეპტორების მდებარეობის სხვადასხვა სიღრმით ხსნიან სიცვიის პარადოქსულ შეგრძნებას სითბოს ზემოქმედებით” <sup>3</sup> და სხვა.

როგორც ირკვევა ტემპერატურის შეგრძნების ორივე სისტემა — როგორც სიცვიისა, ისე სითბოსი — უზრუნველყოფილია შესაფერისი აპარატით კანის ზედაპირზე, რომლის საშუალებით ადამიანი წარმატებით ახერხებს ტემპერატურის ზეგავლენის რეგულაციას და სტაბილიზაციას. ეს მოვლენა თავისი დადებითი სასიცოცხლო მნიშვნელობით, ბიოლოგიურად დიდად ღირებული ფაქტია. ის უზრუნველყოფს ადამიანის არსებობის ერთერთ მნიშვნელოვან პირობას: ორგანიზმისთვის შესაფერისი ტემპერატურის ოპტიმუმის დაცვას. ამ მხრივ შეგრძნების ორივე სისტემა, როგორც სიცვიისა, ისე სითბოსი, ყოველთვის მზადყოფნაშია უპასუხოს სიცოცხლისთვის საშიშ ტემპერატურის ზეგავლენას, რომელიც მას, როგორც სიცვიის, ისე სითბოს მხრივ ემუქრება. მაგრამ, რატომღაც, როგორც ეს ზემომოტანილ ფაქტიდან ირკვევა, სიცვიის შეგრძნებისთვის ადამიანი უფრო უზრუნველყოფილია შესაფერისი აპარატით, ვიდრე სითბოს შეგრძნებისთვის: ს ი ც ვ ი ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ის წ ე რ ტ ი ლ ე ბ ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა ს ი თ ბ ო ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ის წ ე რ ტ ი ლ ე ბ ს, რ ო გ ო რ ც რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ, ის ე ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ის მ ა ღ ა ლ ი დ ო ნ ი თ და შ ე გ რ ძ ნ ე ბ ის მ კ ა ფ ი ო ხ ა ს ი ა თ ი თ. ის უ ფ რ ო ა დ ვ ი ლ ა დ ა გ ზ ნ ე ბ ა დ ი ა, უ ფ რ ო ზ უ ს ტ ი ა, უ ფ რ ო მ გ რ ძ ნ ო

<sup>1</sup> დ. უზნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ 381.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 382.

<sup>3</sup> ე. ბაბსტი, ა. ზუბოკოვი, გ. კორიკვი, პ. ხოდოროვი, „ადამიანის ფიზიოლოგია“, 1966 წლის რუსული გამოცემის 1969 წლის ქართული თარგმანი, გვ. 543.

ბ ი ა რ ე ა. ისმის საკითხი — რატომ? ზედმეტი სითბოც ხომ ისევე საშიშია ცოცხალი ორგანიზმისთვის, როგორც ზედმეტი სიცივე! მაშ, როგორ ავხსნათ მოცემული ფაქტი? ხომ არ შეიძლება, რომ ბიოლოგიურად ასეთი მნიშვნელოვანი ორგანოს ა მ ს ა ხ ი თ განვითარება, რაიმე მექანიკური ზემოქმედების შედეგი იყოს? არა, ასეთი ვარაუდი დაუშვებელია, როგორც სიცოცხლის განვითარების იდეასთან შეუთავსებელი ფაქტი. აქ განვითარების სასესებით კანონზომიერი აქტი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის მიხედვით, სიცოცხლისთვის აუცილებელ და მიზანშეწონილ განვითარებას ჰქონდა ადგილი. ალბათ ადამიანის სასიცოცხლო ზონის სფეროში, ტემპერატურის საარსებო პირობების მიხედვით, სიცივე უფრო ემუქრება სიცოცხლეს, ჩანს, გარკვეულ პირობებში, სიცივის ზედმეტი ზემოქმედება ორგანიზმზე უფრო მოსალოდნელია და უფრო საშიში სიცოცხლისთვის, ვიდრე სითბოსი. უ თ უ - ო დ ა მ ი ტ ო მ ს ი ც ი ვ ე ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს ს ა ს ი გ ნ ა ლ ო ს ი ს ტ ე მ ა უ ფ რ ო მ ო ქ ი ლ ი ა, თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ა დ უ ფ რ ო ზ უ ს ტ ი, რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ უ ფ რ ო უ ხ ვ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი.

ყოველ შემთხვევაში, ტემპერატურის შეგრძნების ზემოაღწერილი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური საფუძველი. როგორც მოვლენა, ძალიან გვაგონებს თავისი ხასიათით, მნიშვნელობითა და აზრიანობით, ენაში დადასტურებულ „ასიმეტრიულობის“ ფაქტს. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ს ფ ე რ ო შ ი მ ო ქ მ ე დ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი უ დ ე ვ ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ *mutatis mutandis*, ს ო ც ი ა ლ უ რ ს ფ ე რ ო ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს ა ც, კ ე რ ძ ო დ, პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა თ ა ა ს ი მ ე ტ რ ი უ ლ ო ბ ი ს ფ ა ქ ტ ს. ა ქ ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ო ბ ი ს ე რ თ ი ს ა ე რ თ ო ხ ა ზ ი ა დ ა ც უ ლ ი. პრინციპში ორივე მოვლენა ერთი და იგივე კანონზომიერების მოქმედების შედეგს წარმოადგენს ალბათ.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ადამიანის ქარაქტეროლოგიური თვისებების ენაშორასახული ასიმეტრიულობა, ის ფაქტი, რომ პიროვნების უარყოფითი თვისებებისა და თავისებურებების აღმნიშვნელი სიტყვები ალემატება დადებითს. სახელდობრ ის, თუ რა სასიცოცხლო ან სოციალური აზრი შეიძლება იყოს დაფარული ამ ფაქტში.

როგორც ცნობილია, ადამიანის სიცოცხლეზე ზემოქმედებს მოვლენათა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სისტემა. უარყოფითად ზემოქმედ მოვლენასთან ადამიანი მუდამ ბრძოლის პროცესში იმყოფება მისი დაძლევის მიზნით. ამისათვის ადამიანი ყველა თავის შესაძლებლობებს და თვისებებს მიზანშეწონილად იყენებს. მეტყველება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, აქაც მის სამსახურში დგას — აკეთებს იმას, რაც ხელს უწყობს ადამიანის გამარჯვებას ბრძოლაში. ამ შემთხვევაში



ის ამხვილებს ადამიანის უზრადლებას სიცოცხლისთვის ხელშემშლელ, უარყოფით ზეგავლენის მოვლენებისკენ. ამ მიზნით სხვადასხვა სახით და მრავალნაირად ასახავს იმას, რაც, როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური სიცოცხლისთვის საშიშია, მიუღებელია, რაც მის არსებობას ემუქრება. ეს ასახავს კი უადვილებს ადამიანს ამ მოვლენების გაცნობიერებას და ამით მზადყოფნაში მოყვას მათთან საბრძოლველად. ასეთია ჩვენს მასალაში ყველა ის პიროვნული სახელწოდება, რომელიც „უარყოფით“ შეფასებას იმსახურებს და ასიმეტრიულად უპირისპირდება „დადებითს“. პიროვნული თვისებებისა და თავისებურებების სახელწოდებების უარყოფითი სიტყვები, ცხოვრების ხელშემშლელი ფაქტორის ამსახველია, რომლის მიმართ ადამიანს საპასუხო მზაობაში ყოფნა მართებს. რაც ემუქრება ადამიანის ინდივიდუალურ და სოციალურ გარემოცვას, ხელს უშლის წინსვლასა და პროგრესს, მისი გაობიექტივება და სახელდებით ასახავს სასიგნალო მნიშვნელობისაა: ამ ინფორმაციით ადამიანი უკეთ აწესრიგებს არსებობის სოციალური და ინდივიდუალური მნიშვნელობის გარემოს.

სიცოცხლის განვითარებისთვის ხელშემშლელ ფაქტორთა გაობიექტივება და ცნებითი სახით ასახვა უკვე მითითებაა საშიშროების არსებობაზე. ის აღაგზნებს ადამიანს საბრძოლველად და იწვევს სამოქმედოდ. ის მოქმედების სიგნალი და სტიმულატორია. ერთი სიტყვით, ენა მეტ „მგრძობლობას“ ამქლავებს ცხოვრების უარყოფითი მოვლენების მიმართ, ვიდრე დადებითის მიმართ და უარყოფით მოვლენებს უფრო სრულყოფილად ასახავს, ვიდრე დადებითს, ეს იმიტომ, რომ უარყოფით მოვლენათა გაცნობიერება სიგნალის მნიშვნელობისაა.

სიცოცხლის მიზანსწრაფვა ხომ იქითაა მიმართული, რომ დაძლიოს, რაც მის არსებობას ემუქრება და უარყოფით ძალად ევლინება. ამისათვის, ამ ბრძოლა-დაძლევისათვის კი ეს საშიშროება, ეს უარყოფითი მოვლენა წინასწარ უნდა იყოს გაცნობიერებული, უნდა იყოს მასზე მითითებული, უნდა არსებობდეს მისი ამსახველი ცნება. სწორედ მათ ამ გაცნობიერებას, გაობიექტივებას, ცნებითი სახით ასახვას ემსახურება ენის „ასიმეტრიულობის“ ფაქტი.

გასაგებია, რომ უარყოფით მოვლენასთან ბრძოლისთვის საჭირო ენობრივი სასიგნალო სისტემა უფრო უზრუნველყოფილია, უფრო სრულყოფილადაა გაობიექტივებული, ვიდრე საწინა-

აღმდეგო - დადებითი. ამას მოითხოვს ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური არსებობისათვის ბრძოლის მიზანშეწონილობის აზრიანობა.

ისიც საკითხავია და საინტერესო, თუ როგორ მიაგნო ხალხურმა შემოქმედებამ ამ იდეას, თუ როგორ შეიმუშავა მან ამის განწყობა, მაგრამ ეს საკითხი ენის სოციალური შემოქმედების თემატა და აქ მას ჩვენ თავს ვანებებთ.

დ. უზნაძემ სასიამოვნო და უსიამოვნო ემოციურ განცდათა ასიმეტრიულობის შესახებ შემდეგი აზრი გამოთქვა: „ერთი სიტყვით, ბევრი რამ მოქმედებს ჩვენზე ისეთი, რაც უაღრესად სასარგებლოა ჩვენთვის, მაგრამ სიამოვნების გრძნობებს მინც არ იწვევს; ხოლო თუ კი ისეთი რამ გაჩნდა, რაც ჩვენს მიზნებს ეწინააღმდეგება, რაც ჩვენთვის მიზანშეწონილია, ჩვენ მას უფრო ხშირად უსიამოვნების გრძნობით ვუპასუხებთ. მოკლედ: ჩვენ მავნებლისა და მიზანშეწონილის მიმართ უფრო მგრძნობიერი ვართ, ვიდრე სასარგებლოსა და მიზანშეწონილის მიმართ, სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობები სიგნალის როლს ასრულებენ: ეს სასარგებლოა, ეს უსარგებლოა, თითქოს გვანიშნებენ. მაგრამ სასარგებლოს მხოლოდ მაშინ უნდა ნიშნება, როდესაც იგი პირველად იწყებს მოქმედებას, მავნებელს კი ყოველთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ადვილად დაილუპებოდა. ამიტომ. გასაგებია, რომ უსიამოვნების საგანგებო განცდის შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე სიამოვნების განცდისა. მაშასადამე, რაოდენობრივი თვალსაზრისით, სიამოვნება-უსიამოვნების განცდათა ასიმეტრიულობა ყოველ ექვს გარეშეა“<sup>1</sup>. დ. უზნაძის აზრით, სიამოვნება-უსიამოვნების რომელიმე ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველ სიამოვნებას თავის საპირისპირო უსიამოვნება არ მოეპოვება. ამ მხრივ ისინი ასიმეტრიულნი არიან. ამ აზრს დ. უზნაძე ავითარებს და განაგრძობს: „აქედან გასაგებია, რომ შესაძლებელია გრძნობათა პოლარულ მიმართებათა შორის არც რაოდენობრივი შესატყვისობა არსებობდეს“<sup>2</sup>.

სიამოვნება-უსიამოვნების ბუნებას, მის ეტიმოლოგიას, დ. უზნაძე საკვებით სწორ ახსნას აძლევს: რომ ისინი „სასიგნალო როლს ასრულებენ, ჩვენ მავნებლისა და მიზანშეწონილის მიმართ უფრო მგრძნობიერი ვართ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ადვილად დაილუპებოდა“. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ნამდვილად, რეალურად, უსიამოვნება ჭარბობდეს სიამოვნების განცდას, რომ „სიამოვნება-უსიამოვნების განცდათა ასიმეტრიულობა ექვს გარეშეა“ — დაუმტკიცებელი დებულებაა და აი რატომ: სიამოვნება-უსიამოვნების „ბიუჯეტის“ დადგენა, რომელსაც დ. უზნაძე იმოწმებს, შეიძლება ან კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით, ან კიდევ მეტყველებაში ასახული ლექსიკური მასალით.

<sup>1</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3—4, 1964, გვ. 141.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 138.

ზიოგრაფიული მეთოდით, ადამიანის სიცოცხლის მსვლელობის აღწერით, სარწმუნო მასალის მიღება პრინციპულად შეუძლებელი თუ არა, დიდად ძნელი მანც არის, რადგან ყოველი ადამიანის სიცოცხლის გზა უაღრესად ინდივიდუალური სახისაა.

რაც შეეხება ენაში ასახულ ლექსიკურ მასალას, ის სარწმუნო მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუკი ის ენის მთელი ლექსიკური მარაგის გათვალისწინების ნიადაგზე არის მიღებული. სწორედ ასეთია ჩვენს მიერ წარმოდგენილი პიროვნულ თავისებურებათა და მდგომარეობათა ამსახველი სიტყვები.

სიამოვნება-უსიამოვნების ურთიერთმიმართებას, ჩვენი მასალის მიხედვით, დიდი ასიმეტრიულობა ახასიათებს: უსიამოვნო განცდის ამსახველი სიტყვები მეტია, ვიდრე სასიამოვნო, მაგრამ ეს ასიმეტრიულობა ამ სახით, ამ მიმართებით, ვრცელდება პიროვნების ფსიქოფიზიკური ორგანიზაციის ყველა სფეროზე და არა მარტო ემოციაზე. ამიტომ მისი გადატანა სიცოცხლის რეალურ მიმდინარეობაზე, უმართებულოა.

ზემთ შევეცადეთ დაგვესაბუთებო, რომ ენაში ასახული ეს ფაქტი არ არის რეალური ცხოვრების ანარეკლი და, რომ რეალური ცხოვრების ვითარების მიმართ, დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ენობრივი ფაქტი არტეფაქტს წარმოადგენს.

## 10. პიროვნულ სახელწოდებათა თავისებურებაჲ ქართულ ენაში

ისმის საკითხი: ხომ არ ახასიათებს ადამიანის ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელ სახელწოდებებს რაიმე თავისებურება? ხომ არ ასახულა ხალხური შემოქმედების ამ ფაქტში პიროვნების წვდომა და გაგება რაიმე გარკვეული სპეციფიკით?

ასეთ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ქართულ პიროვნულ სახელწოდებათა მთელი მარაგის (4155 სიტყვის) ერთი მეოთხედი — 1031 სიტყვა (24,8%) — ადამიანის სხეულის ნაწილების სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძეზეა აგებული. მაგ., გულ-კეთილი, თავ-კაცი, ორ-პირი, ხელ-მანკიანი, თვალ-ბოროტი, ენა-ძვირი, სახე-მწუხარი, ფეხთა-მლოცი, ტეინთხელი და სხვა.

ადამიანის რაიმე ორგანოს სახელთან დაკავშირებულ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებაში ადამიანის სხეულის ნაწილი, მისი სახელის სახით, პერსონიფიცირებული და სიმბოლიზებული ფორმით მონაწილეობს.

ადამიანის სხეულის ორგანოები, რომელთა სახელიდან მთლიან პიროვნების ნიშან-თვისებათა და თავისებურებათა გამომხატველი სიტყვები აიგებიან, ქართულ ენაში 39 აღირიცხა. (მათში ორი ძრგანო — ფრთა და

კული — რომლებიც ადამიანს არ გააჩნია — პირობითი მნიშვნელობითაა აღებული). ამათგან ზოგი გაოცებას იწვევს კიდევ შემთხვევათა დიდი რაოდენობით და შინაარსის მრავალფეროვანი ვარიაციით. ასეთია მაგ., სიტყვები — გული, თავი, თვალი, პირი, ენა, სახე, ხელი. ზოგი კიდევ ერთეული სახელწოდებითაა წარმოდგენილი და სხეულის მხოლოდ რომელიმე ფიზიკური ნიშნის თავისებურებას გამოხატავს.

ადამიანის შინაგანი მოვლენების აღნიშვნა სხეულის ნაწილთა სახელის მიხედვით, სხვა ენებშიაც არის შემჩნეული<sup>1</sup>. ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი, ზემოთ განხილული, პიროვნული სახელწოდებები გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, რაც ყველა ენის კუთვნილებას შეადგენს, ამავე მოვლენის რიგს განეკუთვნება. მაგრამ ქართულ ენაში ეს მეტად მკვეთრად არის გამოსახული და პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებებს თავისებურ ელფერს ანიჭებს.

ჩვენი მასალის მიხედვით ადამიანის განცდის ყველა სფერო (გრძნობა, გონება, ნებელობა) შეიცავს სხეულის ნაწილის სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძით ნაწარმოებ პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებებს.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სხეულის ზოგი ორგანოს სახელი, ქართულ ენაში, მრავალ გამოთქმას საფუძვლის სახით ემსახურება, მათ შორის პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებებსაც; ერთი ასეთი სიტყვა არის გული. გულ-ფუძის ამ ფუნქციას ჩვენში პირველად ყურადღება ენათმეცნიერმა არნოლდ ჩიქობავამ მიაქცია (1938).

შეღარებითი ანალიზის ნიადაგზე (ჭანურ-მეგრულ-ქართული) არნოლდ ჩიქობავამ გვიჩვენა, რომ „ქართულში გულ-ფუძე მთელ რიგ რთულ ფუძეებსა და გამოთქმებს აწარმოებს: გული-ს-ყური, გული-ს-ხმა (ძველ ქართულში გულისკმაი) — გული-ს-ხმობს, იგული-ს-ხმება..., გულის თქმა (აყვა გულის თქმას), გული-ს-წყრომა, გულის რევა, გულის ზიდილი, გულ-ყრა (გულს შემოეყარა), გულ-ჭვა, გულწრფელი (ე. ი. „გულ-სწორი“, „გულმართალი“), გულ-ჩვილი, გულკეთილი, გულ-ნაკლული... ჭანურშიც, მეგრულშიც გულს მრავალგვარი ფუნქცია მიეწერება, მაგრამ ქართულის მიხედვითაც ცხადია, რომ გული წარმოდგენილია აზროვნების თიპროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს — სიცოცხლის მატარებელი გულია! ჩანს, ძველი ადამიანის ყურადღება ადრე მიიპყრო ამ

<sup>1</sup> იხ. ა. ფრანკვილი, „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“. 1959, თბილისი, გვ. 67.

ორგანომ, რომლის საქმიანობა ასე მნიშვნელოვანიც იყო და თ ვ ა ლ ს ა-  
ჩ ი ნ ო ც“<sup>1</sup>.

ეს გარემოება არ გამოპარვია მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ კვლევასაც. ამ მხრივ საგულისხმოა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი ს გა-  
მოკვლევა სიტყვა გ უ ლ ი ს მნიშვნელობის შესახებ ქართულ ენაში  
(1959).

ფილოსოფიურ და მხატვრულ ლიტერატურაში „ფსიქოლოგიური ცოდ-  
ნის“ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ძველ ქართულში, ა. ფ რ ა ნ-  
გ ი შ ვ ი ლ ს განხილული აქვს სიტყვა გ უ ლ ი ს მოძრაობა ადამიანის  
შინაგანი განცდის ყველა სფეროში და იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ  
გულ-ფუძეს, ადამიანის განცდის სინამდვილის ასახვაში, ა მ ო ს ა ვ ა ლ ი  
ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა ე ნ ი ჭ ე ბ ა. ის ამბობს „ქართულ  
ენაში შ ი ნ ა გ ა ნ ი გ ა ნ ც დ ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე მ თ ლ ი ა ნ ა დ  
წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა „გ უ ლ“ ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო-  
ბ ა ს თ ა ნ მ ჭ ი დ რ ო კ ა ვ შ ი რ შ ი. როგორც მოყვანილი ფაქტობრივი  
მასალიდან ირკვევა, ეს ერთნაირად ითქმის როგორც სუბიექტურ მდგომა-  
რეობათა განცდების — ემოციური განცდების, ისე ობიექტური სინამდვი-  
ლის განცდების — შემეცნების პროცესების, აქტივობის განცდების — ე-  
ბელობისა და პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გამოსახვის შე-  
სახებ. „გ უ ლ“ ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა ს თ ა ნ კ ა ვ შ ი რ-  
შ ი ა, თ უ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა ს ე ი თ ქ ვ ა ს, გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ქ ა რ-  
თ უ ლ ე ნ ა შ ი, მ თ ე ლ ი „შ ი ნ ა გ ა ნ ი“ გ ა ნ ც დ ი ს ს ი ნ ა მ დ-  
ვ ი ლ ე“<sup>2</sup>.

ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი შემდეგნაირად აყენებს საკითხს: „ქართული  
ენის ეს თავისებურება, როგორც დავინახეთ, იმდენად თვალსაჩინოა, რომ  
სრულიად შეუძლებელია არ დადგეს საკითხი, განსაკუთრებით ფსიქიკური  
სინამდვილის შემსწავლელი მეცნიერების — ფსიქოლოგიის წინაშე, იმის  
შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს გაგებული ეს ენობრივი ფაქტი? რას უნდა  
ნიშნავდეს იგი? უნდა განდეს თუ არა იგი გასაგები თვით ფსიქიკურის თავი-  
სებურებათა საფუძველზე“<sup>3</sup>. ამ კითხვის საპასუხოდ ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი-  
ლ ი განაგრძობს სიტყვა გულის მნიშვნელობის ანალიზს და დაასკვნის, რომ  
გულ-ფუძეს განცდის გამოხატვაში ძირითადი და ამოსავალი სიტყვის მნი-  
შვნელობა აქვს, ის „მთლიან-პიროვნული რეალობის“ ამსახველია<sup>4</sup>, „პი-  
როვნების მოღუსია, ... პიროვნების არსებით ფსიქოლოგიურ თავისებურე-  
ბათა ერთიანობის ფორმა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, „ჭანურ-მეგრულ-ქართულ“. შედარებითი ლექსიკონი“. 1928  
გვ. 66.

<sup>2</sup> ა. ფრანგივილი, დასახელებული შრომა, გვ. 68.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 75.

ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი ს ანალიზი ეხება სიტყვა გ უ ლ ი ს ყოველ-გვარ მნიშვნელობას, ადამიანის შემეცნების ყველა სფეროში.

ჩვენი მასალა შეიცავს ადამიანის სხეულის ნაწილების სახელით განსაზღვრულ მხოლოდ ისეთ შინაარსებს, რომლებიც პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებებსა და ნიშან-თვისებებს გამოხატავენ.

რომ შესაძლებელი გახდეს ენათმეცნიერ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ა და ფსიქოლოგ ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ სიტყვა გულის ანალიზით დადგენილ დებულებებთან ჩვენი მასალის ანალიზით მიღებული შედეგების შეთანხმება, ამისათვის უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

1. შეეხება თუ არა ადამიანის განცდის ყველა სფეროს სხეულის ნაწილების სახელის აღმნიშვნელ ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდება, თუ მისი აქტივობა ფსიქიკური სინამდვილის მხოლოდ ზოგ სფეროზე ვრცელდება?

2. ადამიანის სხეულის რომელი ორგანო (ამ ორგანოს სახელის სახით) რა აზრით ასახავს პიროვნული მოვლენების შინაარსს, რა სპეციფიკით უღებდა პიროვნების თავისებურებების გამოვლენას?

3. რა მნიშვნელობით გამოაქვს ფიზიკურ-ფიზიოლოგიური სუბსტრატის სახელწოდებას ფსიქოლოგიური მოვლენის შინაარსი და აზრი? როგორ აღწევს ის ამ მიზანს?

4. რა საფუძველი აქვს სხეულის ნაწილის სახელით პიროვნების თავისებურების შინაარსის ასახვის ფაქტს პიროვნების ზოგად-სტრუქტურულ წყობაში?

პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელ ქართულ ლექსიკაში, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის სხეულის ნაწილების სახელის მიხედვით აგებულ სიტყვებს, პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელი სახელწოდებების მთელი მარაგის 25% მას უკავია. უნდა გაირკვეს ამ ენობრივი ფაქტის ფსიქოლოგიური საფუძველები. ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა სწორედ ამ ფსიქოლოგიური საფუძველების ძიების შედეგად არის მხოლოდ შესაძლებელი. ამ მიზნით განვიხილოთ მოცემული ფაქტიური მასალა — სხეულის ნაწილების სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოები 1031 ქართული პიროვნული სახელწოდება.

პირველ რიგში განვიხილოთ რიცხობრივი მონაცემები. ამისათვის დავაჭგუფოთ ისინი კატეგორიების მიხედვით (იხ. ცხრ. № 15).

№ 15 ცხრილი გვიჩვენებს, რომ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ პირველი და საცხებით უპრეცედენტო ადგილი სიტყვა გ უ ლ -ის ფუძით შედგენილ სახელწოდებას უჭირავს 176 ლექსიკური ერთეულის რაოდენობით, რაც ყველა შემთხვევის — 1031 სიტყვის — 17,1%-ს შეადგენს.

მეორე-მესამე ადგილზეა, სიტყვათა თანაბარი რაოდენობით, სიტყვა თ ა ვ -ის და სიტყვა თ ვ ა ლ -ის ფუძიდან აგებული სახელწოდებები. ყოველი მათგანი 141 სიტყვას შეიცავს, რაც 13,6%-ს შეადგენს.

ზხეულის ნაწილების სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებები კატეგორიების მიხედვით

აღმნიშვნელის სხეულის ნაწილის სახელი	კატეგორიები								
	სოციალურ-შე- ფასებითი	ზნობრივი	ხასიათისეული	ვინების	ნებულბის	ეპოცის	ფიზიკური ნიშვნის	პათოლოგიური შედეგების	ერთად
1 გული	1	7	81	5	16	64	2		176
2 თავი	15	11	51	23	22	18	1		141
3 თვალი	14	4	6	15		44	58		141
4 პირი	11	20	21	3		31	26		112
5 ენა	2	2	55			3	9		71
6 სახე		1				45	20		66
7 ხელი	5	9	21	6	2	5			48
8 ტანი			1				36		37
9 წელი			6			6	11		23
10 თმა							21		21
11 ქელი			5		11				16
12 წვერი	1						14		15
13 ყუდი	3	2	1	7	1	1			15
14 შებლი		1		3		8	2		14
15 სისხლი		6	5			2			13
16 კული	4	5	1			3			13
17 წარბი					1	8	2		11
18 ცხვირი	1	1	4			3	1		10
19 ტვინი				7		1		1	9
20 ფერი						8	1		9
21 ლოყა							7		7
22 კბილი			1			1	4		6
23 ტუჩები		1	2			1	1		5
24 ძარღვი			1			1	3		5
25 ფრთა						5			5
26 ხმა			2			2			4
27 ფეხი	2	1	1				1		5
28 ნაღველი			1			3			4
29 კუჭი	1		1		2				4
30 ძვალი							4		4
31 ხორცი		2	1				3		3
32 მკლავი							3		3
33 მუცელი			3						3
34 ულვაში							3		3
35 კანი			1	1					2
36 ხერხემალი					1		1		2
37 ყბა			1				1		2
38 ცილა							2		2
39 კინწი							1		1
ს უ ლ %	60 5,8	73 7,1	273 26,5	70 6,8	56 5,4	263 25,5	235 22,8	1 0,1	1031

შენიშვნა: №15 ცხრილში აღნიშნული ციფრების შესატყვისი სიტყვები იხ. „სიტყვათა კლასიფიკაციის“ სათანადო კატეგორიაში.

მეოთხე ადგილზე სიტყვა პ ი რ-ის ფუძიდან ნაწარმოები 112 პიროვნული სახელწოდებაა — 10,9%.

შემდეგ მოდის სიტყვა ე ნ ა-დან ნაწარმოები 71 სახელწოდება — 6,9%; სიტყვა ს ა ხ ე-დან ნაწარმოები 66 სახელწოდება — 6,4%; სიტყვა ხ ე ლ-ის ფუძიდან ნაწარმოები 48 სახელწოდება — 4,7% და ასე შემდეგ.

კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ — ყველა კატეგორია, ადამიანის განცდის ყველა სფერო, შეიცავს სხეულის ნაწილების სახელის მიხედვით აგებულ პიროვნულ ნიშან-თვისებათა სახელწოდებებს, რასაკვირველია, სხვადასხვა რაოდენობით. ყველაზე წინ დგას ხ ა ს ი ა თ ი ს ე უ ლ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა, ის შეიცავს სხეულის ორგანოს სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოებ 273 ლექსიკურ ერთეულს — 26,5%-ს.

მეორე ადგილზეა გ რ ძ ნ ო ბ ა-ე მ ო ც ი ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა — 263 სახელწოდება — 25,5%. მესამე ადგილზე ფ ი ზ ი კ უ რ ი ს ტ ა ტ უ ს ი ს ა და ნიშნების აღმნიშვნელი კატეგორია 235 სიტყვით — 22,8%-ით.

დანარჩენი 4 კატეგორია შედარებით ერთ დონეზე დგას — ს ო ც ი ა ლ უ რ - შ ე ფ ა ს ე ბ ი თ ი — 60 სიტყვა, 5,8%; ზ ნ ე ო ბ რ ი ე ი — 73 სიტყვა, 7,1%; ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს 56 სიტყვა, 5,4%.

როგორც №15 ცხრილიდან ჩანს, პირველი შვიდი ორგანოს სახელის ფუძიდან აგებული პიროვნული სახელწოდებები დიდი რიცხვითაა წარმოდგენილი. ეს უთუოდ მათი დიდი პიროვნული მნიშვნელობის მაჩვენებელია. თვალნათლივ რომ დავინახოთ მათი ხვედრითი წონა კატეგორიათა საერთო ჯამში, შევჯამოთ ამ პირველი შვიდი ორგანოს (გული, თავი, თვალი, პირი, ენა, სახე, ხელი) სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებები და შევადაროთ ის ყველა 39 ორგანოს სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოებ საერთო ჯამს.

ც ხ რ ი ლ ი 16

კატეგორიები	სხეულის 39 ორგანოს სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებათა საერთო ჯამი	სიტყვების — გული, თავი, თვალი, პირი, ენა, სახე, ხელი-ის ფუძიდან ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებების ჯამი	%
სოციალურ-შეფასებითი	60	48	80,0
ზნეობრივი	73	54	74,0
ხასიათისეული	273	235	86,1
გონების	70	52	74,3
ნებელობის	56	40	71,4
ემოციის	263	210	79,8
ფიზიკური სტატუსის	235	116	49,4
პათოლოგიური მდგომარეობის	1	—	
საერთო ჯამი	1031	755	73,2



ამრიგად, სხეულის ამ 7 ორგანოს (გული, თავი, თვალი, პირი, ენა, სახე, ხელი) სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით აგებულმა პიროვნულმა სახელწოდებებმა 755 ლექსიკური ერთეული შეადგინა, სიტყვათა მთელი მარაგის — 1031 სიტყვის — 73,2%. მაშასადამე, სხეულის დანარჩენ 32 ორგანოზე ზოდის 276 სიტყვა—26,8%. სავსებით ნათელია სხეულის ამ შვიდი ორგანოს უპირატესობა სხვათა წინაშე, ძირითად ფონდს ისინი ქმნიან. ეს ფაქტი მიუთითებს სხეულის ამ ორგანოების სახელის მიხედვით აგებული პიროვნული სახელწოდებების დიდ გამოსახულებით მნიშვნელობაზე, მათს არსებით დაკვირვებაზე პიროვნების განცდის შინაგან სამყაროსთან.

კერძოდ, თავისა და პირისახის ორგანოების — თავი, თვალი, პირი, ენა, სახე—მიხედვით აგებულ პიროვნულ თავისებურებათა და მდგომარეობათა სახელწოდებები 531 სიტყვას შეადგენს (51, 5%-ს), ე. ი. ყველა შემთხვევის — 1031 სიტყვის ნახევარზე მეტს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი დიდი სასიცოცხლო ღირებულება მათი პიროვნულ-სიმბოლურ მნიშვნელობასაც განსაზღვრავს. ისინი უშუალოდ არიან განცდასთან დაკავშირებული და ამიტომ შეუძლიათ მისი გათვალსაზრისება.

ფსიქოლოგ ვილიამ შტერნის აზრით, თავისა და პირისახის ეს უპირატესობა — აზროვნება, მეტყველება, დიფერენცირებული სულიერი მდგომარეობის გამოსახვა — ადამიანმა მოიპოვა სხეულის პირდაპირ, გამართულ მდგომარეობასა და სიარულთან ერთად, რითაც ყველაფერმა, სპეციფიკურ-ადამიანურმა, — თავის, პირისახის, ენის მეშვეობით, ზევითი მდებარეობა დაისაკუთრა და ყველაფერი ის, რაც ადამიანს სხვა, დაბალ ცხოველებთან საერთო აქვს — ვეგეტატიური და ვიტალური — ქვევით განლაგდა<sup>1</sup>.

თუ რა მნიშვნელობით იხმარება ადამიანის სხეულის ნაწილების სახელის მიხედვით ნაწარმოები ქარაქტეროლოგიური სიტყვა-სახელწოდება, რომელი სიტყვა რომელ განცდას ასახიერებს, ეს საკითხი განვიხილოთ სხეულის ამ შვიდი ორგანოს სახელის მიხედვით ნაწარმოებ პიროვნულ სახელწოდებათა მაგალითზე.

### ს ი ტ ყ ვ ა გ უ ლ - ი ( 176 პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა )

გ უ ლ-ფუძით განსაზღვრული პიროვნულ სახელწოდებათა ყველაზე დიდი რაოდენობა ხასიათის თავისებურებების აღმნიშვნელი სიტყვებია — 81 ლექსიკური ერთეული (ცხრ. №15). მეორე ადგილზე გრძნობა-ემოციის გამომხატველი გ უ ლ-ფუძით ნაწარმოები სიტყვებია — 64 ერთეული. ეს ორი კატეგორია ხასიათისეული და ემოციის — 145 სიტყვას შეადგენს, გ უ ლ-ფუძით შედგენილ სახელწოდებების მთელი რაოდენობის (176 სიტყვის)—82,3%-ს. დანარჩენი 31 სიტყვა (17,7%) განაწილებულია 5 კატეგორ-

<sup>1</sup> W. Stern, „Personalistik als Wissenschaft“, 1930, Leipzig, გვ. 126.

რიას შორის. აქედან აშკარაა, რომ გულ-ფუძით აგებული პიროვნული სახელწოდების შინაარსის სპეციფიკის საკითხს ეს ორი კატეგორია წყვეტს—ხასიათისეული და ემოციის.

რომ მივაგნოთ გულ-ფუძით შედგენილი სიტყვების გამოსახულებით ტენდენციას, განვიხილოთ ჭერ გრძნობა-ემოციის შინაარსის სიტყვა-სახელწოდებები. საილუსტრაციოდ ავიღოთ ემოციის კატეგორიის რამდენიმე სიტყვა და განვმარტოთ:

გულგამხნევებული — გამხნევებული, იმედმოცემული.

გულდადინჯებული — დამშვიდებული, დაიმედებული.

გულდაიმედებული — დაიმედებული, იმედიანი.

გულდამშვიდებული — დაიმედებული, დამშვიდებული.

გულდაჭერებული — დაიმედებული, დარწმუნებული, დაკმაყოფილებული.

გულიმედიანი — იმედიანი, დარწმუნებული, დაიმედებული.

გულმხიარული — მხიარული, მოლხენილი.

გულადუღებული — ძლიერ გამწარებული, შეწუხებული, გულდამწვარი.

გულამღვრეული — ძალიან ცუდ გუნებაზე მყოფი.

გულანთებული — აგზნებული, გაშმაგებული, ანთებული.

გულატირებული — მწუხარე, სევდით მოცული, შეწუხებული.

გულარენილი — აღრენილი, საჩხუბრად განწყობილი.

გულგადაბრუნებული — შეშინებული, გულგახეთქილი.

გულგატეხილი — იმედდაკარგული, რწმენა დაკარგული.

გულდარდიანი — დარდიანი, ჭავრიანი.

გულნაღვლიანი — ნაღვლიანი, სევდიანი.

გულმოსული — გამწყრალი, გაჭავრებული, გაბრაზებული.

გულჭავრიანი — დარდიანი, მწუხარე, გულნატკენი.

სავსებით ნათელია, თუ რა გრძნობები და ემოციებია ამ სიტყვებით გამოსახული: იმედი, სიმშვიდე, დარწმუნებულობა, კმაყოფილება, მხიარული გუნებაგანწყობა, მწუხარება, ცუდი გუნებაგანწყობა, აგზნებული მდგომარეობა, სევდა, მღელვარება, შიში, ბრაზი, უიმედობა, დარდი, ნაღვლიანობა.

ყველა ესენი გამოხატავენ სასიამოვნო ან უსიამოვნო მდგომარეობას. სახელდებად და ძირითად გრძნობა-ემოციებს დიდი ვარიაციით.

სხეულის ვერცერთი სხვა ორგანოს სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდება ვერ გამოხატავს ძირითად ემოციურ მდგომარეობას ასე უშუალოდ, პირდაპირ, სისტემურად და ასეთი ნაირსახეობით. ამ აზრის დასადასტურებლად შევადაროთ მას სხეულის სხვა ორგანოების აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოები გრძნობა-ემოციის გამოსახველი პიროვნული სახელწოდება.

სიტყვა ს ა ხ ე-დან აგებული გრძობა-ემოციის სახელწოდებები 45 სიტყვითაა წარმოდგენილი (იხ. ცხრილი № 15). ყველა ეს 45 სიტყვა-სახელწოდება გრძობა-ემოციას ასახავს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი თ. მათგან სასიამოვნო გრძობა-ემოციის აღმნიშვნელი 12 სიტყვაა: სახეგაბადრული, სახეგაბრწყინებელი, სახეგანათებული, სახე-გაშუქებული, სახეგაციკროვებული, სახემიზნედილი, სახემოლიმარი, სახემშვიდი, სახემცინარი, სახემხიარული, სახენათელი. ამათგან მხოლოდ ერთი სიტყვა—სახემშვიდი—დიფერენცირებულ განცდას—სიმშვიდეს გამოხატავს. დანარჩენი 11 სიტყვა ყველა სასიამოვნო ემოციურ მდგომარეობას, კარგ გუნებგანწყობას გულისხმობს, ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე, ე. ი. თვით სიტყვაში არ ჩანს, თუ რა უდევს საფუძვლად ამ კარგ გუნებგანწყობას — იმედი, ნუგეში, დარწმუნებულობა თუ სხვა რამ. 33 სიტყვა კი უსიამოვნო მდგომარეობის გამომხატველია: სახეალესილი, სახეამღვრეული, სახე-ალრეჯილი, სახეკუშტი, სახემკაცრი, სახეგაფითრებული, სახეგაცრეცი-ლი, სახემოღუშული, სახემწყარალი, სახენადვლიანი, სახენაწამები, სახეგაშეშებული და სხვა. ამათში დიფერენცირებული, სახელდებული გრძობა-ემოციები აგრეთვე არ აღინიშნება. მხოლოდ ერთი სიტყვა-სა-ხენადვლიანი — აღნიშნავს დიფერენცირებულ გრძობას — ნადვლია-ნობას. დანარჩენები ზოგადად გამოხატავენ უსიამოვნო მდგომარეობას.

ავიღოთ მეორე მაგალითი — თ ვ ა ლ-ფუძიდან ნაწარმოები ემოციის აღმნიშვნელი პიროვნული სახელწოდებები. ასეთი სულ 44 სიტყვაა აღრიცხული. მათგან 42 გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ა.

ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო გ რ ძ ო ბ ა-ე მ ო ც ი ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი თ ვ ა ლ-ფუძიდან აგებული სიტყვები: თვალგაბრწყინებელი, თვალ-აციმციმებული, თვალეზმინედილი, თვალეზმილულული, თვალეზმინაბუ-ლი, თვალეზმომცინარი — ყველა ესენი კარგი გუნებგანწყობის გამომხატ-ველი სიტყვებია, ყოველგვარი ძირითადი ემოციის გამოყოფის გარეშე.

თ ვ ა ლ-ფუძით გამოხატული უ ს ი ა მ ო ვ ნ ო გ რ ძ ო ბ ა -ე მ ო - ც ი ე ბ ი: თვალაბნეული, თვალამღვრეული, თვალაბნელებული, თვა-ლებგადმოკარკლული, თვალმწუხარე, თვალეზჩამობნელებული, თვალ-ნადვლიანი და სხვა. აქაც სახელდებული გრძობები ძალიან ცოტაა, ასეთად მხოლოდ მღელვარება, მწუხარება და ნადვლიანობა თუ ჩაითვლება, და-ნარჩენები ყველა ზოგადი მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებია.

ავიღოთ სიტყვა პ ი რ-ი. ამ სიტყვიდან აგებული ემოციური კატეგორიის 31 სიტყვა-სახელწოდებიდან 29 გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ა. ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ე მ ო ც ი ი ს გამომხატველნი: პირ-ბაკმიანი, პირგანათებული, პირგალიმებული, პირმომცინარი, პირმოლიმარი, პირმხიარული, პირსახემზიანი, პირშუქიანი და სხვა.

უ ს ი ა მ ო ვ ნ ო ე მ ო ც ი ი ს გამომხატველნი: პირანთებული, პირ-

გამშრალი, პირდაღვრემილი, პირგანაცრებული, პირმკაცრი, პირმკვანხე, პირმოღუშული და სხვა.

სიტყვა პირ-ის ფუძიდან აგებული, ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები ძირითად, დიფერენცირებულ ემოციურ მდგომარეობის გამოხატვას ვერ ახერხებენ. ისინი ასახავენ უსიამოვნო ან სასიამოვნო საერთო ემოციურ განწყობილებას.

დაბოლოს განვიხილოთ სიტყვა თ ა ვ-ის ფუძიდან ნაწარმოები გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთია სულ 18 სიტყვა-სახელწოდება. მათგან 8 გ ა მ თ მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მნიშვნელობისაა — თავებღჩამომტირალი, თავპირანთებული, თავჩაქინდრული და სხვა. არც ერთი მათგანი არ გამოხატავს რომელიმე დიფერენცირებულ, ძირითად გრძნობას, არამედ ზოგად სულიერ მდგომარეობას. დანარჩენი 10 სიტყვა პირდაპირ ეხება და აღნიშნავს ემოციურ მდგომარეობას, მაგრამ ძალიან შეზღუდულად: აღნიშნავს მარტო უსიამოვნო გრძნობებს და გამოხატავს სულ რაღაც 2—3 სახეს. ასეთია მაგ., სიტყვები — თავგაბეზრებული, თავზარდაცემული, თავზარდასხმული; თავრეტიანი და სხვა.

აღამიანის სხეულის ნაწილების სახელის — ს ა ხ ე, თ ვ ა ლ ი, პ ი რ ი, თ ა ვ ი-ს მიხედვით აგებული ემოციის გამოხატველი პიროვნული სახელწოდებები, ძირითადად, ორ ზოგად სულიერ განწყობილებაზე მიუთითებენ — კარგ სულიერ განწყობილებაზე და ცუდ სულიერ განწყობილებაზე. მართალია, ამ გლობალური სულიერი მდგომარეობის ასახვაში ისინი დიდ გამოსახულებით უნარს იჩენენ და ზოგად სულიერ განწყობილების ნიუანსების გადმოცემაში მაღალ დონეს აღწევენ, მაგრამ ამ ზოგადი განწყობილების შიგნით გრძნობა-ემოციის ძირითადი სახეების დახარისხებისა და გამოყოფის დიდ უნარს ვერ ამჟღავნებენ. გ უ ლ-ფუძიდან აგებული სიტყვები კი, პირიქით, თავისუფლად ახერხებენ ძირითად გრძნობა-ემოციის გამოხატვას, სახელდებულად აღნიშნავენ გრძნობის სახეს (სიყვარულს, იმედს, რწმენას, სასოწარკვეთილებას, მწუხარებას, სიძულვილს, ლმობიერებას, ბრანს და სხვა.)

სრული უფლება გვაქვს ვაღიაროთ, რ ო მ გ რ ძ ნ ო ბ ა-ე მ ო ც ი ო ს გ ა მ თ მ ხ ა ტ ვ ე ლ პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს ი ტ ყ ვ ა-ს ა ხ ე ლ წ ო დ ე-ბ ა თ ა შ ო რ ი ს მ ა რ ტ ო ს ი ტ ყ ვ ა გ უ ლ-ი დ ა ნ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი პ ი რ დ ა პ ი რ ე ხ ე-ბ ი ა ნ ე მ ო ც ი უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ს ა ხ ე-ე ბ ს, ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ მ ა თ უ შ უ ა ლ ო დ, ს ა ხ ე ლ დ ე ბ უ ლ ა დ, დიდი დიფერენციაციითა და ნაირსახეობით. დანარჩენი სიტყვები — ს ა ხ ე, თ ვ ა ლ -ი, პ ი რ-ი, თ ა ვ-ი ს ფუძიდან აგებული სახელწოდებები ემოციურ მდგომარეობას ასახავენ გ ა მ თ მ ხ ა ტ ვ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ, ამიტომ მათ შეზღუდული აქვთ გრძნობა-ემოციის სხვადასხვა სახეების გამოვლენის შესაძლებლობა. რაოდენობრივი თვალ-

საზრისითაც პირველი ადგილი სიტყვა გ უ ლ-ის ფუძიდან აგებულ სახელწოდებებს უკავიათ.

ერთი სიტყვით, გ უ ლ-ფუძით ნაწარმოები სიტყვები ადამიანის გრძნობა-ემოციის სფეროს ასახავენ. ს ი ტ ყ ვ ა გ უ ლ-ის ს პ ე ც ი ფ ი კ ა ს გ რ ძ ნ ო ბ ა-ე მ ო ც ი ი ს წ ე დ ო მ ა და მ ი ს ი გ ა ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ე ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გ უ ლ-ფუძით ნაწარმოები სიტყვების დიდი რაოდენობა ხასიათისეულ კატეგორიას განეკუთვნება, — სახელდობრ 81 ლექსიკური ერთეული. როგორ ავხსნათ სიტყვა გ უ ლ-ის აქტივობა ხასიათისეულ სფეროში?

თუ გ უ ლ-ფუძით აგებულ სიტყვების სპეციფიკას გრძნობის ასახვა შეადგენს, როგორღა ახერხებს ის ხასიათისეულ თავისებურებათა წვდომას და გაობიექტივებას დიდი რაოდენობით? რაიმე წინააღმდეგობასთან ხომ არა გვაქვს აქ საქმე?

ეს საკითხი რომ გადავკრათ, განვიხილოთ სიტყვა გ უ ლ-იდან წარმომდგარი ხასიათისეული სახელწოდებები.

და დ ე ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ღ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა :  
გაგულუხვებული — პურადი, გულუხვი.

გაერთგულებული — სულითა და გულით მინდობილი, ერთგული.

გულახდილი — ვინც თავის გრძნობებს, აზრებს და სხვ. არ მალავს.

გულგამთბარი — გრძნობიანი ადამიანი.

გულგაშლილი — გულმხარული, გულღია, გულგახსნილი, გულუხვი.

გულდანდობილი — მინდობილი, დანდობილი.

გულისხმიერი — სხვისი გულისტკივილის გამგები, გულშემატკივარი.

გულკეთილი — ვისაც კეთილი გული აქვს, სხვისთვის კეთილის მდომი.

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ღ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა :  
გაგულდიდებული — გამედიდურებული.

გაგულქვავებული — უთანაგრძნობო, გულქვა.

გულგამოფიტული — უგულო, უგრძნობი.

გულგრილი — სხვისი გაჭირვების ახლო გულში არ მიმტანი, ცივი.

გულქვა — ქვასავათ უგრძნობი გულის პატრონი.

გულღვარძლიანი — ბოროტი, შურიანი.

გულხარბი — ხარბი.

ასეთია ყველა დანარჩენი გ უ ლ-ფუძით შედგენილი ხასიათისეული სიტყვები: მ ა თ ი შ ი ნ ა ა რ ს ი გ ა რ კ ვ ე უ ლ გ რ ძ ნ ო ბ ა-ე მ ო ც ი ი ს ქ ო ნ ე ბ ა-ა რ ქ ო ნ ე ბ ა ზ ე ა ა გ ე ბ უ ლ ი.

როგორც ხასიათისეული კატეგორიის სიტყვათა გარჩევამ დაგვანახა (ცხრ. №4), ხ ა ს ი ა თ ი ს ა ღ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი ა და მ ი ა ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი ნ ა მ დ ე ი-

ლის, შინაგანი განცდის ყველა ძირითად სფეროდან არის წარმოდგენილი, სახელდობრ: გრძნობის, გონების, ნებელობისა და ტემპერამენტის. გულ-ფუძიდან აგებულნი 81 ხასიათის ეული პირფუნული სიტყვა-სახელწოდება სწორედ გრძნობასთან დაკავშირებული სიტყვებია. ისინი გრძნობითი შინაარსით განსაზღვრული ხასიათის ეული თავისებურებათა სახელწოდებებია.

სავსებით ბუნებრივია, რომ სიტყვა გულ-მა, როგორც გრძნობის ამსახველმა, ხასიათის ეულ სახელწოდებათა შექმნაში აქტივობა გამოიჩინა და თავისი სპეციფიკა — გრძნობა — ხასიათის აღმნიშვნელ სიტყვათა შინაარსში შეიტანა.

რაც შეეხება ნებელობის კატეგორიის გულ-ფუძის სიტყვებს, ასეთია 16 სიტყვა: გულადი, გულგაუტეხელი, გულთა-სრული, გულკაჟი, გულმაგარი, გულლომი და სხვ., ყველა ეს სიტყვები სიმხნევის, გაუდრეკელობის, იმედიანობის, უშიშობის ვარიანტებია. ხოლო სიმხნევე და უშიშობა ემოციის ტონს არ არიან მოკლებული. უთუოდ, ამან, ემოციამ, განაპირობა გულ-ფუძით აგებულ სიტყვათა ნებისყოფასთან დაკავშირება.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას, როცა გრძნობა-ემოციის ამსახველი სპეციფიკის გულ-ფუძის სიტყვა გონების ფუნქციის — შემეცნების — დემონსტრაციას ახერხებს და გონებრივი კატეგორიის პიროვნულ სახელწოდების შინაარსს ქმნის? ასეთია მაგ., სიტყვები — გულთამხილავი, გულთმისანი, გულსყურიანი, გულმავიწყი, უგულისყურო. ეს სიტყვები შემეცნებით ფუნქციას გამოხატავენ და გონებაზე მიუთითებენ. განვმარტოთ ისინი:

გულთამხილავი — ძვ.. გულის ნადების, დაფარულის გამომცნობი.

გულთმისანი — ვინც ყველაფერს მიხვდება, გაიგებს, გამოიცნობს.

გულსყურიანი — ყურადღებიანი.

გულმავიწყი — ვინც ადვილად და მალე ივიწყებს წვრილმან რამეებს.

უგულისყურო — უყურადღებო, ინტერესს მოკლებული.

აი, გონების კატეგორიის ეს ხუთი სიტყვა. მათგან პირველი ორი — გულთამხილავი და გულთმისანი — შემეცნებას არა აზროვნების გზით, არა ინტელექტუალური პროცესის მეშვეობით აღწევენ, არამედ პირდაპირი ხილვის, ერთბაშადი წვდომის, ინტუიციის გზით. ეს კი აზროვნების გზა არ არის, თუმცა შემეცნების მიზანი იმდენად ითვლება. არც დანარჩენი სამი სიტყვა ახორციელებს აზროვნების პროცესს, მათი კავშირი აზროვნებასთან პირდაპირი არ არის. მათ, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვთ აზროვნების პროცესისათვის, როგორც ყურადღებისა და მეხსიერების მომენტებს, მაგრამ თვით აზროვნების პროცესს არ აღნიშნავენ. ამრიგად, ეს ხუთი სიტყვა აზროვნების პროცესის გამომხატველი სიტყვები არაა. სიტყვა

გ უ ლ-ი არ არის აზროვნების ამსახველი არც ერთ შემთხვევაში. „გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამოზომელი“ იმის მანიშნებელია, რომ გ უ ლ-ს „ხედვა“ აღკვეთილი აქვს, რომ ის „გაზომის“ უნარს მოკლებულია.

ვინც მთლიანი პიროვნების იდეას იზიარებს, იმისათვის პრინციპულად მიუღებელი არ უნდა იყოს, რომ გარკვეული ფსიქიკური მოვლენების აღმნიშვნელმა სიტყვამ ფსიქიკის სხვა სფეროში იმოქმედოს, ემსახუროს სხვა კატეგორიის ფსიქიკური მოვლენების გამოხატვას, მაგრამ ამით საკუთარი ძირითადი დანიშნულება და მნიშვნელობა არ დაკარგოს.

არსებობს ასეთი გამოთქმა „ფიქრმგლოვიარე“, რაც შავი ფიქრით მოცულს ნიშნავს, — მგლოვიარეს. აქ ფიქრი, აზრი პირდაპირ არის დაკავშირებული გრძნობასთან, გლოვასთან. მაგრამ ეს „ფიქრის“ ძირითად მნიშვნელობას, მის შემეცნებით ფუნქციას არც ერთ მხრივ არ ცვლის.

გრძნობა-ემოციის აღმნიშვნელ თავ-სიტყვის გარჩევამ დაგვანახა, რომ თავ-სიტყვა ახერხებს გრძნობის ასახვას, თუმცა თ ა ვ-ი პრინციპში გრძნობის ამსახველი სიტყვა არ არის. ამაში ქვევით დავრწმუნდებით.

შეიძლება გრძნობის ამსახველმა სიტყვა- გ უ ლ-მა აზროვნება ასახოს, და აზროვნების ამსახველმა სიტყვა- თ ა ვ-მა გრძნობა აღნიშნოს, მაგრამ ეს არ არღვევს მათ ძირითად მნიშვნელობას, ეს მხოლოდ გამონაკლისად ჩაითვლება და გ უ ლ-ი მაინც გრძნობის გამომხატველ სიტყვად დარჩება და თ ა ვ-ი აზროვნების გამომხატველად.<sup>1</sup>

ახლა შეგვიძლია ვუპასუხოთ ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დასმულ კითხვას გულის ფართო მნიშვნელობის შესახებ: „რას უნდა ნიშნავდეს იგი? უნდა გახდეს თუ არა იგი გასაგები თვით ფსიქიკურ თავისებურებათა საფუძველზე? უნდა ვიგულისხმოთ თუ არა მასში ენობრივი აზროვნების მიერ წვდომილი და წარმოდგენილი არსებითი თვისებები და მიმართებები? სახელდობრ რა?“<sup>2</sup>.

რასაკვირველია, სიტყვა გ უ ლ-ის ეს ფართო მნიშვნელობა გასაგები ხდება მხოლოდ „ფსიქიკურ თავისებურებათა საფუძველზე“, იმ მიმართებათა საფუძველზე, რომელიც მთლიან-პიროვნების სტრუქტურას განსაზღვრავს. მაგრამ სიტყვა „გ უ ლ-ის მნიშვნელობასთან რომ

<sup>1</sup> აქ გვახსენდება გონებამახვილური გამოთქმა პოეტისა — „О память сердца, ты сильней разсудка памяти печальной!“. ამით გამოთქმულია აზრი, რომ გულის თავისი მეხსიერება აქვს, რომელიც გონების მეხსიერებაზე უფრო ძლიერია, მაგრამ ის მხოლოდ გრძნობის მეხსიერებაა. ამას ადასტურებს თვით ლექსის შინაარსი: მასში პოეტის რემინისცენციები გამოწვეულია გრძნობით, რომელიც მას ოდესღაც განუცდია, მთელი სიცოცხლე შემდეგ გულით უტარებია და ახლა თითქოს იგი კვლავ ამოძრავებულა — გულს ყველაფერი ახსოვს, მასში გრძნობა ცოცხალია, ის მას კვლავ განიცდის, და ეს კვლავ განცდა არის სწორედ მისი მეხსიერება. (მოყვანილი ციტატის ავტორია К. Н. Батюшков, „Мой Гений“, ლექსთა კრებული, 1815.

<sup>2</sup> ფრანგიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 68.

კავშირშია“, ა. ფრანგიშვილის აზრით, „ქართულ ენაში მთელი შინაგანი განცდის სინამდვილე“<sup>1</sup> შეიძლება სარწმუნო გახდეს იმ პირობით, თუ თვით „შინაგანი განცდის სინამდვილე“ გაგებულ იქნება მხოლოდ, როგორც გრძობა-ემოციის სინამდვილე.

სიტყვა გულ-ის უშუალო მონაწილეობა ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ 64 პიროვნულ სახელწოდებაში და გრძობით განსაზღვრულ 81 ხასიათისებულ სიტყვაში დამარწმუნებლად მიუთითებს იმაზე, რომ გრძობა და გულ-ი განუყოფელი ცნებებია, რომ გულ-ი გრძობის სიმბოლოა, გრძობის ორგანოა, სიტყვა გულ-ი ემოციის სფეროსთან გვაკავშირებს.

როგორც ცნობილია, გრძობა-ემოცია ადამიანის განცდების ფართო სფეროს მოიცავს. ზოგი ფსიქოლოგის აზრით, ყოველი მოქმედება, ყოველი აქტივობა გრძობის თანხლებასაც მოითხოვს. ზოგადი ფსიქოლოგია, ობიექტურ შინაარსებთან დაკავშირებულ ე. წ. გრძობადი გრძობების გვერდით, მაღალ გრძობებსაც გამოყოფს — ინტელექტუალურს და ეთიკურ-მორალურს.

ემოცია-გრძობებთან დაკავშირებულ ფსიქიკურის ყოველი სფერო ემოციის სიმბოლო გულ-თანაც შეიძლება იყოს კავშირში.

განსაკუთრებით თვალნათლივია ეს ზნეობრივ-ეთიკურ სფეროში. ადამიანობის პრობლემა სიტყვა გულ-თან კავშირში წყდება. „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

სიტყვა გულ-ის დიდი განვრცობა საზოგადოდ, უნდა მიეწეროს თვით გრძობა-ემოციის ტოტალურ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების ყველა სფეროში.

ემოციური მდგომარეობის პიროვნულ თავისებურებების სახელდების პროცესში, სიტყვა გულის მნიშვნელობამ თავი იჩინა, უთუოდ, მაშინვე, როგორც კი გული ემოციური პროცესის მონაწილე გახდა და, როცა ეს ფაქტი თვითდაკვირვების გზით, ჩვენს ცნობიერებაში შეიჭრა.

ემოციასთან გულის, როგორც სხეულის ნაწილის, მოქმედების ერთიანობა არის წყარო, საიდანაც ენამ სიტყვა გულს ემოციის სიმბოლო მნიშვნელობა მიაანიჭა.

არსად, განცდის ფსიქო-ფიზიკურ ერთიანობაში ისე თვალნათლივი და ხელშესახები არ არის ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის საკუთარი სპეციფიკური მნიშვნელობა, როგორც ემოციის განცდის სფეროში.

<sup>1</sup> იქვე. გვ. 58.



ცნობიერებაში ასახულ ემოციის ფსიქიკურ ფენომენტან, გულის, როგორც ფიზიოლოგიური ორგანოს, მოქმედების განუყოფელი კავშირის თვალსაჩინოება იყო, უთუოდ, ჯემს-ლანგეს ფიზიოლოგიური თეორიის შეცდომის ძირითადი წყარო.

ესაა აგრეთვე წყარო იმისა, რომ ემოციის ფსიქიკური ფენომენი თავის სახელწოდებას სიტყვა გულს უკავშირებს.

დაუებრუნდეთ კვლავ ა. ფრანგიშვილის ნაშრომს. მის ზემომოყვანილ ნაშრომში სიტყვა გულის მნიშვნელობა განხილულია, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ძველი ქართული ენისა და მწერლობის ძეგლების გარჩევით მიღებულ სიტყვა გულ-ის მასალაზე. სიტყვა გულ-ის ფუძით ნაწარმოებ გამოთქმების ანალიზის ნიადაგზე ა. ფრანგიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ქართულ ენაში ემოციური განცდები წარმოდგენილია, როგორც „გულიდან გამომდინარე“ განცდები. ემოციური განცდები წარმოდგენილია, როგორც მთლიან-პიროვნული მდგომარეობის ამსახველი განცდები, როგორც მისი სიმპტომი (გულისკლება, გულსავსე და სხვ.) და ამდენად სუბიექტური აზრის მატარებელიც“<sup>1</sup>. ა. ფრანგიშვილის ეს დასკვნა სავსებით ეთანხმება სიტყვა გულ-ის ფუძით ნაწარმოებ პიროვნულ სახელწოდებათა აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზის ნიადაგზე ჩვენ მიერ მიღებულ შედეგს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა გულ-ი ემოციას ასახავს; რომ არც ერთი სხვა ორგანოს სახელის აღმნიშვნელ სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდება ასეთი სისრულითა და სიღრმით ვერ წვდება ემოციის არსს, რომ ემოციის გამოსახვა სიტყვა გულ-ის სპეციფიკას შეადგენს.

მაგრამ ა. ფრანგიშვილი კვლევას განაგრძობს, ის თანდათან რწმუნდება, რომ სიტყვა გულ-ის მნიშვნელობის არე ემოციით არ შემოიზღუდება, რომ გულ-სიტყვა ასახავს, ა. ფრანგიშვილის თქმით, „მთელი შინაგანი განცდის სინამდვილეს“, ე. ი. გულ-სიტყვა გამოსახავს ადამიანის პიროვნების აქტივობას, თავის-თავადობის აზრს, ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების აქტებს, გამოხატავს ნიქს, უნარს, მიღრეკილებას, ტემპერამენტს, ხასიათს, ერთი სიტყვით, ის გამოხატავს მთლიან პიროვნებას, მის მოღუსს.

ა. ფრანგიშვილის აზრით, „ნათელია, რომ „შინაგანი სინამდვილე“, განცდის სინამდვილე, უთუოდ, თავისებურად არის გამოსახული ქართულში. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ სინამდ-

<sup>1</sup> ა. ფრანგიშვილი, „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, 1959, გვ. 56.

ვილის განსხვავებადი მხარეებისა და ნაწილების გამოსახვა ერთი ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე ხერხდება“<sup>1</sup>. (ხაზგასმა ჩვენია ნ. ბ.). ა. ფრანგიშვილი განანაგრძობს: „ამ გამოთქმების საფუძველზე უფრო ნათელი ხდება, რომ „გული“ მთლიანი პიროვნული მდგომარეობაა, მთლიანი პიროვნული დინამიკური მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტის მომავალი ქცევა მთლიანი ტენდენციის სახითაა მოცემული“<sup>2</sup>.

დასვენა ფრიად საგულისხმოა!

რომ სიტყვა გულს, ქართულ ენაში, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, ეს უდავოა, (მაგრამ განა მართო გულს? — სიტყვა თავსაც, პირს, ენას, სახეს, ხელს და სხვ.).

სიტყვა გულის გამოყენების არე, ქართულ ენაში, მაინც მეტად განვრცობილია და აი, აქვედგევართ კვლავ იმავე საკითხის წინაშე, რომელიც ა. ფრანგიშვილმა დასვა: რას უნდა ნიშნავდეს ეს ენობრივი ფაქტი? და სწორედ ამაშია ა. ფრანგიშვილის გამოკვლევის მნიშვნელობა, რომ მან „ენობრივი ფაქტი“ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, კვლევის საგნად აქცია, პიროვნების შინაგანი განცდის სიტყვიერი ფორმა ფსიქოლოგიური კვლევის პრობლემატიკაში ჩართო და ამით დაისვა პრობლემა პიროვნული შინაარსის მქონე ენობრივი ფენომენის არსის ძიებისა ქართული მეცნიერული ფსიქოლოგიის წიაღში.

ეს სავესებით ნოვატორული საქმე იყო ქართული ფსიქოლოგიის ისტორიაში.

სიტყვა გულის ფსიქოლოგიური მნიშვნელობის საკითხის დასმით ფსიქოლოგიურ კვლევაში ჩაერთო ხალხური სიბრძნის, ხალხური მეტყველებების ფსიქოლოგიური გაგება-შეფასება და მასთან დაკავშირებით ქართული ენის თავისებურების საკითხიც პიროვნულ მოვლენათა ასახვის სიმბოლიკაში.

ესეც ახალი და მნიშვნელოვანი წამოწყება იყო.

რაც შეეხება თვით სიტყვა გულის მნიშვნელობას, მისი ფართო ფსიქოლოგიური არეალის, საკითხს, ის დაკავშირებულია, ჩვენი აზრით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ემოციის პიროვნული მნიშვნელობის ზოგად-ფსიქოლოგიურ პრობლემასთან, პიროვნების ფსიქიკური სფეროების მი-

<sup>1</sup> ა. ფრანგიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 69.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 72.

მართ ემოციის როლის საკითხთან. ემოციაა განვრცობილი პიროვნების განცდის ყველა სხვა სფეროზე და ამ ფაქტს ენა, მეტყველება ე მ ო ც ი ის ს ი მ ბ ო ლ ო სიტყვა გულით გამონატავს.

### სიტყვა თ ა ვ ი - (141 პიროვნული სახელწოდება)

სანამ სიტყვა თავ-ით შედგენილ პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებების გარჩევას შევეუდგებოდეთ, განვიხილოთ სიტყვა თავ-ის, როგორც თავის-თავის, „თვითონის“ მნიშვნელობა (გერმანულად *selbst*) რუსულად *сам*). თავის თავი, თვითონ არის „მე“ — საკუთარი მთლიანი პიროვნება; თვითდამკვიდრებული, თავის თავთან ყოველთვის იდენტური, სხვისაგან და საგნობრივ სამყაროსგან გამოყოფილი და მათდამი დაპირისპირებული ინდივიდუალობა. სიტყვა თავს, მე-ს, თვითონის გაგებით, პიროვნულ სახელწოდებაში შეაქვეს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ი ს ა და მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი ბ ი. თავის თავთან ყოველთვის შეთანხმებული ერთი და იგივე მთლიანი პიროვნება, თავისი დამოუკიდებელი არსებობის მნიშვნელობით, თ ა ვ -ფუძიდან ნაწარმოებ „თვითონის“ გაგებით აღინიშნება.

სიტყვა გულ-ის შემდეგ რაოდენობრივად და, აგრეთვე, მნიშვნელობის მრავალსახიანობით, პირველი ადგილი სიტყვა თავ-ს და სიტყვა თვალ-ს უკავია. ჭერ გავარჩიოთ სიტყვა თავი.

გულ-ის ფუძიდან ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებების რაოდენობა ემოციისა და გრძნობით განსაზღვრული ხასიათის კატეგორიებმა შთანთქმეს. სიტყვა თავ-ის ფუძიდან წარმონაქმნი პიროვნული სახელწოდებები კი უფრო თანაბრადაა განაწილებული კატეგორიებს შორის. აქაც ერთგვად გამოხატვის მანაც ხასიათისეული კატეგორია ქმნის, სადაც სიტყვა თავით აღნიშნული პიროვნული სახელწოდება აღემატება დანარჩენი კატეგორიების თავ-სიტყვებს; აქ ის 51 სიტყვას შეადგენს, გონების კატეგორია — 23 სიტყვას, ნებელობის — 22-ს, ემოციის — 18-ს, სოციალურ-შეფასებითი — 15-ს, ზნეობრივი — 11-ს, ფიზიკური ნიშნების კატეგორია — 1-ს, (ცხრ. №15). ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება, თუ სიტყვა თავის განხილვა და მისი სპეციფიკის ძიება, მიუხედავად ხასიათისეული კატეგორიის თავ-ფუძიდან წარმონაქმნი სიტყვების რაოდენობრივი უპირატესობისა, მინდ გონების კატეგორიით დაიწყოს.

სიტყვა თავ-ის ფუძიდან აგებული გონების კატეგორიის სახელწოდებებიდან, მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი სიტყვები—თავიანი, თავიერი, თავსნიერი, თვითგანვითარებული, გათვითცნობიერებული, თავმაგარი, თავ მსუბუქი, თავმჩატე, თავქარიანი, თავცანცარა, თავცალიერი, ლაყეთავიანი, უთავო, უთაური, ცხვრისთავა. მათი შინაარსის უფრო ნათელსაყოფად განვმარტოთ ისინი:

თავიანი — ჰქვიანი, გამჭრიახი, მცოდნე.

თავიერი — გეგმაშეწონილად მოქმედი.

თავსნიერი — (კუთხ.) თავის ჭკუაზე მყოფი, ჭკვიანი.

თვითგანვითარებული — თვითნასწავლი.

გათვითცნობიერებული — შეგებებული, გაგებული.

თავმსუბუქი — არასერიოზული, ქერქეტა.

თავმჩატე — თავმსუბუქი, ამჩატებული.

თავქარიანი — მსუბუქი ჭკუის, ქარაფშუტა, ქარაოცი:

თავცანცარა — ქარაფშუტა, სულელი.

თავცალიერი — უჭკუო, უტვინო.

ლაყეთავიანი — უტვინო, უჭკუო.

უთავო — მოუსაზრებელი, უჭკუო.

ცხვისთავა — ცხვარივით უჭკუო.

სიტყვა თ ა ვ-ის ფუძიდან აგებული გონების კატეგორიის ეს სიტყვები, როგორც მისი განმარტებიდან ჩანს, მკვიდრო კავშირშია ჭონიერებასთან, აზროვნებასთან, ჭკუასთან; ა მ ა შ ი ა, ა ლ ბ ა თ, ს ი ტ ყ ვ ა თ ა ვ-ის ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ც. გონების ცნებასთან ასე უშუალოდ დაკავშირებულ პიროვნულ სახელწოდებებს ვერც ერთი სხვა ორგანოს სახელიდან წარმომდგარი სიტყვა ვერ იძლევა (იხ. ცხრ. № 15). განვიხილოთ თ ა ვ-სიტყვის დანარჩენი კატეგორიები.

სოციალურ-შეფასებითი კატეგორიის თ ა ვ-სიტყვებია — თავგამოჩენილი, თავკაცი, თავნაჩენი, თავშეუღებარი (კუთხ.), თავმოჭრილი, და სხვა. განვმარტოთ ისინი:

თავგამოჩენილი — ვინც თავი გამოიჩინა, თავი ისახელა.

თავკაცი — მეთაური, წინამძღოლი, აღიარებული, ამორჩეული.

თავნაჩენი — გამოჩენილი, ცნობილი.

თავშეუღებარი — (კუთხ.) ყველაზე კარგი, შეუღარებელი.

თავმოჭრილი — შერცხვენილი, გაწბილებული.

ერთი სიტყვით, აქ არსად აზროვნების პროცესებზე ან გონიერებაზე ლაპარაკი არ არის. ს ი ტ ყ ვ ა თ ა ვ ი ს ო ც ი ა ლ უ რ-შ ე ფ ა ს ე ბ ი თ პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ შ ი მ თ ლ ი ა ნ-პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ ა ა შ ე ს უ ლ ი. სიტყვა თავ-ის გარჩევის დასაწყისში აღინიშნა მისი მნიშვნელობა — თ ვ ი თ ო ნ ი ს, თ ა ვ ი ს-თ ა ვ ი ს, მ თ ლ ი ა ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა ზ რ ი თ. სოციალურ-შეფასებით კატეგორიაში, სიტყვა თ ა ვ-იდან წარმომდგარი პიროვნული სახელწოდებები სწორედ ამ მთლიან-პიროვნული მნიშვნელობითაა შესული და არა რომელიმე სხვა აზრით.

არსებითად ასეთივეა ზნეობრივი კატეგორიის პიროვნული სახელწოდებები, რომლებიც თ ა ვ-ფუძით არიან ნაწარმოები. აი ისინი — თავდაცული, თავშენახული, თავმოავადმყოფებული, თავკატუნა, თავშეუღებელი, თვითმარქვია. მათი განმარტება:

თავდაცული — პატიოსანი, ნამუსიანი.

თავმოავადმყოფებული — სიმულანტი.

თავშეუღლებელი — გარეწარი.

თვითმარქვია — ვისაც სხვის მოსატყუებლად მოაქვს თავი იმად, რაც ნამდვილად არ არის.

აქაც, ზ ნ ე ო ბ რ ი ე კატეგორიაში, სიტყვა თავი მთლიან-პიროვნების აზრით იხმარება. ასეთივეა არსებითად ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს კატეგორიის სიტყვა თავიდან აგებული პიროვნული სახელწოდებები. რაც შეეხება ე მ ო ც ი ს კატეგორიას, ამაზე სიტყვა-გულის გარჩევასთან დაკავშირებით გვქონდა ბაასი და დადასტურდა, რომ სიტყვა თავ-იდან აგებული პიროვნული სახელწოდებები ემოციის შინაარსის სახელწოდებებს წარმოადგენენ, მაგ., თავგაბეზრებული, თავზარდაცემული, და სხვა. ან კიდევ გრძნობით მღვდმარეობას ასახვენ გამომეტყველებითი მოძრაობის მნიშვნელობით, მაგ., თავჩაქინდრული, თავჩაღუნული და სხვა.

საინტერესო სურათს იძლევა სიტყვა თავ-იდან აგებული ხასიათისეული სახელწოდება: 51 სიტყვიდან უმრავლესობა გრძნობის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული. მაგ., თავისმოიმედე, თავისუფლებისმოყვარე, თავამაღლებული, თავგაზვიადებული, თავკერძა, თავმონე, თვითკმაყოფილი, თავმომწონე და სხვა.

განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ამ სიტყვებში აღნიშნულია თავის თავის მიმართ გრძნობები, საკუთარი პიროვნებისკენ მიმართული ემოციები. სიტყვა თ ა ვ-ის ფუძიდან აგებული ეს ხასიათისეული სახელწოდებები სიტყვა თ ა ვ-ის მთლიან-პიროვნულ გაგებას ემყარება, რომელსაც ესა თუ ის გრძნობა საზღვრავს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სიტყვა თ ა ვ-ი სიტყვა გ უ ლ-თან შედარებით, ნაკლებ სპეციალიზებულია, უფრო ფართო ცნებაა, უფრო მეტი მნიშვნელობის შემცველია. ქარაქტეროლოგიურ ლექსიკაში თ ა ვ ი აზ-როვნების გარდა, კიდევ ასახავს ინდივიდუალობის პრინციპს, მთლიან-პიროვნების იდეას და ამ გაგებითაც ქმნის ხასიათისეულ სიტყვებს.

რაც შეეხება თ ა ვ ი ს აზროვნებასთან დამოკიდებულებას, მარტო სიტყვა თავი ახერხებს შეაფასოს პიროვნება გონებასთან, აზროვნებასთან მიმართებაში და შექმნას პიროვნული სახელწოდებები გონების პირდაპირი და უშუალო გათვალისწინებით. ეს გათვალისწინებებს, ხ ე დ ვ ი ს მ ო მ ე ნ ტ ი ა ს ი ტ ყ ვ ა თ ა ვ-ის ს ბ ე ც ი ფ ი კ ა. ის ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ს ა რ ა თ უ თ ა ვ ი ს გ ა რ ე თ ა რ ს ე ბ უ ლ ს ა გ ნ ო ბ რ ი ე ს ა მ ყ ა რ ო ს, ა რ ა მ ე დ ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ ს ა ც, ს ა კ უ თ ა რ გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ ა ს, მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს, ს ა კ უ თ ა რ გ ა ნ ც დ ე ბ ს და მ ო კ მ ე დ ე ბ ა ს. სიტყვა თ ა ვ-ის ამ თვისების გამო გაჩნდა უთუოდ, ისეთი გონებამახვილური, საოცარი თქმა — „თ ა ვ ი ვ ა ი თ ა ვ ი ს წ ი ნ ა“.

მაგონარც გრძნობა-ემოციის წვდომა და მის ნიადაგზე პიროვნული სახელწოდებების აგება არის სიტყვა თ ა ვ ი-სთვის შეუძლებელი. ემოციას ის ასახავს როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობითაც.

სიტყვა თვალ-ის ფუძით აგებული გამოთქმით სახელდებულია 141 პიროვნული ნიშან-თვისება. მათგან 58 სიტყვა თ ვ ა ლ-ის ფიზიკურ ნიშნებს შეეხება, 44 — პიროვნების ემოციურ მდგომარეობას, 15 — გონებას, 14 — სოციალურ-შეფასებითი სახელწოდებებია, ხასიათისეულია — 6, ხოლო 4 — ზნეობრივი კატეგორიის სიტყვაა.

ემოციის შინაარსის ქარაქტეროლოგიური სახელწოდებების შესახებ სიტყვა გ უ ლ ის გარჩევასთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი, რომ თ ვ ა ლ-ფუძით აგებული სახელწოდებები ყველა გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობისაა.

უნდა ითქვას, რომ ემოციის გამოსახვას, გამომეტყველებითი მოძრაობის მნიშვნელობით, თ ვ ა ლ-ის გარდა სხვა ორგანოების სახელიც ემსახურება, მაგ., თავი, სახე, პირი, შუბლი, წარბი და სხვა. ამათგან სახე, რასაკვირველია, დიდი მიმიკური შესაძლებლობის ორგანოა და ემოციური განცდის გამოსატყვის დიდ უნარს ამჟღავნებს, მაგრამ გრძნობის, ზოგადსულიერ-ემოციური მდგომარეობის, სხვადასხვა ნიუანსების გადაშლას და გრძნობის სიღრმის წვდომას თ ვ ა ლ-იც არა ნაკლებ ახერხებს, თ ვ ა ლ-ის გამოსახულებითმა სახელწოდებამ შეიძლება უკეთ გაათვალსაჩინოს გრძნობათა შინაგანი ლეღვა, ვიდრე თვით შინაგანი მდგომარეობის პირდაპირმა აღწერამ.

№15 ცხრილში წარმოდგენილ 39 ორგანოდან თვალი ფიზიკურად პატარა ორგანოა, მაგრამ არც ერთს არა აქვს ფიზიკურ ნიშნებზე იმდენი მითითება, როგორც თვალს — 58 სახელწოდება. აქედან 29 სიტყვით თვალის სილამაზეა ქებული. თვალის მოძრაობათა სისწრაფე, ფერი, სიდიდე, მოყვანილობა — 19 სიტყვითაა წარმოდგენილი, ულამაზო თვალს 4 სახელწოდება აღნიშნავს, ხოლო ექვსი — ტანის საერთო აგებულებას, მაგ., თვალადი, თვალტანადი, თვალად ნასი და სხვა.

გონების კატეგორიის თ ვ ა ლ-ფუძით აგებული 15 სიტყვა პირდაპირ არ ეხება გონიერებას, აზროვნებას, არამედ მხოლოდ მიუთითებს მასზე, მაგ., თვალახელილი, თვალგამქირახი, თვალყურიანი და სხვა.

სოციალურ-შეფასებითი 14 სიტყვიდან მხოლოდ ერთი — უთვალსაჩინოესი — არის სოციალური რეპუტაციის აღმნიშვნელი. დანარჩენები ცრუმორწმუნეობრივია ან წყევლის შინაარსისაა.

სიტყვა — თ ვ ა ლ-ფუძით აგებული პიროვნული სახელწოდებებით ზნეობრივი და ხასიათისეული კატეგორიები შედარებით ღარიბია, მაგრამ ის, რაც არის, შინაარსეულად მნიშვნელოვანია. მაგ., ზნეობრივი კატეგორიის სიტყვები — თვალგამართული, თვალბოროტი, თვალთმაქცი და სხვა.

ერთი სიტყვით, პიროვნულ თავისებურებათა აღმნიშვნელ თ ვ ა ლ-ფუძით აგებული სახელწოდებების გამოსახულებითი აპოგეა არის

ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და თვალის სილამაზის ხოტბა-შექება.

### სიტყვა პირ-ი (112 პიროვნული სახელწოდება)

სიტყვა პირ-ის რამდენიმე მნიშვნელობა წინასწარ უნდა აღინიშნოს: 1. პირის, როგორც ბავის, 2. პირისახის, 3. პირისპირის, უშუალობის, 4. პიროვნების. სიტყვა პირ-ის ფუძით აგებულ პიროვნულ სახელწოდებებში გამოყენებულია ყველა ეს მნიშვნელობა.

პირ-ფუძით 112 პიროვნული სახელწოდებაა წარმოდგენილი. მათში სოციალურ-შეფასებითი სიტყვებია — 11, ზნეობრივი — 20, ხასიათისეული — 21, გონების კატეგორიის — 3, ემოციის აღმნიშვნელი — 31, ფიზიკური კატეგორიის სიტყვები — 26. აღსანიშნავია, რომ სიტყვა პირ-ის ფუძით არ არის წარმოდგენილი ნებელბის კატეგორიის არც ერთი სიტყვა, ხოლო გონების კატეგორიის სამი სიტყვა იმდენად უმნიშვნელაა შინაარსეულად, რომ შეიძლება არც ეს კატეგორია ჩავთვალოთ წარმოდგენილად. სიტყვათა განაწილება დანარჩენ კატეგორიათა შორის საკმაოდ თანაზომიერია. სხვაზე მეტი სიტყვა მაინც ემოციის კატეგორიას უჭირავს — 31 სიტყვა. ამათგან 29 გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობისაა. ასეთია მაგ. სიტყვები — პირმოღიპარი, პირმოღუშული, პირმწუხარი, პირმხიარული და სხვ. (იხ. სიტყვათა კლასიფიკაციაში ემოციის კატეგორიის სიტყვები გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით), აქ ყველგან, პირი პირისახის მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ფიზიკური კატეგორიის 26 სიტყვა — პირბუტალი, პირთეთრი, პირვარდინი, პირსახოვანი და სხვ., მათი ფუძე პირ-ი პირისახის მნიშვნელობისაა.

ხასიათისეული 21 სიტყვა: პირამტქმელი, პირდაპირი, პირმიუფერებელი, პირუთვნელი, პირფერი და სხვ. აქ პირი უშუალობის, პირისპირობის მნიშვნელობისაა.

ზნეობრივი კატეგორიის 20 სიტყვა — პირიანი, პირმართალი, პირმტკიცე, პირსწორი, ორპირი, პირბნელი და სხვ. — მთლიან-პიროვნული მნიშვნელობითაა გამოყენებული.

სოციალურ-შეფასებითი 11 სიტყვა — პირველი, პირშერცხვენილი, პირველყოფილი და სხვ. კვლავ მთლიან-პიროვნულ მნიშვნელობას ეყრდნობა.

პირ-ი, როგორც სიტყვა „პიროვნების“ ფუძე, საგანგებო გულისყურს მოითხოვს. ამ სიტყვასთან დაკავშირებულია თანამედროვე პერსონალისტური მეცნიერების ძირითადი ცნება — პიროვნება, პერსონალობა, მისი დღევანდელი ქარაქტეროლოგიურ-პერსონალისტური გაგებით. ვინ, როდის, და რა სპეციფიკური მნიშვნელობით იხმარა ის თავი-

ლობის (*Persönlichkeit*-ის) დღევანდელ გაგებას? ეს საკითხი დამოუკიდებელი კვლევის საგანია და მას აქვერ შეეცხებით.

### სიტყვა ენა (71 პიროვნული სახელწოდება)

სიტყვა ენა, როგორც პიროვნების თავისებურებების აღმნიშვნელ სახელწოდებათა ფუძე — 71 ვარიანტითაა წარმოდგენილი. ამათგან 55 პიროვნული სახელწოდება ხასიათისეული სიტყვებია, ენასთან დაკავშირებულ ყველა ქარაქტეროლოგიურ სახელწოდებათა 77,5%. დანარჩენი პიროვნული კატეგორიები, სიტყვა „ენა“-ს ფუძეზე აგებული ორი-სამი სიტყვითაა წარმოდგენილი.

სიტყვა ენა, როგორც ქარაქტეროლოგიურ სახელწოდებათა ფუძე უმთავრესად ხასიათის თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვებს აწარმოებს სახელდობრ, ადამიანის მყარი თვისებების ამსახველს, ლაპარაკის ინდივიდუალური თავისებურებების აღმნიშვნელს, მაგრამ, ამასთან ერთად, მთლიან-პიროვნულ თვისებებსაც გამოხატავს, პიროვნების ინდივიდუალობასაც ამჟღავნებს, მაგ., ენატანია, ენაღვარძლიანი, ენაგაქლესილი, ენატკბილი, ენადაცული. ამ სიტყვების შინაარსში ნაგულისხმევია, თვით მეტყველებითი ჩვევის გარდა, კიდევ მთლიან-პიროვნული ინდივიდუალობა.

### სიტყვა ს ა ხ ე (66 პიროვნული სახელწოდება)

სიტყვა „ს ა ხ ე“-ს ფუძით ნაწარმოები სიტყვებით სახელდებულა ადამიანის 66 ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისება. ამათგან 45—ემოციის კატეგორიის სიტყვებია. ყველა ისინი გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობისაა. 20 სიტყვა — სახის ფიზიკური ნიშნების სახელწოდებაა. ზნეობრივი კატეგორიისაა ერთი სიტყვა (უსახო, — უპრინციპოს მნიშვნელობით).

სახე თავისი მიმიკური ექსპრესიით გრძობა-ემოციის გამოხატვის დიდ შესაძლებლობებს შეიცავს. ეს აშკარად ემჩნევა სიტყვა „ს ა ხ ე“-ს ფუძით ნაწარმოებ, ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ 45 პიროვნულ სახელწოდებას. ამის მიხედვით პიროვნების ზოგად-ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელწოდებები დიდი ნაირსახეობით გამოირჩევიან. მაგრამ, ემოციის გარდა, პიროვნების სხვა განცდების ან მდგომარეობის ასახვა სიტყვა ს ა ხ ე-ს, როგორც პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდებების საფუძველს, — არ შეუძლია. სიტყვა „ს ა ხ ე“-ს ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებით, შინაგანი განცდის არც ერთი კატეგორია, გარდა ემოციისა, არ არის წარმოდგენილი. ამ აზრით სიტყვა ს ა ხ ე, შინაგანი განცდის გამოხატვის შესაძლებლობით, უფრო ღარიბია სიტყვა გულზე, თავზე, თვალზე, პირზე.



## სიტყვა ხ ე ლ ი (48 პიროვნული სახელწოდება)

სიტყვა ხ ე ლ-ის ფუძით 48 პიროვნულ-ქარაქტეროლოგიური სახელწოდებაა წარმოდგენილი. მათგან 21 ხასიათისეულია, 9 სიტყვა — ზნეობრივი კატეგორიისაა, 6 — გონების, 5 — სოციალურ-შეფასებითი კატეგორიის და ორი ნებელობის კატეგორიის.

